# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 19 თებერვალი 2008 №036 (3260) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტოპმიოლერის კომუნიკ-აქცია

## იაშვილსაც გამოვიძახებ და ხიზანიშვილსაც!



ბადრი ქეთილაძის ფოტოები





**26 მარტამდე, ჩრდილოეთ ირლანდიათან ამხანაგურ მატჩამდე თვეზე ცოტა მეტი დარჩა, იქამდე კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრების მთავარ მწვრთნელთან ახალი კონტრაქტი უნდა გააფორმოს. როგორც ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა გუშინ გვითხრა, კონტრაქტის გაფორმება მარტის პირველ დღეებს აღარ გადასცდება. ადრე ისიც ითქვა, ახალი კონტრაქტით ტოპმიოლერისთვის წაყენებული მოთხოვნები წინა კონტრაქტისაზე მკაცრი იქნებაო. კლაუს ტოპმიოლერს გუშინ რომ დავურეკეთ, ცხადია, კონტრაქტის თაობაზეც ვკითხეთ, თუმცა უფრო საინტერესო გერმანელის ის პასუხია, ეროვნულ გუნდში ალექსანდრე იაშვილისა და ზურაბ ხიზანიშვილის დაბრუნებას რომ ეხება...**

**— ამჟამად სად ხართ და საქართველოში როდის ჩამოხვალთ?**

— ჯერჯერობით მიუნხენში ვარ, რამდენიმე დღე აქ დავრჩები — შეხვედრები მაქვს. ჯერ ზუსტად არ გადამიწყვეტია, როდის ჩამოვალ საქართველოში.

**— კონტრაქტს ხელი როდის უნდა მოაწეროთ?**

— ზუსტად ვერც ამას გეტყვით, რამდენიმე საკითხი კვლავ შესათანხმებელი გვაქვს.

**— კონტრაქტის გაგრძელება ხომ არ გადაგიფიქრებიათ?**

— არა, თუმცა ვნახოთ, საბოლოოდ რას გადავწყვეტთ.

**— ლატვიასთან მარცხის მიზეზებზე ერთხელაც გკითხავთ...**

— ეს ჩვენთვის ტესტ-მატჩი იყო და რამდენიმე ახალი ფეხბურთელი გამოვცადეთ. ასეთი მარცხის მიზეზი, ალბათ, ესაც არის, თუმცა, ცხადია, ჩვენთვის შედეგიც ძალიან მნიშვნელოვანი იყო...

**— ნაკრების იმ პრობლემებზეც გვითხარით, რომელთა მოგვარებას ვერ ახერხებთ. ოღონდ, თუ შეიძლება, დეტალურად...**

— ჩვენი გუნდის ძირითად პრობლემად კვლავ სტანდარტული სიტუაციებისას სწორად მოქმედება რჩება, ამის გამოსწორება ჯერ ვერ შევძელით. კიდევ ბევრია სამუშაო გადამწყვეტ მომენტებში თავდაჯერებით სათამაშოდ. ამის სამწუხარო მაგალითები ბოლო მატჩშიც ბლომად იყო.

**— ლატვიასთან მატჩი ამხანაგური იყო და ექვსი შეცვლა შეგეძლოთ, მაგრამ მხოლოდ ორი გააკეთეთ, რატომ?**

— ფეხბურთელების შეცვლა სიტუაციასა და თამაშის მიმდინარეობაზეა დამოკიდებული. როგორც გითხარით, ეს ტესტ-მატჩი იყო და სასტარტო შემადგენლობის ბოლომდე ნახვა გვსურდა.

**— მომდევნო, ჩრდილოეთ ირლანდიასთან ამხანაგურ მატჩში ახალწვეულები თუ გეყოლებათ?**

— ახლები არა, მაგრამ ტაქტიკური სიახლეები ნამდვილად იქნება. ამით გუნდის ბოლომდე ჩამოყალიბებას და შეთამაშებას ვცდილობთ.

**— ალექსანდრე იაშვილი საუკეთესო იყო „კარლსრუე" — „ლევერკუზენის" მატჩში. თუ ნახეთ ეს თამაში და თუ გამოიძახებთ იაშვილს და ზურაბ ხიზანიშვილს ჩრდილოეთ ირლანდიასთან?**

— იაშვილი ძალიან კარგ ფორმაშია. მას ველაპარაკე და ალბათ მომდევნო თამაშში მოვიწვევ. რაც შეეხება ხიზანიშვილს, ჩემი მხრიდან მასთან რაიმე პრობლემა არ ყოფილა და ჩრდილოეთ ირლანდიასთან თამაშში მის გამოძახებასაც ვფიქრობ.

**— თქვენი ძმა ჰაინცი ლატვიასთან მატჩისას თბილისში არ იყო. როგორ იქნება მისი საქმე 19-წლამდელთა ნაკრებში?**

— ჰაინცი საქართველოში იმიტომ არ იყო, რომ ის და პეტარ სეგრტი ირლანდია — ბრაზილიის ამხანაგურ თამაშს აკვირდებოდნენ. მათი სამუშაო, ძირითადად, მეტოქეებზე დაკვირვებაა.

**ნინო სილაგაძე**



დავით სირაძე კვლავ ესპანურ ლა მანგაშია და ნალჩიკის „სპარტაკთან" ერთად ვარჯიშობს. ჩვენიანმა უკვე ითამაშა ერთი მატჩი ნალჩიკელებში, ლა მანგას თასის ჯგუფურ შეხვედრაში დონეცკის „შახტართან", რომელიც უკრაინელებმა 2:1 მოიგეს. შეიძლება ითქვას, სირაძის ყაბარდოულ გუნდში ოფიციალურად გადასვლას გადაწყვეტილია. ყოველ შემთხვევაში, დავითს გუშინ ესპანეთში რომ დავუკავშირდით, ასე გვითხრა და ერთიც: სირაძემ „პადერბორნთან" კონტრაქტი უკვე გაწყვიტა...

# სირაძემ ერთი კონტრაქტი გაწყვიტა და მეორეს ელის
## გერმანიის დრო მერეც მოვა

— ახლა „ნალჩიკსა" და „პადერბორნს" შორის მოლაპარაკებები მთავრდება. იმედი მაქვს, შეთანხმებას მიაღწევენ. ისე, 2009 წლის ზაფხულამდე მქონდა „პადერბორნთან" კონტრაქტი.

— დაახლოებით, როდის უნდა ველოდოთ საბოლოო შეთანხმებას?

— დღე-დღეზე.

— „სპარტაკს" შენი გამოსყიდვა უნდა თუ განათხოვრებაზეა ლაპარაკი?

— არა, ყიდვა სურთ. მეც თანახმა ვარ და ვნახოთ...

— „პადერბორნი" სუსტია, მაგრამ მაინც გერმანიაა და არ გაგიძნელდება იქედან წამოსვლა?

— ამ ეტაპზე რუსეთში თამაში მირჩევნია. ნალჩიკის „სპარტაკი" პრემიერლიგის გუნდია, „პადერბორნი" კი მეორე ბუნდესლიგიდან გავარდნის პირასაა — ამას უკვე დიდი მნიშვნელობა აქვს. თანაც, ნალჩიკში თუ კარგად ვითამაშებ, მერეც შეიძლება გამეხსნას გზა გერმანიისკენ.

**ილია ნანობაშვილი**

# კვირკველიამ რუბინი აირჩია

**არც** ზაპოროჟიეს „მეტალურგი" და არც დონეცკისა — დავით კვირკველია ყაზანის „რუბინში" გააგრძელებს კარიერას.

საერთოდ, საქართველოს ეროვნული ნაკრების მარცხენაფლანგელს ამ ზამთარს უცნაური თავგადასავალი გადახდა — ხან ზაპოროჟიეში რჩებოდა, ხან დონეცკში გადადიოდა, ხან რუსეთში აპირებდა გადაბარგებას...

მოკლედ, ბევრი იარა თუ ცოტა, კვირკველია „რუბინში" აღმოჩნდა, სადაც ნუკრი რევიშვილი და ლაშა სალუქვაძე ირიცხებიან.

# ცქიტიშვილი და ალექსიძე ლოკომოტივში: ოდენ ვარჯიში



**თბილისის** „ლოკომოტივთან" ერთად უგუნდოდ მყოფი ლევან ცქიტიშვილი და სომხური „მიკადან" წამოსული რატი ალექსიძე ვარჯიშობენ.

ითქვა, „ლოკომოტივი" სეზონის ბოლომდე მათ დამატებას აპირებსო და ჩვენც გუნდის მწვრთნელ ზაზა ზამთარაძეს შევეხმიანეთ...

„ცქიტიშვილი და ალექსიძე ჩვენთან რომ ვარჯიშობენ, ამას დაგიდასტურებთ. ის კი გამორიცხულია, რომ მათ „ლოკომოტივში" ითამაშონ. უბრალოდ, ლევანმა და რატიმ ახალი გუნდების მოძებნამდე ფორმის შესანარჩუნებლად ვარჯიში გვთხოვეს და დავთანხმდით. „ლოკომოტივში" თამაშზე კი აქამდე არაფერი თქმულა" — გვითხრა ზამთარაძემ.

**კახა ზალამბერიძე**

# ბათუმმა სტურუა მოაგვარა
## ზღვისპირეთში ფიფია და ჭელიძეც წავლენ?

**ქობულეთში** შეკრებაზე მყოფმა თბილისის „მერანმა" გუშინ ორი ტესტ-მატჩი გამართა. დავით ეჯიბიშვილმა ჯერ უმაღლესლიგელ „ბათუმს" გააჯიბრა შეგირდები, მერე კი — „ბათუმი 2"-ს.

თბილისელებმა ორივე შეხვედრა მოიგეს — უმაღლესლიგელებს 2:1 სძლიეს, ფარმ-კლუბი კი 4:1 გაანადგურეს.

ტრავმამოშუშებულმა მიხეილ კაკალაძემ 25-ე წუთზე დააწინაურა ზღვისპირელები, თუმცა მერანელმა ირაკლი შენგელიამ ორი გოლით უპასუხა და თავის გუნდს გაამარჯვებინა.

გუნდებმა ამ შემადგენლობებით ითამაშეს:

*მერანი: თევდორაძე, გ. ლოლაძე, გიგაური, ლ. გრიგალაშვილი, სარალიძე, ჯანგიძე, ა. კალაძე, კობერიძე, ტეტიაშვილი, მ. ჟღენტი, ი. შენგელია.*

*ბათუმი: ი. დევიძე, ლ. მახარაძე, ა. ბაჯელიძე, გალოგრე, კუნჭულია, გ. თურმანიძე, ცანავა, ბეჟანიძე, დემურაძე, ზ. ქუთათელაძე, კაკალაძე.*

*შეცვლაზე შევიდნენ: კ. მახარაძე, ოქრუაშვილი, ტულუში.*

როგორც ბათუმელთა მწვრთნელმა ავთანდილ კუნჭულიამ გვითხრა, სეზონის ბოლომდე „ბათუმის" კარს ზვიად სტურუა დაიცავს, ბოლნისის „სიონიდან" მოვიდა თავდამსხმელი ზვიად ქუთათელაძეც.

როგორც შევიტყვეთ, გოგი ფიფია და გიორგი ჭელიძე „ზესტაფონმა" ტრანსფერზე დააყენა და, შესაძლოა, ამ ფეხბურთელებმაც „ბათუმში" ჩაამთავრონ სეზონი.

„მერანმა" ნორჩ ბათუმელებთან ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *თევდორაძე, არაყიშვილი, თავბერიძე, ქემაშვილი, ჭიკაიძე, კუხილავა, ნაკაშიძე, ბაკურაძე, ოდიშვილი, კაკულია, იაგო დეისაძე.*

ამ შეხვედრაში ლევან ბაკურაძემ ჰეთ თრიქი შეასრულა, მეოთხე გოლი კი ილია ქემაშვილმა შეაგდო.

თბილისელები ზღვისპირულ შეკრებას 20 თებერვალს დაასრულებენ.

**ნუკრი ლოლაძე**

# ზაკარპატიემ პირი იცვალა: ციმაკურიძე წაიყვანა

**უჟგოროდის** „ზაკარპატიემ" ჩვენება შეცვალა — გიორგი ციმაკურიძე თურქულ შეკრებაზე წაიყვანა.

არადა, გუშინ-გუშინწინ უკრაინული პრესა ირწმუნებოდა, კლუბმა ქართველი ფეხბურთელი უკვე დაიწუნაო, თუმცა რეალობა სხვაგვარი გამოდგა.

თურქეთში გუნდს წაჰყვა მეორე ქართველი სერგო ორბელაძეც, ვინც ბოლოს რუსთავის „ოლიმპში" იყო და უკრანულ კლუბში ახრიკ ცვეიბას რეკომენდაციით მივიდა.

**კახა ზალამბერიძე**

# ყენიას მორიგი ტყუპი პასი
## ქართველებმა წინა კვირა გაიმეორეს




**ლევან ყენიამ** და დავით თარგამაძემ მორიგი მატჩები ითამაშეს 19-წლამდელთა ბუნდესლიგაში. ყენიას „შალკემ" წინა მატჩის მსგავსად („ლევერკუზენთან" 8:2), კვლავ დიდი ანგარიშით მოიგო და „კიოლნი" 3:0 გაანადგურა. ლევანი მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე შეცვალეს, ჩვენიანმა „ლევერკუზენი" გაიმეორა და ორი საგოლე პასი გააკეთა. „შალკეს" 19-წლამდელები თავიანთ ზონაში მესამე ადგილზე არიან.

თარგამაძემ კი 81 წუთი იბურთავა „კარლსრუესთან".

ქართველის „ფრაიბურგმა" ისევ ფრე ითამაშა (0:0) და მეოთხე ადგილზეა.

**ილია ნანობაშვილი**

# მათეს მენისკი ძალიან გაიწელა

**მათე ღვინიანიძის** გამოჯანმრთელებას არა და არ დაადგა საშველი.

გერმანული „მიუნხენ 1860"-ის მცველმა ორი თვის წინ გაიკეთა მენისკის ოპერაცია და მის მინდორზე გამოჩენას აქამდე ელოდნენ, თუმც „ლომების" თავკაცი მარკო კურტი ამბობს, ჯერაც არ ვიცით, მათეს როდის ვათამაშებთო...

„ცოტა არ იყოს, გაიწელა ღვინიანიძის გამოჯანმრთელების ამბავი. არადა, ის ჩვენი წამყვანი ფეხბურთელია და ძალიან გვეტყობა უმისობა" — თქვა კურტმა.

**ილია ნანობაშვილი**

# არც მოედანი, არც ტუალეტი
## ცხადაძეს დასაწყისი არ მოეწონა

**ძალიან** სურდა აზერბაიჯანული „სტანდარდის" მწვრთნელ კახა ცხადაძეს, დებიუტი წარმატებული გამოსვლოდა, თუმც მისი შეგირდები სტუმრად 0:1 დამარცხდნენ „გაბალასთან".

„სტანდარდს" წასაგები თამაში ნამდვილად არ ჰქონდა. ცხადაძის გუნდმა რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი გაანიავა და მწვრთნელიც უკმაყოფილო დატოვა. ცხადაძე არც მსაჯობით და ორგანიზაციით დარჩა მოხიბლული...

„საშინელი პირობები იყო. გასახდელში შესვლა არ მოგინდებოდა, ტუალეტზე ხომ საერთოდ ზედმეტია ლაპარაკი... მოედანიც უსაშინლეს მდგომარეობაში იყო. ამის მიუხედავად, ურიგოდ არ გვითამაშია, თითქოს ყველაფერი კარგად იყო, თუმც თამაშის ბედი ერთმა შეცდომამ გადაწყვიტა. არადა, მეტოქეზე უკეთ გამოვიყურებოდით და წაგებას არ ვიმსახურებდით. მსაჯობაზე არ ვლაპარაკობ ხოლმე, მაგრამ... ასე ნამდვილად არ შეიძლება" — განაცხადა ცხადაძემ.

აზერბაიჯანის ჩემპიონატში დებიუტი ჰქონდა დავით ბოლქვაძესაც. „ამერიდან" იჯარით წასულმა ფეხბურთელმა პირველი მატჩი „ყარაბახის" (2:2) წინააღმდეგ ითამაშა და გუნდს საგარეო ქულის მოპოვებაში საგოლე პასით დაეხმარა.

და კიდევ, აზერბაიჯანის ჩემპიონატის განახლება ქართული გოლითაც აღინიშნა — „ბაკის" ნახევარმცველმა ამირან მუჯირმა სტუმრად „გენჩლერბირლიგს" (3:0) პირველი ბურთი გაუტანა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

### ინგლისი
ჩემპიონატი. XXXIII ტური

ბრისტოლი 1:1 კრ. პალასი

### საფრანგეთი
II დივიზიონი. XXIV ტური

ნანტი 2:0 ბასტია

### იტალია
სერია C1/A. XXIV ტური

ვერონა 2:3 ლენიანო

### ჰოლანდია
II დივიზიონი. XXVIII ტური

დენ ბოსხი 1:1 ოსი

### პორტუგალია
სუპერლიგა. XIX ტური

სპორტინგი 2:0 ამადორა

ლეირია 1:2 ბელენენსეში

### თურქეთი
სუპერლიგა. XXII ტური

ძონია 0:1 გალათასარაი

### მექსიკა
კლაუსურა. V ტური

სანტოსი 3:0 ატლანტე

ტეკოსი 3:2 პუებლა

### გერმანია
II ბუნდესლიგა. XX ტური

გლადბახი 0:1 მაინცი

### ჩეხეთი
გამბრინუს ლიგა. XVII ტური

ლიბერეცი 1:1 ბანიკი

### არგენტინა
კლაუსურა. II ტური

ბანფილდი 3:1 რასინგი

კოლონი 3:0 არსენალი

ბოკა ხუნიორსი 4:0 არგ. ხუნიორსი

### შვეიცარია
ჩელენჯლიგა

XIX ტური

ბელინცონა 2:0 ვილი


დიმიტრი რამიშვილი


უჩა უგულავა და ნოდარ ახალკაცი

# განუგრავას ფიფა გამოიძიებს

## ყრილობამ თქვა: კოლხიდა 20 წლით!

**გუშინ** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ „ბასაში" სფფ-ის ყრილობა გაიმართა, რომლის დღის წესრიგში დაყენებული საკითხები დამტკიცდა — კერძოდ, ფედერაციის წესდებაში შესწორებები და ცვლილებები შეიტანეს. ამასთან, ფედერაციის აღმასკომს რეგიონული ფეხბურთის ფედერაციების განვითარების გეგმის შესწავლა დაევალა.

ბარემ აქვე ვთქვათ, რომ მომდევნო ყრილობა მაისში გაიმართება.

ჟურნალისტებს ყრილობის დასრულების შემდეგ მოგვეცა სფფ-ის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცთან და პროფლიგის პრეზიდენტ დიმიტრი რამიშვილთან გასაუბრების საშუალება...

**ნოდარ ახალკაცი:** პირველ რიგში, ვისაუბრეთ მედია-უფლებებზე, „კოლხიდას" 20 წლით გადაეცა ეროვნული ჩემპიონატის და თასის მატჩების ტრანსლირების უფლება.

— მატჩების გაშუქება ჩემპიონატის მეორე წრის პირველივე ტურიდან, 23 თებერვლიდან დაიწყება?

— ასეა დაგეგმილი. „კოლხიდა" ამ პროექტით საზოგადოებრივ მაუწყებელთან თანამშრომლობს. პირდაპირი რეპორტაჟის გარდა, იქნება ტურის და სათასო მატჩების მიმოხილვები.

სანამ ახალკაცს გავესაუბრებოდით, შევიტყვეთ, რომ „ზესტაფონის" გენერალურ მდივან დავით აბაშიძეს ყრილობაზე დაუჩივლია, არალიცენზირებული აგენტები დაისაჯონო.

„გიორგი განუგრავას „ზესტაფონთან" კონტრაქტის ამოწურვამდე ხუთი თვე ჰქონდა დარჩენილი, მაგრამ საბერძნეთში ატარეს, ვერც ერთ გუნდში ვერ მოაწყვეს, მერე წელიწადზე მეტი უთამაშებელი იყო და ახლაღა გადავიდა „ბოლესლავში". ჩვენს კლუბზე ამან ცუდად იმოქმედა და ვფიქრობ, არალიცენზირებული აგენტები უნდა დაისაჯონ" — გვითხრა აბაშიძემ.

ამ საკითხზე ახალკაცს რომ ვკითხეთ, აგვიხსნა:

— „ზესტაფონს" ჰქონდა გარკვეული პრეტენზიები, თუმცა ვერ წარმოადგინა დამამტკიცებელი საბუთები, რომ განუგრავას ტრანსფერი არალიცენზირებული აგენტის მეშვეობით შედგა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ვალდებული იყო, კონტრაქტის გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში გადაეგზავნა სატრანსფერო ფურცელი ჩეხეთის ფეხბურთის ფედერაციაში და ასეც მოვიქეცით. ამავე დროს, ვაცნობეთ ფიფას და ისინი გამოიძიებენ, არალიცენზირებულმა აგენტმა გააკეთა ეს ტრანსფერი თუ არა. მოიძიებენ შესაბამის დოკუმენტებს და ამის შესაბამისად იმოქმედებენ. არალიცენზირებული აგენტების პრობლემა მარტო საქართველოში არ არის, მსგავსი რამ მსოფლიოშიც ხშირად ხდება.

— ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელების საკითხზეც ვთქვათ: როდის დაინიშნებიან ისინი?

— ჩვენ უკვე დავასრულეთ ამაზე მუშაობა და გვინდა, რომ ერთობლივი პრეზენტაცია გავაკეთოთ, სადაც ოთხივე ნაკრების მწვრთნელებს წარმოგიდგენთ.

— და კლაუს ტოპმიოლერთან კონტრაქტი ოფიციალურად როდის გაფორმდება?

— ესეც ამ პრეზენტაციის პროგრამაში შედის.

— როდის იქნება პრეზენტაცია?

— თებერვლის ბოლოს ან მარტის დასაწყისში.

**დიმიტრი რამიშვილი:** მოხარული ვარ, რომ „კოლხიდას" საკითხი იურიდიულ ჩარჩოებში მოექცა. ვისაუბრეთ საკლუბო ფეხბურთის, ასევე ბავშვთა ფეხბურთის განვითარებაზე. ჩემპიონატის მეორე წრის კალენდარი დავამტკიცეთ, ასევე ვილაპარაკეთ კლუბების ლიცენზირებაზე 2008-2009 წლების სეზონში, სადაც ულიცენზიოები ვეღარ ითამაშებენ.

**ილია ნანობაშვილი**

# ტრაპის კონტრაქტით ფიფაც დაინტერესდა



**ირლანდიის** ნაკრების მთავარ მწვრთნელად ჯოვანი ტრაპატონის დანიშვნას და გაფორმებული კონტრაქტის დეტალების შესწავლას ფიფა აპირებს.

ხელშეკრულების თანახმად, ტრაპატონი ჩვენს მეტოქე „სამყურებს" ორი წლის განმავლობაში გაწვრთნის, ხელფასის (2 მილიონი ევროს) ნახევარს კი ირლანდიელი მილიარდერი დენის ობრაიენი გადაიხდის.

ფიფაც სწორედ იმიტომ დაინტერესდა, ხელშეკრულებაში ბიზნესმენი რომ მონაწილეობს.

„ამჟამად მსგავსი გარიგების ამკრძალავი წესი არ არსებობს, თუმცა გვსურს, ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციისგან დეტალური ინფორმაცია მივიღოთ და კონტრაქტის დეტალები შევისწავლოთ" — განაცხადა ფიფას პრესსამსახურმა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება

www.pfl.ge

მეოთხედფინალი. პირველი მატჩი

გორი. 18 თებერვალი. 14 საათი. ქართლი

### სპარტაკი 0:0 დინამო

**სპარტაკი:** ქვილითაია, კუპრეიშვილი, ქემოკლიძე, ხაჭიპერაძე, მამუკაშვილი, გოგოხია (ივანიშვილი 78), ხიდაშელი, თარხნიშვილი, ძარია, ტყეშელაშვილი, მ. ლონლაძე (ვ. კვარაცხელია 81)
*სათადარიგონი:* კოდალაევი, თექთუმანიძე, დათუნაშვილი, ბახტურიძე, დარბაიძე
**მწვრთნელი:** კობა ჟორჟიკაშვილი

**დინამო:** ოვონო, თომაშვილი, გ. კაშია, ნერგაძე, დობეში, დიღმელაშვილი, ხმალაძე, სპასოევიჩი (ვაწაძე 86), გ. მერებაშვილი, მ. ხუციშვილი, აკირემი (გრიგალაშვილი 54)
*სათადარიგონი:* ლორია, ჯიშკარიანი, გველესიანი, ფირცხალავა, ქანთარია
**მწვრთნელი:** დუშან უპრინი

**გაფრთხილება:** ოვონო (27), სპასოევიჩი (46), კაშია (48), თარხნიშვილი (88)

**მსაჯები:** გ. ვადაჭკორია, მ. ელიკაშვილი, ზ. ხუციშვილი, მ. ბეუქლიშვილი

# ჯერ დინამო გადაურჩა სპარტაკს, მერე კი — სპარტაკი დინამოს გორში ნულები გაგორდა

**ტარიელ შოთნიაშვილი** გორიდან

**მატჩის** დაწყების წინ მოთამაშეებმა და მაყურებლებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს თბილისის „დინამოს" პრეზიდენტ ბადრი პატარკაციშვილის ხსოვნას.

ცივი და ქარიანი ამინდის მიუხედავად, მატჩმა საინტერესოდ ჩაიარა, თუმცა გოლები ვერ ვიხილეთ. „სპარტაკმა", რომ იტყვიან, ტოლი არ დაუდო მეტოქეს.

თამაშის დასაწყისში გუნდები ფრთხილობდნენ და სახიფათო მომენტები თითქმის არ შექმნილა. მხოლოდ 23-ე წუთზე შეეძლოთ დინამოელებს ანგარიშის გახსნა, როდესაც კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს კარგად შეურჩია პოზიცია გიორგი ნერგაძემ, მაგრამ მისი თავური ოდნავ ასცდა მიზანს.

ტაიმის შუიდან „სპარტაკმა" ტემპს მოუმატა, საგრძნობი უპირატესობა მოიპოვა და სახიფათო მომენტებმაც იმატა „დინამოს" კართან.

27-ე წუთზე თორნიკე თარხნიშვილმა მამუკა ლონლაძე პირისპირ გაიყვანა დიდიე ოვონოსთან, მაგრამ მეკარემ გაფრთხილების ფასად (ბურთი საჯარიმოს ხაზის გარეთ ხელით დაიჭირა) გადაარჩინა საკუთარი კარი აშკარა გოლს.

საჯარიმო ირაკლი ძარიამ დაარტყა, მაგრამ ბურთი ცოცხალ კედელს მოახვედრა.

31-ე წუთზე იმავ ძარიას ისევ შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ ახლოდან უზუსტოდ დაარტყა.

შვიდ წუთში ხიდაშელი-ლონლაძის კომბინაციის შემდეგ „დინამო" კვლავ გადაურჩა გოლს. ტაიმის ბოლო წუთებზე კი ლონლაძემ ორჯერ ვერ გაიტანა — ჯერ ტყეშელაშვილის პასით კვლავ პირისპირ აღმოჩნდა ოვონოსთან და ბურთი მას მოარტყა, ხოლო შემდეგ კი არაზუსტად დაარტყა.

მეორე ტაიმში მატჩის სურათი საპირისპიროდ შეიცვალა. თავიდან „სპარტაკი" კვლავ უტევდა, მაგრამ შემდეგ „დინამომ" გარდატეხა შეიტანა თამაშში და უკვე ცხინვალელებს მოუხდათ საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნვა.

„დინამომ" რამდენიმე კარგი მომენტი ვერ გამოიყენა, ხოლო 75-ე წუთზე „სპარტაკის" კარი სასწაულით გადაურჩა გოლს — გიორგი მერებაშვილმა საჯარიმოს ხაზიდან ძლიერად დაარტყა კარში, მაქსიმე ქვილითაიამ ბურთი მოიგერია, რომელსაც იქვე მყოფმა მიხეილ ხუციშვილმა დაამატა და ბურთი ხარიხას მოხვდა...

ბოლო წუთები „დინამოს" უპირატესობით გაილია, მაგრამ...

# ფეიქრიშვილიც ბორჯომში?

**„ბორჯომის"** მთავარ მწვრთნელ ვლადიმერ ხაჩიძეს დაბედებული აქვს, სეზონში რამდენჯერმე შეაკოწიწოს გუნდი. ერთი დღეც არ ჰქონია „ბორჯომს" ხეირიანად მოსამზადებლად, ისე ითამაშა გუშინწინ სათასო მატჩი გორში „დილასთან".

კურორტელებმა 2:3 დათმეს, თუმცა საქართველოს თასის ნახევარფინალში გასვლის რეალური შანსი აქვთ.

ტრადიციულად, „ბორჯომში" იჯარით რამდენიმე დინამოელი თამაშობს (გრიშიკაშვილი, ქავთარაძე, გუგავა, ჩირიკაშვილი).

როგორც ხაჩიძემ გვითხრა, არ არის გამორიცხული, მათ გიორგი ფეიქრიშვილიც შეემატოს.

**ნუკრი ლოლაძე**

დრო იყო, ქართულ სპორტს მარტო შენ ჰყავდი,
სიტყვა ბევრისა, ფოტო-საქმე ერთისა – ალექსანდრე
კოტორაშვილისა. აკი ხარ კიდეც ჩვენი სპორტის
მემატიანე და, ეს ის არის, ამის ფოტოები
„ლელოში" რომ იყოო, ახლაც იხსენებს ბევრი.
„ლელოც" ძველი იყო, შენც ძველი, ოღონდ ახლაც
მოუღლელი ხარ. ღვინისა არ იყოს, დრო გადის,
შენ კი ფასი გედება და, აბა ამას უნდა დანახვა.
სანდრო 65 წლისაა და... გადაიღე, კოტორ!

# ჯერ თავმოსაწონი არაფერი გვაქვს

თითქოს წესად იქცა, რომ მალხაზ ასათიანს შეკრების გარკვეული ნაწილი ტრავმის გამო უნდა გაუცდეს. არადა, სწორედ ამ დროს, როდესაც შვებულებიდან დაბრუნებული ფეხბურთელი ოპტიმალური ფორმის აღდგენაზე მუშაობს, თითოეულ ვარჯიშს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. წლეულს თითქოს ყველაფერი კარგად დაიწყო, ასათიანიც არაფერს უჩიოდა, თუმც ლატვიასთან სანაკრებო თამაშმა დროებით შეაყოვნა. შარშან მალხაზს ტრავმამ იმდენი გააცდენინა, ახლა მცირე პაუზაც ნერვებს უშლის და მოედანზე დაბრუნება სასწრაფოდ სურს...



## მომაბეზრებელი ტრენაჟორები

## მალხაზ ასათიანი: მომავალ შესარჩევს იმედით ვუყურებ

— ლატვიასთან მატჩში მეტოქემ კოჭში ჩამარტყა, თავიდან დიდი ყურადღება არ მიმიქცევია, თუმცა ყველაფერი უფრო სერიოზული გამოდგა. რამდენიმე დღის განმავლობაში ბუცის ჩაცმასაც ვერ ვახერხებდი, სირბილზე ლაპარაკიც ზედმეტია. ამას აქილევსის ტრავმაც დაემატა... ასე რომ, ჯერ სატრენაჟორო დარბაზში ვარჯიში მიწევს, რაც ძალიან მომბეზრდა. მინდა მოედანს, რაც შეიძლება, მალე დავუბრუნდე.

**— ორი წლის წინ შეკრებაზე ერთ-ერთი სპარინგისას დაშავდით, შარშან მუხლის ტრავმის გამო მთელი მოსამზადებელი ეტაპი გაგიცდათ, ახლაც მორიგი ტრავმა — გათვალული ხართ?**

— მორწმუნე ადამიანი ვარ და ამგვარი რამეების არ მჯერა. სამწუხაროა, რომ მოვლენების ამგვარი განვითარება თანდათან უსიამოვნო ტრადიციად მექცა. დაკარგულის ანაზღაურება ყოველთვის რთულია.

**— „ლოკომოტივის“ ახალ მწვრთნელ რაშიდ რახიმოვს საინტერესო ვარჯიშები აქვს?**

— ძალიან. ბევრი დრო ეთმობა ბურთით ვარჯიშს. მას ბევრი ისეთი ვარჯიში აქვს, რომელიც აქამდე არ გაგვეგო. ამავდროულად, ყოველი ახალი ვარჯიში წინასგან განსხვავებულია.

**— შეგიძლიათ, ყველაზე უცნაური ვარჯიში გაიხსენოთ?**

— ესპანურ შეკრებაზე მწვრთნელმა მოგვთხოვა, ფეხბურთი სირბილის გარეშე, სიარულით გვეთამაშა და ზუსტი გადაცემები გაგვეკეთებინა. რა დანიშნულება ჰქონდა ამ ვარჯიშს, თავიდან ვერ გავიგე, ხოლო შემდეგ ვერც შევნიშნე, როგორ დავიწყე მოედანზე ფიქრი, რა ადგილი დამეკავებინა და პასი საით გამეკეთებინა.

**— მწვრთნელს როგორ შეეგუეთ?**

— ყველაფერი წესრიგშია. რახიმოვს სერიოზული მოთხოვნები და დისციპლინა აქვს, თუმცა, ამის გამო გუნდი ყაზარმას არ დამსგავსებია. თავისუფლება არ იზღუდება, მთავარია, შენმა ქმედებამ საქმეს არ ავნოს.

**— თქვენს გარეშე მოთამაშე „ლოკომოტივი“ გოლს არ უშვებს. შემადგენლობაში ადგილის დაკარგვის არ გეშინიათ?**

— სულაც არა. საქმის კეთილსინდისიერად შესრულებას მიჩვეული ვარ, შემადგენლობის შერჩევა კი მწვრთნელის გადასაწყვეტია.

**— რახიმოვის მოსვლის შემდეგ „ლოკომოტივი“ მხოლოდ ათდღიან შეკრებებს გადის. ასე უფრო მოსახერხებელია?**

— პირადად ჩემთვის ეს უფრო მისაღებია. ორკვირიან შეკრებაზე ფსიქოლოგიურადაც იღლები. ათი დღე კი ოპტიმალური ვადაა.

**— თუმცა პირველი ათდღეული არცთუ იოლი გამოდგა...**

— სხვაგვარად ვერც იქნებოდა. შვებულების შემდეგ საქმის განახლება ყოველთვის რთულია. ამავდროულად, პირველ შეკრებაზე დატვირთვაც განსაკუთრებულია, თუმცა გარდაუვალი.

**— მეხსიერებიდან გასული სეზონის ამოშლა უკვე შეგიძლიათ?**

— ის სეზონი ყოველმხრივ ჩავარდნილი გამოდგა. ასე რომ, ყველაფრის დავიწყების სურვილი იყო, მაგრამ ზოგი რამ უკეთესია, გონებაში დაიტოვო, რათა იგივე შეცდომა არ გაიმეორო.

**— მაღლა ასასვლელად, ჯერ დაცემაა საჭირო?**

— დაახლოებით... რა თქმა უნდა, წელიწადის დაკარგვა სამწუხაროა და გულშემატკივრების წინაშეც შევრცხვით, თუმცა აქედან სასარგებლო გამოცდილების მიღებაც შეიძლება.

**— „ლოკომოტივის“ გულშემატკივრებს გუნდთან პრეტენზიები ჰქონდათ. წყენა არ დაგრჩათ იმის გამო, რომ ზოგჯერ მათგან მხარდაჭერის ნაცვლად, კრიტიკას იღებდით?**

— არანაირად. მტკივნეული იყო ტრიბუნებიდან ლანძღვის მოსმენა და უსიამოვნო ბანერების დანახვა, თუმცა დამნაშავენი ჩვენ ვართ. მათ ადგილზე მეც იგივე რეაქცია მექნებოდა.

**— კრიტიკამ შეიძლება წყობიდან გამოგიყვანოთ?**

— არა. ჩემი გაბრაზება იოლი არ არის, განსაკუთრებით, მოედნის გარეთ. თამაშის დროს კი ზოგჯერ ძალიან ვღიზიანდები, შესაძლოა, ჩხუბშიც ჩავერთო, ვინმეზე ხელითაც კი გავიწიო, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა უსამართლობას ვხედავ. თუმცა, ასაკის მატებასთან ერთად, ემოციების მოთოკვაც ვისწავლე და ბოლო დროს თავის ხელში აყვანას ვახერხებ.

**— ბრანისლავ ივანოვიჩთან „მოსკვასთან“ მატჩის შესვენებისას მომხდარი კონფლიქტი ამ წესებიდან გამონაკლისი იყო?**

— რა თქმა უნდა. კონფლიქტი ფინალური სასტვენისთანავე დასრულდა და წყენა არავის დარჩენია გულში. მოედანზე გარკვეულწილად ყველა ვიცვლებით, მაგრამ ამ ემოციების გარეთ გატანა უაზრობაა. იმ მომენტამდე და შემდეგაც მე და „ბანო“ მეგობრებად ვრჩებით.

**— სანამ ივანოვიჩი „ჩელსიში“ წავიდოდა, მასთან გამომშვიდობება თუ მოასწარით?**

— სამწუხაროდ, ვერა. ბოლოს ის სეზონის დასრულების შემდეგ გამართულ ბანკეტზე ვნახე. შემდგომი მოვლენები კი გაზეთებიდან შევიტყვე. ძალიან მიხარია, რომ „ბანო“ ასეთ ძლიერ კლუბში გადავიდა და იმედი მაქვს, მისი კარიერა იქაც წარმატებით წარიმართება.

**— ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, „ლოკომოტივში“ ერთ-ერთი უხუცესთაგანი ხართ, ხშირად გიწევთ თქვენს თავზე ბევრის აღება?**

— ჩვენს გუნდში ურთიერთობა ასაკზე დამოკიდებული არ არის. მოედანზე ზოგჯერ მკაცრი ფორმით გიწევს მითითებების გაკეთება, თუმცა ეს მხოლოდ ემოცია და სიტუაციის გამოსწორების სურვილია.

**— თავიდან „ლოკომოტივში“ თქვენ თუ გყავდათ გამოცდილი ფეხბურთელებიდან ვინმე „მრჩევლის“ მაგვარი?**

— ამ სიტყვის სრული გაგებით არა. ყველაზე ხშირად ურთიერთობა მარატ იზმაილოვთან მქონდა, რომელიც თითქმის ჩემი ასაკისაა. ის ძალიან დამეხმარა უცხო ქალაქში ადაპტირებაში. ხოლო ეროვნულ ნაკრებში, სადაც 18 წლისა მოვხვდი, იყვნენ გამოცდილი ფეხბურთელები, რომლებმაც მაშინვე აიღეს ჩემზე „შეფობა“ და ხასიათის განმტკიცებაში დამეხმარნენ. მაგრამ კონკრეტულად ვინმეს გამორჩევა არ შემიძლია, რადგან ყველას მადლიერი ვარ.

**— საქართველოს ნაკრებზეც გკითხავთ: ბოლო წლებში რატომ არის თქვენი გუნდი იძულებული, შესარჩევ ტურნირებში მეოთხე-მეხუთე ადგილებს დასჯერდეს?**

— ქართველი მოთამაშეების წინა თაობა ახლანდელზე ძლიერი იყო. ეს საწყენი არც ერთი ჩვენგანისთვის არ უნდა იყოს, ასეთია ობიექტური რეალობა. იმ ნაკრების წამყვანი ფეხბურთელები — ქინქლაძე, არველაძე, ცხადაძე, ყაველაშვილი — ევროპის ძლიერ ჩემპიონატებში თამაშობდნენ. ამის გარდა, საქართველოს ჩემპიონატიც უფრო ძლიერი იყო, ვიდრე დღესდღეობითაა. სამწუხაროდ, ჩვენთან გუნდების უმრავლესობა თავის გატანას გაჭირვებით ახერხებს.

**— გერმანელმა მწვრთნელმა კლაუს ტოპმიოლერმა, რომელიც საქართველოს ნაკრებს ორი წლის წინ ჩაუდგა სათავეში, რაიმეს შეცვლა მოასწრო?**

— ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირით თუ ვიმსჯელებთ, პროგრესი ჯერ ნაკლებად შეიმჩნევა. ფარერელთა წყენინება არ მინდა, მაგრამ ისინი ნებისმიერ მდგომარეობაში მყოფებმა უნდა დავამარცხოთ. ჯერ თავმოსაწონი არაფერი გვაქვს. იმედია, მომდევნო შესარჩევი ტურნირი ჩვენთვის უკეთ წარიმართება.

**— ნაკრებში ისევ ნახევარდაცვის ცენტრში თამაშობთ?**

— არა, ბოლო დროს ნაკრებშიც ცენტრალურ მცველი ვარ.

**— და ამას შეეგუეთ?**

— ამ საკითხს მწვრთნელი წყვეტს, თუმცა ჩემთვის უფრო საინტერესო ნახევარდაცვაში თამაშია — შეტევაში მონაწილეობა, საგოლე პასების გაკეთება... მაგრამ, დიდი ხანია, დაცვაში ვთამაშობ და მივეჩვიე.

**— ბევრი ფეხბურთელისთვის შეკრებაზე მთავარი გასართობი კომპიუტერია. თქვენ როგორ გაგყავთ დრო?**

— კომპიუტერთან დიდი დროის გატარება არ მიყვარს, თავის ტკივილი მეწყება. აი, დავით მუჯირს კი, ვისთანაც ერთ ოთახში ვცხოვრობ, შეუძლია, საათობით იჯდეს ნოუთბუქთან. პირადად მე სხვა რამეებს ვანიჭებ უპირატესობას — აქ საფეხბურთო კლუბი „ანჟია“ ჩამოსული, რომელშიც ჩემი ახლობლები არიან. გარდა ამისა, მოსკოვიდან მეგობრებიც იყვნენ ჩამოსულები... ყველაზე მეტად კი, ბოლოს და ბოლოს, ვარჯიშის განახლება მინდა.

## ქართული დერბი კუნძულზე

კვიპროსულ შეკრებაზე მყოფმა დნეპროპეტროვსკის „დნიპრომ“, რომელშიც ქართველი ფეხბურთელები — ჯაბა კანკავა და სანდრო კობახიძე თამაშობენ, მორიგ ამხანაგურ მატჩში გივი კვარაცხელიას და ნუკრი მანჩხავას ლიტვური „კაუნასი“ 1:0 დაამარცხა.

„დნიპრომ“ ორივე ტაიმი განსხვავებული შემადგენლობებით ჩაატარა.

მწვრთნელმა ოლეგ პროტასოვმა კანკავა პირველ ტაიმში ათამაშა, კობახიძე კი მეორეში.

სანდროს 48-ე და 66-ე წუთებზე შეეძლო გოლის გატანა, თუმცა ბურთი კარს ზემოდან გადააცილა.

რაც შეეხებათ კაუნასელ ქართველებს: მანჩხავა და კვარაცხელია ძირითადში იყვნენ.

**ქახა ზალამბერიძე**

## სკონტომ სამივე გამოაჩინა

თურქულ შეკრებაზე მყოფმა რიგის „სკონტომ“ მორიგი ტესტ-მატჩი გამართა და სამივე ქართველი ძირითად შემადგენლობაში იყო — დავით გამეზარდაშვილმა და ზაალ ელიავამ სრულად ითამაშეს, ვლადიმერ დვალიშვილი კი შეცვალეს.

„სკონტომ“ მოულოდნელად 0:2 წააგო უკრაინის ქვედალიგელ „ალექსანდრიასთან“. ლატვიელებმა ორივე გოლი მატჩის მიწურულს გაუშვეს.

**ქახა ზალამბერიძე**

## ბურდულის სრული აქტიურობა

ლუგანსკის „ზარიამ“ და ლადო ბურდულმა კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი გამართეს და ბარნაულის „დინამო“ 3:1 დაამარცხეს.

ლადო ბურდულმა სრულად ითამაშა და უკრაინული პრესის ცნობით, საკმაოდ აქტიურიც ყოფილა.

**ქახა ზალამბერიძე**

## დემეტრაძე: ორი პასი სამ ტაიმში

კიევის „არსენალი“ ერთ დღეში ჩერკასის „დნეპრს“ ორჯერ შეხვდა და დედაქალაქელთა ქართველმა თავდამსხმელმა გიორგი დემეტრაძემ ჯამში სამი ტაიმი ითამაშა.

პირველი მატჩი დემემ შეუცვლელად ჩაატარა და ორი საგოლე პასით თავისიანებს 3:2 მოაგებინა. მეორე შეხვედრაში (1:1) კი შეცვლაზე შევიდა და თავი დიდად არ გამოუჩენია.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# პენალტი ავტობუსია
## შეიძლება დიდხანს ელოდო



**სერია A-ს 23-ე ტურის საუკეთესო ტურინის „იუვენტუსის“ ვეტერანი კაპიტანი ალესანდრო დელ პიეროა, რომელიც „რომასთან“ მატჩში ცივსისხლიანი, საოცრად აქტიური და სასარგებლო გახლდათ. მან სეზონში მეათე გოლი გაიტანა და თავის გუნდს მნიშვნელოვანი მატჩი მოაგებინა. დანარჩენს channel4.com-ის მორიგი ჩანახატიდან შეიტყობთ**

### გამარჯვებულები

***ალესანდრო დელ პიერო (იუვენტუსი)*** — მან ნამდვილი ჩემპიონივით ითამაშა და ტურის მთავარ მატჩში, ბრწყინვალე საჯარიმო დარტყმით, გამარჯვების გოლი შეაგდო. „პინტურიკიო“ მინდვრის ყველა მონაკვეთში ლიდერი გახლდათ. მან რომაელები დატანჯა.

***ანტონიო კასანო (სამპდორია)*** — უბრალოდ, შეუდარებელი იყო. სწორედ მისი მოძრაობების, ფინტების, გარღვევებისა და მინდვრის ხედვის გამო აქვს ხალხს იმედი, რომ „ხულიგანი“ ევრო 2008-ზე მოხვდება. კასანო საოცარი ტალანტია და თუ ისევ ხასიათმა არ შეუშალა ხელი, დიდი მომავალი კვლავაც ელის.

***ნიკოლა პოცი (ემპოლი)*** — ძალიან სამწუხაროა, რომ ბრწყინვალე თამაშისა და ორი გოლის მერე (რამაც „ემპოლის“ ნეაპოლში ისტორიაში პირველად მოაგებინა), მან მუხლის სერიოზული ტრავმა მიიღო. შესაძლოა, პოციმ სეზონის ბოლომდე ველარც ითამაშოს, მაგრამ უკეთესის იმედი დავიტოვოთ და წარმატებები ვუსურვოთ.

### დამარცხებულები

***ნელსონ დიდა (მილანი)*** — ნამდვილად მიღწევაა, დაშავდე სათადარიგოთა სკამზე ისე, რომ მინდორზე ფეხიც არ შეადგა. იქნებ, მან ამ გზით სცადა, თანამემამულე და თანაკლუბელი რონალდოსთვის ტკივილი შეემსუბუქებინა?

***ანდრეა პიზანუ (პარმა)*** — ეს იყო კვირის ვერგამოყენებული მომენტი. იქნებ, მის გუნდს „მილანთან“ მოეგო კიდეც, კარიდან 7-8 მეტრში უმეთვალყურეოდ მყოფ პიზანუს გოლი რომ გაეტანა, მაგრამ მან ბურთს საერთოდ ააცილა ფეხი.

***ფრანჩესკო ტოტი (რომა)*** — ბოლო ხანებში ყოველთვის იოლად იგებდა დელ პიეროსთან დუელს, თუმცა შაბათს ტურინში „ჯალოროსის“ სიმბოლო მინდორზე საერთოდ არ ჩანდა. მიმდინარე სეზონში ეს პირველად არ ხდება. თუ „ელ პუპონე“ ჩვეულად არ ათამაშდა, „რომას“ სკუდეტოსთვის ბრძოლა კი არა, მეორე ადგილის შენარჩუნება გაუჭირდება.

### გოლები

***ალესანდრო დელ პიერო*** — ელეგანტური, ტექნიკური და მოჭრილი დარტყმებითაა ცნობილი, მაგრამ ამჯერად ალექსმა საჯარიმო რაკეტასავით გაისროლა და ბრწყინვალე გოლიც გამოუვიდა.

***ფრანჩესკო მოდესტო (რეჯინა)*** — რეჯოკალაბრიელთა ნახევარმცველმა ამ დიდებულ გოლში ყველაფერი ჩადო. მან ბურთი მიიღო, ტრიალში მცველი ჩამოიცილა და საკმაოდ მახვილი კუთხიდან შორეულ ცხრიანში იუველირის სიზუსტითა და საშინლად ძლიერად გაისროლა.

***ადრიან მუტუ (ფიორენტინა)*** — რუმინელის მორიგი ლამაზი და მნიშვნელოვანი გოლი. 14 ბურთით ბომბარდირთა დავაში [illegible] მეორეა ზლატან [illegible] ერთად. მუტუმ შორიდან დაარტყა და „კატანიას“ კარის ბადე კინაღამ გახვრიტა.

### რიცხვები

***მილენიუმი:*** „პარმასთან“ შეხვედრა ლეგენდარული პაოლო მალდინისთვის მე-1000 ოფიციალური მატჩი იყო პროფესიულ დონეზე. მცირე იუბილე ჰქონდა „ტორინოს“ ლიდერ ალესანდრო როზინასაც — მან ტურინელთა მაისურა მეასედ მოირგო.

***გრანდებში გრანდი:*** „იუვენტუსი“ სერია A-ს გასულ ზაფხულს დაუბრუნდა შესუსტებული შემადგენლობით, თუმცა ტურინელები მიმდინარე სეზონში სხვა გრანდებთან და უშუალო კონკურენტებთან წაუგებლები რჩებიან. „ინტერთან“, „მილანთან“, „რომასთან“ და „ფიორენტინასთან“ მათ ჯამში ჯერჯერობით ხუთი შეხვედრა ჩაატარეს. აქედან 1 მოიგეს, ოთხჯერ კი ფრედ ითამაშეს.

***პენალტი და წითლები:*** პენალტები ავტობუსებს ჰგვანან. აგერ, „ლაციო“ მთელი სეზონი ელოდა, თერთმეტმეტრიანებით როდის დაასაჩუქრებდნენ და „ატალანტასთან“ მატჩში ერთბაშად ორი დაუნიშნეს. ჯერ პენალტით არ დაუჯილდოვებიათ „უდინეზე“ და „რეჯინა“. ამასობაში მსაჯ პაოლო სილვიო მაცოლენის შესვენებაზე მოუხდა წითელი ბარათების ფრიალი, რაც იშვიათად ხდება. მიზეზი ის არის, რომ ნეაპოლელმა მარსელო სალაიეტამ და ემპოლელმა ფელიჩე პიკოლომ გასახდელისკენ მიმავალ გვირაბში იჩხუბეს.

**გიორგი ძაძამიძე**

# რომა იუვესთან გაიშიფრა

**„იუვესთან“** მარცხმა „რომაში“ ვითარება არია. ტურინიდან შინ მიმავალი გუნდის ფეხბურთელები წაკინკლავდნენ. ალბერტო აკვილანი კრისტიან პანუჩის უკმეხად გაეხუმრა, რაც ვეტერანმა იწყინა. კინკლაობა მეორე დღეს ვარჯიშისასაც გაგრძელებულა, მაგრამ მწვრთნელმა ბიჭები დააწყნარა. პანუჩის „იუვესთან“ არ უთამაშია, სარეალოდ დაასვენეს და აკვილანისაც ამის გამო უთქვამს, რა ძვირფასი კაცია გუნდისთვის, როგორ უფრთხილდებიანო. ჩხუბიც ამას მოჰყოლია.

იტალიური „რომას“ სიმბოლო ფრანჩესკო ტოტი კი იძახდა, „იუვენტუსთან“ მატჩი ბევრისთვის რომაულ დერბიზე მნიშვნელოვანია და ყველაფერს გავიღებთ, სასურველ შედეგს რომ მივაღწიოთო, მაგრამ მისი გუნდი დამარცხდა, თან ისე, რომ თავად ტოტიმ ფაქტობრივად ერთი დასამახსოვრებელი მომენტიც ვერ შექმნა.

ლუჩანო სპალეტი ბრწყინვალე სპეციალისტია, მაგრამ ამ შემთხვევაში მას კლაუდიო რანიერიმ აჯობა. ერთი სიტყვით, ალესანდრო დელ პიეროს ბრწყინვალე ჯარიმით „იუვემ“ „ჯალოროსის“ ძალიან პრინციპული მატჩი მოუგო და ახლა დედაქალაქელები ტურინელებზე წინ მხოლოდ ქულითღა არიან.

„ბიჭები ჩინებულ ფორმაში არიან და ამიტომაც ვითამაშეთ სამი ფორვარდით შემტევი ფეხბურთი. გვინდოდა, შეხვედრა სწრაფ ტემპში წარმართულიყო. ყველა ბრწყინვალედ გაისარჯა, მაგრამ განსაკუთრებით, ცხადია, დელ პიერო უნდა გამოვარჩიოთ, თავის ასაკში სხვა ფეხბურთელებზე მეტსაც კი შრომობს. ასევე მახარებს ის, რომ მოჰამედ სისოკო ნელ-ნელა ეგუება გუნდს. ერთი სიტყვით, შეხვედრა სათანადო განწყობითა და შემართებით ჩავატარეთ და დამსახურებულადაც ვიმარჯვეთ“ — განაცხადა რანიერიმ.

ალესანდრო დელ პიერო: „დარწმუნებულები ვიყავით, რომ კარგად ვითამაშებდით და მოვიგებდით. ასეც მოხდა, მტკიცე ხასიათი გამოვავლინეთ, ბრწყინვალედ გავისარჯეთ და დამსახურებულად მოვიგეთ. არ ვეთანხმები იმ აზრს, რომ ძირითად კონკურენტებთან შედარებით გაცილებით სუსტი შემადგენლობა გვყავს. ამის საპირისპიროზე ცხრილიც მეტყველებს და ისიც, რომ მიმდინარე სერია A-ში სხვა გრანდებთან ჯერ არცერთი მატჩი არ წაგვიგია. რთული მატჩები ყველას აქვს, მთავარია, ყოველთვის ქულები აიღო, მაშინაც კი, როცა თამაში არ მიგდის“.

„რომას“ მთავარი პრობლემა ამ შეხვედრაში ტრადიციულად ძლიერი ნახევარდაცვის სუსტი თამაში გახლდათ. სპალეტის იმედები განსაკუთრებით დავიდ პისარომ გაუცრუა. ვერც ბოლო პერიოდში დიდებულ ფორმაში მყოფი ამანტინო მანსინი გამოიყურებოდა სათანადოდ.

„განსაკუთრებით ცუდად პირველ ტაიმში გამოვიყურებოდით. ძალიან ერთფეროვნად და უფანტაზიოდ ვთამაშობდით. მეორე ნახევარში ცოტა გამოვსწორდით, მაგრამ გადაწყვეტილებების მიღებას ისევ დიდხანს ვუნდებოდით და შეცდომებს ვუშვებდით. ასეთ რამეებს კი „იუვეს“ დარი კლუბები არ გპატიობენ. შესაძლოა, ბიჭებზე ჩემპიონთა ლიგის მოახლოებამაც იმოქმედა, იქ მხოლოდ ერთი შანსი გაქვს. სერია A-ში კი ვითარების გამოსასწორებლად დრო არის“ — აღნიშნა სპალეტიმ.

„სიენასთან“ 0:3-ის მერე, ეს „რომას“ მიჯრით მეორე მარცხი გახლდათ, თან უგოლოდ. დედაქალაქელთა მცველი ფილიპ მექსესი და ნახევარმცველი როდრიგო ტადეი თვლიან, რომ რაღაც უნდა შეიცვალოს, მათ შორის ტაქტიკაშიც, რადგან მეტოქეები უკვე კარგად იცნობენ სპალეტის უცნაურ და ჭკვიანურ სქემებს.

ფილიპ მექსესი: „ძალიან დამწუხრებული ვარ, საშინლად ვთამაშობთ. პასუხისმგებლობას საკუთარ თავზეც ვიღებ. რაღაც ნამდვილად უნდა შეიცვალოს, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება“.



ფრანჩესკო ტოტი
საკუთარ თავს არ ზოგავდა

„ახლა არცთუ კარგი პერიოდი მიდგას, მაგრამ ალბათ მთელი გუნდისთვისაც ასეა. განსაკუთრებით თავდასხმაში, უფრო მეტი და რაღაც ახალი უნდა გავაკეთოთ, თორემ მეტოქეები უკვე კარგად გვიცნობენ. ფრანჩესკო ტოტიმ, ამანტინო მანსინიმ და მე აუცილებლად უნდა გამოვასწოროთ თამაში, თუ გვსურს, გამარჯვების გზებს დავუბრუნდეთ. ცხადია, ბევრი რამ მწვრთნელზეც არის დამოკიდებული“ — განმარტა ტადეიმ.

**გიორგი ძაძამიძე**

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას წარმოგიდგენთ
სლოტ პოკერ კლუბი VEGA

ჩემპიონთა ლიგა 2007-2008
მერვედფინალი. პირველი მატჩები. დღეს

# მორჩი ლაქლაქს!
## ფერეირამ ბიჭებს ძველი აუკრძალა



ჟესუალდო ფერეირა

### შალკე — პორტუ

„შალკე“ ევროთასებზე ორჯერ გადაეყარა პორტუგალიურ კლუბებს და ორჯერვე გზიდან ჩამოიშორა. ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში პირველად გასული „ხუმარები“ მესამედ ეცდებიან პორტუგალიელთა ბარიერის გადალახვას.

უეფას თასის პირველ წრეში (1976-77) „შალკე“ და „პორტუ“ შეხვდნენ ერთმანეთს. პირველ მატჩში გერმანელებმა სტუმრად ფრეს (2:2) მიაღწიეს, საპასუხოში კი 3:2 იმარჯვეს.

მომდევნო სეზონში ბუნდესლიგელებს, ასევე უეფას თასზე (მესამე წრეში), „ბრაგა“ დაეჯახა. პორტუგალიაში თამაში უგოლოდ დასრულდა, ხოლო გელზენკირხენში მასპინძლებმა 2:0 მოიგეს.

შეგახსენებთ, რომ „შალკემ“ მერვედფინალის საგზური ჯგუფის ბოლო მატჩში „რუსენბორგთან“ გამარჯვებით (3:1) მოიპოვა და სამივე გოლი პირველ ტაიმში შეაგდო.

„ხუმარებს“ პორტუგალიელებთან დადებითი ბალანსი აქვთ, მაგრამ „პორტუს“ ფეხბურთელ პედრუ ემანუელს გაუხარდა, რომ მერვედფინალში მეტოქედ „შალკე“ ერგოთ. შეგახსენებთ, რომ 2004 წლის მაისში პორტუელებმა ჟოზე მაურინიუს თავკაცობით, გელზენკირხენში „მონაკო“ 3:0 დაამარცხეს და ჩემპიონთა თასი მოიგეს.

„პირადად მე ძალიან მინდოდა, რომ „შალკეს“ შევხვედროდით — თქვა ანგოლელმა მცველმა — „აუფ შალკესთან“ სასიამოვნო მოგონება გვაკავშირებს და ვიმედოვნებ, რომ ეს სტადიონი ჩვენთვის ამჯერადაც იღბლიანი იქნება“.

ემანუელს კი გაუხარდა, თუმც „პორტუს“ მწვრთნელი ჟესუალდო ფერეირა ნოსტალგიურ ტალღაზე სულაც არაა და ბიჭებს ურჩევს, მოგონებები თავიდან ამოიგდონ. „2004 წლის ტრიუმფზე ლაქლაქი უნდა დასრულდეს. ვფიქრობ, ამჟამინდელი „შალკე“ მაშინდელ „მონაკოზე“ გაცილებით ძლიერია“ — განაცხადა ფერეირამ.

„პორტუმ“ გერმანულ კლუბებთან ბოლო ოთხ გასვლით მატჩში სამი მოიგო და ერთხელ დამარცხდა.

ჩემპიონატში გასულ უქმეებზე „პორტუ“ „მარიტიმუს“ ესტუმრა და 3:0 მოიგო. ერთი გოლი სეკატიუიმ გაიტანა, ლოპესმა კი დუბლი მიითვალა. თავის მხრივ, „შალკემ“ პარასკევს „ვოლფსბურგს“ უმასპინძლა, სანჩესის გოლით იგებდა, მაგრამ ორი გაუტანეს და წააგო.

„პორტუ“ ჩემპიონატში პირველ ადგილზეა და 19 მატჩში მხოლოდ შვიდი გაუშვა. „მარიტიმუსთან“ შეხვედრაში მცველი ჟოზე ბოსინგვა დაშავდა და მის ნაცვლად, ალბათ, ურუგვაელი ხორხე ფურილე ითამაშებს.

**ვაჟა ხუციშვილი**



# რიოს რისხი

**რიო ფერდინანდი** ამბობს, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ სამ ფრონტზე ბრძოლას თავი რომ დაანებოს, უმძიმესი დანაშაული იქნებაო.

მოგეხსენებათ, ინგლისის ჩემპიონმა მანჩესტერულ დერბიში ნაჩვენები უხარისხო თამაში ფეხბურთის ასოციაციის თასზე „არსენალთან“ 4:0 გამარჯვებით გამოასწორა და ახლა ევროპისკენ მიაქცია პირი — ოთხშაბათს ლიონში ჩემპიონთა ლიგის მატჩი ელის.

თუმცა, დავუბრუნდეთ ფერდინანდს, რომელიც „მანჩესტერ იუნაიტედში“ აგერ უკვე ხუთნახევარი წელიწადია თამაშობს და ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით აცხადებს, რომ დღევანდელის ბადალი „მანჩესტერი“ არ ყოფილა. სხვა საქმეა, რომ ფერდინანდმა კარგად უწყის — წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან და თუ გუნდი ჯილდოებს არ მოიგებს, არანაირ სიძლიერეზე არ ივარგებს ლაპარაკი.

მცველი ამბობს: „ამ სეზონს იმდენი ენერგია დავახარჯეთ, რომ ამ ყველაფრის ქარისთვის გატანება არაფრით შეიძლება. ყველაფერი მომზადებულია, ახლა ჯილდოების აღებაა საჭირო. ვარჯიშებზე დიდძალი ენერგია დავხარჯეთ და მწვრთნელმაც კოლოსალური სამუშაო გასწია, გუნდი საუკეთესო მოთამაშეებით რომ დაეკომპლექტებინა. გარდაქმნის პერიოდში აქ ვიყავი და მთელი შრომის ნაყოფს ყველაზე ნათლად მე ვხედავ. იმის მტკიცება, რომ ამ ან იმ შეჯიბრებას აუცილებლად მოვიგებთ, არ შეიძლება, მაგრამ გუნდში რომ საბრძოლო განწყობაა და ბიჭები მოგების გარდა არაფერზე ფიქრობენ, ფაქტია“.

**პაპუნა ძიდია**

# ლუჩანო სპალეტი მიწაზე დაეშვა

### რომა — რეალი

„**რომა**“ დანავსული სერიის შეწყვეტას შეეცდება „რეალთან“, რომელთანაც შინ სამიდან სამჯერ წააგო და, მათ შორის, ორჯერ სამბურთიანი სხვაობით. ახლა წილისყრამ კიდევ შეახვედრა ეს გუნდები და „რომას“ შანსი მისცა.

ჯგუფურ ეტაპზე იტალიურმა კლუბმა სამი საშინაო მატჩიდან ორი მოიგო და ერთი ფრედ ითამაშა, სულ კი ლიგაში „ოლიმპიკოზე“ ზედიზედ შვიდ შეხვედრაში არ დამარცხებულა.

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში (2001-02) „რეალმა“ რომში 2:1 იმარჯვა, შემდეგ (2002-03) 3:0, რასაც ასეთივე ანგარიში მოჰყვა 2004 წელსაც.

„სამეფო კლუბს“ რომში „ლაციოსთანაც“ უთამაშია ორჯერ და ორჯერვე ერთნაირი ანგარიშით — 2:2, ასე რომ, მადრიდელები „ოლიმპიკოზე“ წაუგებლები არიან.

წინა შაბათს ჩემპიონატის მატჩებში ორივე გუნდი დამარცხდა. „ბეტისმა“ სევილიაში „რეალს“ 2:1 მოუგო, „იუვემ“ კი ტურინში „რომას“ — 2:0. „რეალისთვის“ ეს იყო ბოლო სამში შეხვედრაში მეორე წაგება, „რომასთვის“ კი სტუმრად — მიჯრით მეორე.

რომაელთა მწვრთნელს განსაკუთრებით ფრანჩესკო ტოტის ამბავი აღელვებს. კაპიტანს თვეზე მეტია, გოლი არ გაუტანია და ფორმაში ვერაა. მიუხედავად ამისა, დღეს ძირითად შემადგენლობაში იქნება, რადგან სპალეტის დიდი არჩევანი არ აქვს. ჩერნიგორიელი ფორვარდი მირკო ვუჩინიჩი ტრავმირებულია.

რაც შეეხება „რეალს“, ბეტისელებმა ორივე გოლი თავით გაუტანეს, რაც ჰაერში „რეალის“ სისუსტეზე მიუთითებს. ამის თაობაზე ლუჩანო სპალეტიმ განაცხადა: „ჩვენ დაბალი პასებით ვთამაშობთ და ის, რომ „რეალმა“ ორი გოლი მაღლიდან გაუშვა, უპირატესობას არ გვანიჭებს. მათი წაგება არ გამხარებია, მე მიხარია მაშინ, როცა ჩემი გუნდი იგებს“.

რეალელთა მწვრთნელმა ბერნდ შუსტერმა განაცხადა, რომ „ბეტისთან“ მარცხი, „რომასთან“ მატჩის წინ, გუნდზე უარყოფითად არ იმოქმედებს: „სამშაბათს სულ სხვა ხასიათის თამაში გველის, რადგან სხვა მოტივაციაა და, დარწმუნებული ვარ, არ განმეორდება ის, რაც სევილიაში მოხდა“.

ტრავმამომუშებული გაბრიელ ჰაინცე, სავარაუდოდ, ძირითად შემადგენლობაში იქნება, თუმც რობინიო, პეპე, კრისტოფ მეცელდერი, მარსელო, უესლი სნეიდერი და სავიოლა გუნდს ვერ დაეხმარებიან. ამათგან ორი გასულ უქმეებზე დაშავდა. მარსელომ



ლუჩანო სპალეტი

„ბეტისთან“ ფეხი იტკინა, ხოლო სნეიდერს ვარჯიშზე ნეკნი გაუტყდა.

რომაელებს დაუბრუნდება გამოკეთებული მცველი ჟუანი და კრისტიან პანუჩი, რომელიც „იუვესთან“ მატჩში მწვრთნელმა დაასვენა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# იოზეფ ბლატერი ესპანეთს ემუქრება

**ფიფას** პრეზიდენტი ესპანეთის ნაკრებს და კლუბებს ყველა ტურნირიდან მოკვეთით დაემუქრა. მიზეზი: ქვეყნის მთავრობა ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობაში ცხვირს ყოფს. ესპანეთის სპორტის საბჭომ ყველა ფედერაციას, რომელსაც პეკინის ოლიმპიადაზე ლიცენზიები ვერ მოიპოვა, ვადამდელი არჩევნების ჩატარება მოსთხოვა. იოზეფ ბლატერმა განაცხადა: „თუ ესპანეთის მთავრობა არ შეწყვეტს საფეხბურთო საქმეებში ჩარევას, ვარწმუნებ, რომ ნაკრებს ევროპის ჩემპიონატიდან, კლუბებს კი ევროთასებიდან მოვკვეთთ. ეს არასასურველი ნაბიჯია, მაგრამ სულ ექვსი საათია საჭირო ფიფას საგანგებო სხდომის მოსაწვევად და გადაწყვეტილების მისაღებად. ეს ახალი პრობლემა არაა. მსგავსი რამ მოხდა პორტუგალიასთან დაკავშირებით, რომლის ხელისუფლებაც ერთმა ჩვენმა წერილმა გამოაფხიზლა, ხოლო საბერძნეთი მოვკვეთეთ და 48 საათში პრობლემა მოაგვარეს“.

**ვაჟა ხუციშვილი**

ჩემპიონთა ლიგა 2007-2008

მერვედფინალი. პირველი მატჩები. დღეს

# თოვლი მოსულა, ვიდეო ჩართე!

## ლემონისმა ჩელსი წინ და უკან ატრიალა

### ოლიმპიაკოსი — ჩელსი

**ტრავმამოშუშებული** ანდრეი შევჩენკო იმედოვნებს, რომ მისი დაბრუნება „ჩელსის" „ოლიმპიაკოსთან" მატჩებში ძალიან წაადგება. ჩემპიონთა ლიგის მომგებმა (2003) უკრაინელმა წელის ტკივილის გამო თვეზე მეტი გააცდინა და შაბათს „ჰადერსფილდთან" ინგლისის თასის მერვედფინალში ითამაშა. მატჩი „ჩელსიმ" 3:1 მოიგო ფრენკ ლამპარდის დუბლით და სალომონ კალუს გოლით. შევჩენკოს, ტერისა და ლამპარდის საევროთასოდ გამოჯანმრთელება კი ავრაამ გრანტის გუნდისთვის სწორედაც რომ მისწრება იყო.

„თავს ძალიან კარგად ვგრძნობდი და უკვე ფორმაში ვიყავი, ტრავმა რომ მივიღე — გაიხსენა უკრაინელმა, რომელმაც ბოლოს 26 დეკემბერს „ასტონ ვილასთან" (4:4) წყვილი გოლი გაიტანა — ზუსტად მაშინ დავშავდი, როცა აღმავლობის გზაზე ვიდექი. მესმის, რომ ფეხბურთელის ცხოვრებაში ასეთები ხდება, მაგრამ არ მინდა, გუნდს მნიშვნელოვან მატჩებში დავაკლდე. მსურს, დავეხმარო და გამარჯვებაში ჩემი წვლილი შევიტანო".

„ოლიმპიაკოსის" მწვრთნელი ტაკის ლემონისი კი დარწმუნებულია, რომ მისი გუნდი „ჩელსისთან" გაცილებით უკეთ ითამაშებს, ვიდრე შაბათს „ერგოტელისთან" (1:0).

48 წლის ლემონისი ამ მატჩში ფეხბურთელების გარჯით უკმაყოფილო დარჩა. „ბიჭებს ვთხოვე, სწრაფი გოლები გაეტანათ, რათა მერე ზოგიერთის შეცვლის საშუალება მქონოდა და გუნდსაც „ჩელსისთან" თამაშამდე მაქსიმალურად დაესვენა. ჩანაფიქრი ვერ შევასრულეთ, მაგრამ ადრეც ყოფილა, რომ ჩემპიონატში ცუდ მატჩს ევროთასებზე უკეთესი მოჰყოლია. მჯერა — სამშაბათს სულ სხვა, ბევრად უფრო კარგ ფეხბურთს ვაჩვენებთ" — თქვა მწვრთნელმა.

„ოლიმპიაკოსმა" კვირას დიდთოვლობის გამო ვერ ივარჯიშა და ტაკის ლემონისმა შეგირდებს ვიდეოთი „ჩელსის" მატჩები გაურჩია.

„ერგოტელისთან" ერთ-ერთი გამორჩეული ლუჩო გონსალესი იყო, რომელმაც განაცხადა: „ცუდად ვითამაშეთ, მაგრამ მთავარია, რომ მოვიგეთ და ახლა ჩემპიონთა ლიგის მატჩზე ვფიქრობთ".

„ოლიმპიაკოსს" მცველი ტასოს პანტოსი ჰყავს ტრავმირებული და მის ნაცვლად, ალბათ, ახალნაყიდი ბრაზილიელი ლეონარდო იქნება ძირითად შემადგენლობაში. 15 გოლის გამტანი, ჩემპიონატის ბომბარდირი დარკო კოვაჩევიჩი ჯანზეა, „ნიუკასლის" და „პორტსმუთის" ყოფილი თავდამსხმელის ლომანა ლუა ლუას თამაში კი საეჭვოა.

ლუა ლუას აზრით, „ოლიმპიაკოსს" „ჩელსის" დამარცხება შეუძლია: „პრემიერლიგას ვუყურებ და ვიტყვი, რომ „ჩელსი" ფანტასტიკური გუნდია, მაგრამ არა უძლეველი. დროგბა, ლამპარდი და ანელკა მსოფლიო კლასის ფეხბურთელები არიან, თუმც ჯონ ტერი ახალგამოკეთებულია და მის წინააღმდეგ არ უნდა გაგვიჭირდეს. ჩვენ „რეალს" და „ლაციოს" ფრე ვეთამაშეთ, ამიტომაც არ გვეშინია ახლანდელი მეტოქის. ვფიქრობ, რომ მეოთხედფინალში გავალთ. რაც შეეხება ავრაამ გრანტს, „პორტსმუთიდან" ვიცნობ, სადაც იგი სპორტულ დირექტორად მუშაობდა. ძალიან კარგი ადამიანია და გაჭირვების ჟამს გვერდში დამიდგა. შვილის სიკვდილის გამო დეპრესიაში ვიყავი, ფეხბურთის გაგონება აღარ მსურდა, მაგრამ გრანტმა გადამარჩინა. ჩემით უკვე „ოლიმპიაკოსი" იყო დაინტერესებული, როცა მან დამირეკა და „ჩელსიში" გადასვლა შემომთავაზა, თუმც „ოლიმპიაკოსსაც" ჩემპიონთა ლიგაში უნდა ეთამაშა და საბერძნეთში წამოსვლა ვარჩიე. რას ვიფიქრებდი, რომ წილისყრა ერთმანეთს შეგვახვედრებდა. ავრაამ გრანტისგან დიდად დავალებული ვარ, მაგრამ ეს ფაქტი მისი გუნდის დამარცხების სურვილს ოდნავადაც არ მინელებს".

„ჩელსი" ბერძნულ კლუბს ევროთასებზე მხოლოდ ერთხელ შეხვედრია. თასების მფლობელთა თასზე (1970-71) სალონიკის „არისს" სტუმრად დაუზავდა (1:1), შინ კი გაანადგურა — 5:1.

თავის მხრივ, „ოლიმპიაკოსი" ბოლოს ინგლისურ გუნდს ჩემპიონთა ლიგის (2004-05) ჯგუფურ ეტაპზე გადაეყარა. „ლივერპულს" შინ 1:0 მოუგო, ხოლო „ენფილდზე" 1:3 წააგო. ლიგიდან იმ წელს პირეოსელებმა უეფაზე გადაინაცვლეს და „ნიუკასლთან" შერცხვნენ — 1:3 და 0:4.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მანჩინიმ ლივერპულის სისხლი იცის



მერსისაიდელები „ნერაძურის" დასახვედრად ემზადებიან

### ლივერპული — ინტერი

**ასოციაციის** თასზე „ბარნსლისთან" შერცხვენილი „ლივერპული" „ინტერს" უმასპინძლებს, რომელმაც ამ სეზონში მხოლოდ ერთხელ, სტამბოლში „ფენერბაჰჩესთან" წააგო. რობერტო მანჩინის გუნდი საუცხოოდ თამაშობს — შაბათს „ლივორნოს" 2:0 მოუგო, სერია A-ში დაუმარცხებელია და მდევარ „რომას" 11 ქულით უსწრებს. „ლივორნოსთან" მწვრთნელმა ზლატან იბრაჰიმოვიჩი, ხულიო კრუზი და მარკო მატერაცი დაასვენა. ლუიშ ფიგუ, რომელიც ნოემბრის აქეთ ტრავმის გამო ვერ თამაშობდა, შეცვლაზე შევიდა. ეს ბიჭები დღეს, სავარაუდოდ, ძირითად შემადგენლობაში იქნებიან. აღსანიშნავია, რომ „ინტერი" ბოლო 45 გასვლით მატჩში მხოლოდ სამჯერ დამარცხდა.

„ლივერპულის" საქმეები კი უკან-უკან მიდის — პრემიერლიგაში ლიდერ „არსენალს" 19 ქულით ჩამორჩება და ჩემპიონობას ვინ ჩივის, ოთხეულში მოხვედრას ლამობს, რათა მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგის მიღმა არ დარჩეს. „ბარნსლისთან" წაგებამ რაფაელ ბენიტესის სკამი უფრო მეტად შეარყია. კლუბის ამერიკელი პატრონები აქამდე ამბობდნენ, ესპანელი კონტრაქტის ბოლომდე (2010) დარჩებაო, მაგრამ ასოციაციის თასის მატჩში შერცხვენის შემდეგ, არ გამორიცხავენ, რომ სეზონის ბოლოს დაითხოვონ. ბენიტესმა თავი იმართლა: „გადახედეთ „ლივერპულის" მონაგარს ჩემს ხელში. ჩვენ ოთხი ჯილდო მოვიგეთ და შვიდ ფინალში ვითამაშეთ, მათ შორის, ორჯერ ჩემპიონთა ლიგის ფინალში. სხვა რომელ მწვრთნელს მიუღწევია ასეთი შედეგებისთვის სამ-ოთხ წელიწადში? ან ვინ შეძლებს ყოველწლიურად დიდი ჯილდოს მოგებას? ამის გაკეთება ძნელია. დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან კარგი ახალგაზრდა ფეხბურთელები გვყავს და მათთან ერთად კიდევ ბევრს მივაღწევთ. ეს ფეხბურთია და მე მომდევნო მატჩების მოგებაზე ვფიქრობ და არა კლუბის პატრონის განწყობაზე. ვინმე იტყვის, რომ „ბარნსლისთან" ბიჭებმა არ იბრძოლეს? იბრძოლეს, მაგრამ მომენტები ვერ გამოიყენეს და ამიტომაც წავაგეთ".

რობერტო მანჩინის კი არ სჯერა, რომ „ლივერპული" ცუდ ფორმაშია. „სათასო მატჩებში მთავარ ფეხბურთელებს ასვენებენ და რეალური ძალა არ ჩანს. ამიტომ საუბრები იმაზე, რომ ბენიტესის გუნდი კრიზისშია, არასწორია. სამშაბათს „ენფილდზე" სულ სხვა, გამარჯვებას მოწყურებული მეტოქე დაგვხვდება, ის „ლივერპული", რომელმაც ორჯერ გააღწია ჩემპიონთა ლიგის ფინალში, ის გუნდი, რომელმაც „მილანი" დაამარცხა და ამის შემდეგ „ინტერის" ფანებმა „ლივერპულის" მაისურები იყიდეს. ვიცი ამ გუნდის ხასიათი. მათ სისხლში აქვთ, რომ ყოველ მარცხს მომდევნო მატჩში გამარჯვებით უპასუხონ" — თქვა მანჩინიმ.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ჩერჩესოვმა მოაწერა

**მოსკოვის** „სპარტაკის" მწვრთნელმა სტანისლავ ჩერჩესოვმა გუშინ კონტრაქტი გაახანგრძლივა და კლუბში 2010 წლის დეკემბრამდე დარჩება. „ჩვენ გასული წლის ბოლოს შევთანხმდით — თქვა „სპარტაკის" თავკაცმა — მთავარმა აქციონერმა გარკვეული პირობები შემომთავაზა და ზედმეტი ლაპარაკის გარეშე ხელი ხელს დავარტყით. დეტალები იყო შესაჯერებელი და ოფიციალურად კონტრაქტს ხელი ორშაბათს მოვაწერე". ჩერჩესოვმა გუნდი 2007-ის ივნისში ვლადიმირ ფედოტოვისგან ჩაიბარა და მეორე ადგილზე გაიყვანა. „სპარტაკმა" უეფას თასზე პირველი მატჩში გასულ სამშაბათს „მარსელთან" სტუმრად 1:3 წააგო.

## ბაიერნთან ურაფაელოდ

**„ჰამბურგის"** კაპიტანი რაფაელ ვან დერ ვაარტი „ციურიხთან" დაშავდა, რამაც ბუნდესლიგაში „ჰანოვერთან" მატჩი გამოატოვებინა. 25 წლის ჰოლანდიელს მარჯვენა მუხლის მყესები დაეჭიმა, რის გამოც 24 თებერვალს „ბაიერნთან" პრინციპულ მატჩში გუნდს ვერ დაეხმარება. ნახევარმცველი სავარაუდოდ ორ კვირაში გამოკეთდება. „ჰამბურგმა" „ციურიხს" შვეიცარიაში 3:1 მოუგო.

## ათდღიანი კუნთი

**მადრიდის** „ატლეტიკოს" პორტუგალიელ ნახევარმცველ სიმაუ საბროსას „ბოლტონთან" უეფას თასზე საპასუხო მატჩის გამოტოვება მოუწევს. სიმაუ სწორედ ბოლტონურ მატჩში დაშავდა — ოთხშაბათს მარცხენა ფეხის კუნთი იტკინა და 72-ე წუთზე შეცვალეს. პორტუგალიელმა პრიმერადივიზიონში „ბილბაოსთანაც" ვერ ითამაშა და მის გამოჯანმრთელებას დაახლოებით ათი დღე დასჭირდება. სიმაუ „ატლეტიკოში" შარშან „ბენფიკადან" გადავიდა და 21 მატჩში სამი გოლი გაიტანა.

## ორგოლიანის მხარი

**„სპორტინგის"** მეგოლე სიმონ ვუკჩევიჩი „ბაზელთან" საპასუხო მატჩში გუნდს ვერ დაეხმარება. პირველ შეხვედრაში, რომელიც სამშაბათს ლისაბონში გაიმართა, მასპინძლებმა 2:0 მოიგეს, ორივე გოლი ჩერნოგორიელმა ფორვარდმა გაიტანა და ამის მერე მხრის ტკივილი იგრძნო. ნამატჩევს გაირკვა, რომ სიმონს მხარი აქვს ნაღრძობი. ვუკჩევიჩს ოპერაცია არ დასჭირდება, მაგრამ სამკვირიანი მკურნალობა გამოუწერეს.

## ტონი გაძარცვეს

**მოდენაში** ლუკა ტონის აგარაკი გაძარცვეს, მაგრამ ქურდებმა მსოფლიოს ჩემპიონის მედალი ხელს ვერ გააყოლეს. ძარცვა შაბათს დილით მოხდა. ტონის მამამ, ჯანკარლომ, გაზეთ „რესტო დელ კარლინოსთან" განაცხადა: „ძალიან გულნატკენი ვარ. ჯერჯერობით დანაკარგს ვაზუსტებთ, ის კი ვიცი, რომ ოქროს მედალს ვერ მიაგნეს". ტონიმ კვირას „ჰანოვერთან" (3:0) ჰეთ თრიქი შეასრულა და სეზონში 13 გოლი მოაგროვა.

**ვაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თვითკმაყოფილი მილანი



„მილანმა“ ისევ ვერ მოიგო და კვლავ ოთხეულს მიღმაა. თუმცა „როსონერი“ მეოთხეადგილოსან „ფიორენტინას“ მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩება და კარლო ანჩელოტი ამითაც კმაყოფილია.

„პარმასთან“ საგარეო, უგოლო მატჩში „მილანს“ ისევ რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლდა. ეს შეხვედრა იმით გახლდათ გამორჩეული, რომ პაოლო მალდინიმ საკლუბო და სანაკრებო დონეზე ჩატარებული ოფიციალური მატჩების ჩათვლით მე-1000 შეხვედრა გამართა. ხოლო ნელსონ დიდამ კი, როგორღაც სათადარიგოთა სკამზე მოახერხა მხრის ტრავმის მიღება. არადა, ბრაზილელი ახალი მომჯობინებული გახლდათ და ისედაც დაკარგული ჰქონდა ძირითად შემადგენლობაში ადგილი.

მოგეხსენებათ, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში „როსონერის“ მეტოქემ ლონდონის „არსენალმა“ ინგლისის თასზე „მანჩესტერ იუნაიტედთან“ 0:4 წააგო, რამაც ანჩელოტი ხუმრობის ხასიათზე დააყენა.

„პირველ ტაიმში მეტოქემ საკუთარი თამაში თავს მოგვახვია. მეორე ნახევარში უკეთ გამოვიყურებოდით და მოგების კარგი შანსი გვქონდა. ასეა თუ ისე, საგანგაშო არაფერია, აშკარა პროგრესს განვიცდით და იმედია, ასე გაგრძელდება. მთავარია, ტრავმების ეპიდემია აღარ შეგვეყაროს. „არსენალთან“ მატჩში კლარენს ზეედორფი ნამდვილად გვეყოლება, ალესანდრე პატოს ამბავი კი ბოლო მომენტში გადაწყდება. ლონდონელთა „მანჩესტერთან“ მატჩში გამანადგურებელმა მარცხმა ძალიან გამაკვირვა და თან მესიამოვნა. ვიმედოვნებ, ოთხშაბათს ასეთივე ანგარიში ჩვენს სასარგებლოდ დაფიქსირდება — განაცხადა „მილანის“ მწვრთნელმა.

როგორც ჩანს, „მილანს“ დიდხანს სიმშვიდე არ ეწერა, რადგან კვირის ვარჯიშზე კალაჩიც დაშავდა. მან მარჯვენა ხელის თითის ტრავმა მიიღო და სათუოა, ითამაშებს თუ ვერა „არსენალის“ წინააღმდეგ. შესაძლოა, მილანელები ვეტერანი და დიდი ხნის უთამაშებელი ვალერიო ფიორის და ახალგაზრდული გუნდის მეკარე დანიელ ოფრედის ამარაღა დარჩნენ.

**კოკი კანდელაკი**




„რეალის“ მარცხი სევილიაში — 24-ე ტურის მთავარი მოვლენა

# 20-წლიანი დეჟა ვუ

24-ე ტურში „ვალიადოლიდის“ 7:0 განადგურების მერე, ალბათ, არავინ ელოდა, თუ მადრიდის „რეალს“ სევილიაში დაუცდებოდა ფეხი. ასე კი მოხდა — ბერნდ შუსტერის გუნდი „ბეტისთან“ შერცხვა, არადა, როისტონ დრენტეს გოლით იგებდა, მაგრამ...

„რეალის“ მარცხით უმალ ისარგებლა მისმა დაუძინებელმა მტერმა „ბარსელონამ“ — „სარაგოსაში“ რთული მატჩი მოიგო საეჭვო პენალტით და სხვაობა 5 ქულამდე შეამცირა.

ერთი სიტყვით, მოკლედ გავარჩიოთ, რა მოხდა პირენეებზე გასულ უქმეებზე...

## მოვლენა

***„რეალის“ მარცხი სევილიაში*** — მადრიდელთა ნაქები დაცვა ოთხ წუთში ორ სულელურ ბურთს არ უნდა უშვებდეს. რას აკეთებდნენ ჯერ ედუს გოლისას მიჩელ სალგადო და სერხიო რამოსი და მერე მარკ გონსალესის გოლისას ბრაზილიელი განაპირა მცველი მარსელო, ჩვენ კი არა, მგონი, თავად შუსტერმაც არ იცისო, წერენ ესპანელები.

***გონსალეს ვასკესი*** — აი, კაცი, აი, მსაჯი, რომელმაც „ბარსელონას“ მოაგებინა, კატალონიელებს არარსებული თერთმეტმეტრიანი აჩუქა და რონალდინიომაც საჩუქარი შეირგო, გამარჯვების გოლი მშვიდად გაიტანა და „სარაგოსას“ მეკარე სესარი ხახამშრალი დატოვა.

## გმირი

***ლუიშ ფაბიანო*** — „სევილიას“ მეგოლე ბოლო ხუთი თამაშია, მოედნიდან უგოლოდ არ გადის. ბრაზილიელმა შაბათს „ესპანიოლს“ ერთი გაუტანა და პრიმერას ბომბარდირთა დავას დამაჯერებლად ლიდერობს 17 გატანილი ბურთით. ლუიშ ფაბიანოს მხარი აუბა აფრიკის თასიდან დაბრუნებულმა მალელმა ფრედი კანუტემაც, კარლოს კამენის მე-10 წუთზე დაურტყა აუღებელი.

## უიღბლო

***ჯუზეპე როსი*** — „ვილიარეალის“ იტალიელმა ფორვარდმა ჯერ პენალტი ვერ გაუტანა „რასინგს“, მერე კი მსაჯმა ნაღდი გოლი არ ჩაუთვალა, თამაშგარეში იყავიო. თამამად შეიძლება, როსის გვერდში სარაგოსელი დიეგო მილიტო ამოვუყენოთ, რომელმაც ასევე ვერ გაიტანა პენალტი. არადა, ზუსტად რომ დაერტყა, ვიქტორ ვალდესი იმის ამლები ნაღდად არ იყო.

## სენსაცია

***„ბილბაოს“ მოგება*** — იცით, ბოლოს როდის მოიგო ბილბაოს „ატლეტიკმა“ „ვისენტე კალდერონზე“? ზუსტად 20 წლის წინ. ჰოდა, „ათლეტურ დერბიში“ „ბილბაომ“ „ატლეტიკოს“ პირველი ტაიმის ბოლო 6 წუთში მოუმთავრა საქმე. ათი ტურის წინ „ბილბაომ“ ასევე სტუმრად „ვალენსია“ დაამარცხა — 3:0. მაშინაც ბასკთა მოგება პირენეებზე სენსაციად აღიქვეს და მაშინაც... „ბილბაოს“ „მესტალიაზე“ ბოლოს 20 წლის წინ მოუგო.

## ტენდენცია

***ზედიზედ მეორე ტური,*** როისტონ დრენტეს, ედუ შმიდტს, დიეგო კაპელს, ფლორან სინამა-პონგოლესა და ფერნანდო იორენტეს გოლები გააქვთ. ამათგან დამწუხრებული მხოლოდ „რეალის“ ჰოლანდიელი დრენტე დარჩა. მისმა გუნდმა „ბეტისთან“ მოულოდნელად წააგო.

## რეკორდი

***დიეგო ალვესი*** — „ალმერიას“ მეკარემ გასულ უქმეებზე იკერ კასილიასის რეკორდი მოხსნა — მას ბოლო ექვსი თამაშია, ბურთი არ გაუშვია. ახლა დიეგო ალვესის „სიმშრალე“ 617 წუთს ითვლის. არადა, კასილიასის 574 გახლდათ და მომავალ ტურში კანტაბრიელთა თამაში ყველა გულის ფანცქალით ელის — „ალმერია“ სანტანდერში „რასინგს“ სტუმრობს და იქ გამოჩნდება დიეგო ალვესის ყოჩაღობაო. რატომ? „რასინგი“ წლეულს, როგორც წესი, შინ მეტოქეებს ბლომად ადენს, გუნდი პრიმერას ცხრილში დღეს მე-7 ადგილზეა და უეფას თასის საგზურს უმიზნებს. უეფაზე მოხვედრას უმიზნებს „ალმერიაც“, რომელიც ერთი საფეხურით მაღლაა. ასე რომ, სანტანდერში მაგარ ჯახს უნდა ველოდოთ.

**გიორგი ვაშაკიძე**

# მანჩინი ცინიზმს დაეჩვია

## უკმაყოფილო კრესპოს ირონია

**როგორც** იქნა, „ინტერმა“ ისე მოიგო, რომ მსაჯების შეცდომა არაფერ შუაში იყო. თანაც „ნერაძურის“ მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ „ლივორნოსთან“ შეხვედრაში რამდენიმე წამყვანი მოთამაშის გარეშე ითამაშა, ზოგი დაშავებული იყო, ზოგიც „ლივერპულთან“ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალისთვის შემოინახა. მიუხედავად ამისა, მისმა შეგირდებმა დავიდ სუასოს წყვილი გოლით ტოსკანელებს ადვილად მოუგეს და ამ ფაქტმა მანჩინის მედიისა და უშუალო მდევრებისადმი ირონიის გამოყენების საშუალება მისცა.




„გოლები აბსოლუტურად დამსახურებულად და წესების სრული დაცვით გავიდა, ახლა რაღაზე ილაპარაკებთ? რაც შეეხება ღამის მატჩს „იუვენტუსსა“ და „რომას“ შორის, მის ნახვას არც ვაპირებ, ახლა სასადილოდ მივდივარ“ — ცინიკურად თქვა მანჩინიმ „ლივორნოსთან“ შეხვედრის დამთავრებისთანავე.

ასეა თუ ისე, „მანჩოს“ ახლა მაინც აქვს ქედმაღლობის საფუძველი. მისი „ინტერის“ შემჩერებელი ჯერჯერობით არავინ ჩანს. მილანელები მეორეადგილოსან „რომას“ უკვე 11, ხოლო მესამეზე მყოფ „იუვეს“ 12 ქულით უსწრებენ.

რობერტო მანჩინი: „რამდენიმე მოთამაშე დავასვენე და ამ შეხვედრაში დიდი ენერგია დავხარჯეთ. მთავარი იყო მოგვეგო და ასეც მოხდა. მეორე ტაიმში ცოტა უკან დავიხიეთ, მაგრამ მომენტები მაინც გვქონდა. სუასო ძალიან მრავალმხრივი თავდამსხმელია, რაც დამატებით იარაღს გვაძლევს. ახლა კი მთლიანად ჩემპიონთა ლიგაზე ვართ კონცენტრირებულნი“.

„როცა ასე უცებ ორ გოლს უშვებ და მერე შეტევაში მიდიხარ, თან „ინტერთან“... სამწუხარო შეცდომები დავუშვით. მერე ერთი საპასუხო გოლი მაინც გვჭირდებოდა, რომ თამაში ისევ გაგვეხსნა, მაგრამ მხოლოდ ხარიხის შეზანზარება მოვახერხეთ“ — თქვა „ლივორნოს“ მწვრთნელმა ჯანკარლო კამოლეზემ.

სხვათა შორის, მანჩინი „ინტერში“ ერთადერთი არ ყოფილა, ვისაც სარკაზმის ნიჭი ჰქონია — კონკურენტად არგენტინელი ერნან კრესპო გამოუჩნდა. თანაც გამოცდილმა ფორვარდმა ირონია სწორედ მანჩინიზე საუბრისას დაიხმარა.

საქმე ის არის, რომ კრესპომ მიმდინარე სერია A-ში მხოლოდ 9 მატჩი ჩაატარა, აქედან ძირითად შემადგენლობაში ოდენ 6-ჯერ იყო და მთელი 90 წუთი არცერთხელ არ უთამაშია. „ლივორნოსთან“ შეხვედრაში მან 85 წუთი გაატარა მინდორზე

ერნან კრესპო: „ეს შვიდი თვე თავს ვიტყუებდი და ვცდილობდი, მოწყენილობა დამეფარა. არც მინდოდა, თანაგუნდელები შემეწუხებინა, რადგან ისინი და ფანები ყველანაირად მაგრძნობინებენ, რომ კლუბში საჭირო ვარ და ჩემი იმედი აქვთ. თუმცა ყოველთვის ნიღბით სიარული ძნელია და ახლა ამის დამალვას აზრი არ აქვს. საუბარი იმაზე, რომ ივლისში მირებული ტრავმის მერე ფორმაში ვერ ჩავდექი, აბსურდულია. ასე ცოტა სათამაშო დროს ნამდვილად არ ველოდი. მანჩინი პირველი იყო, ვინც აღნიშნა, რომ ყველაზე ნაკლებად შანსი მე მეძლევა, მაგრამ მას შემდეგ არაფერი შეცვლილა. არადა, ფორვარდს კარგი თამაშისთვის თვითრწმენა და ნდობა სჭირდება“.

მანჩინიმ ახლახან ისიც თქვა, მე და კრესპო ერთმანეთს მშვენივრად ვუგებთ და კარგი ურთიერთობა გვაქვსო. პასუხიც მიიღო...

„ჩემს სიტყვებს რაღა აზრი აქვს? თუ მანჩინიმ ასე თქვა... ერთი, რის თქმაც შემიძლია, ისაა, რომ საკუთარ თავს სარეზერვო ფორვარდად ნამდვილად არ ვთვლი. „ლივორნოსთან“ პირადი რეკორდი დავამყარე — მთელი 85 წუთი ვითამაშე! სამწუხაროა, რომ უკვე თებერვალია...“ — დასძინა კრესპომ.

**კოკი კანდელაკი**

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 19 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 44 | უენსდი-ქოვენთრი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 23:45 | 116 | საუთჰემპტონი-პლიმუთი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 23:45 | 117 | ვულვესჰემპტონი-სკანთორპი | 1.70 | 3.40 | 4.75 | 1.13 | 1.25 | 1.98 |
| | | ინგლისი. I ლიგა | | | | | | |
| | | 19 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 57 | კარლაილი-ნოტინგემი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 23:45 | 58 | ჰადერსფილდი-მილუოლი | 1.85 | 3.20 | 4.00 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| 23:45 | 59 | ბრაიტონი-ჩელტენემი | 1.85 | 3.20 | 4.00 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| | | ინგლისი. II ლიგა | | | | | | |
| | | 19 თებერვალი | | | | | | |
| 23:30 | 72 | დარლინგტონი-ჩესტერი | 1.45 | 3.70 | 6.40 | 1.04 | 1.18 | 2.34 |
| 23:45 | 73 | ჰერეფორდი-რექსემი | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 23:45 | 74 | სტოკპორტი-მენსფილდი | 1.75 | 3.20 | 4.25 | 1.13 | 1.23 | 1.82 |
| 23:45 | 75 | როჩდეილი-ნოტსი | 1.70 | 3.40 | 4.25 | 1.13 | 1.21 | 1.88 |
| | | ინგლისი. კონფერენსი | | | | | | |
| | | 19 თებერვალი | | | | | | |
| 23:00 | 119 | სუონსი-დონსი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 23:45 | 120 | მორიკომბი-გრიმსბი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| | | შოტლანდია. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 20 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 121 | მოზერუელი-ინვერნესი | 1.85 | 3.40 | 3.70 | 1.19 | 1.23 | 1.77 |
| | | იტალია. სერია A | | | | | | |
| | | 23 თებერვალი | | | | | | |
| 23:30 | 199 | რეჯინა-იუვენტუსი | 6.10 | 3.40 | 1.55 | 2.18 | 1.23 | 1.06 |
| 21:00 | 206 | ტორინო-პარმა | 2.00 | 2.90 | 3.90 | 1.18 | 1.32 | 1.66 |
| | | 24 თებერვალი | | | | | | |
| 18:00 | 197 | სამპდორია-ინტერი | 4.00 | 3.00 | 1.90 | 1.71 | 1.28 | 1.16 |
| 18:00 | 201 | კალიარი-ლაციო | 3.00 | 3.10 | 2.25 | 1.52 | 1.28 | 1.30 |
| 18:00 | 203 | ლივორნო-ნაპოლი | 2.20 | 2.90 | 3.30 | 1.25 | 1.32 | 1.54 |
| 23:30 | 204 | მილანი-პალერმო | 1.50 | 3.50 | 6.80 | 1.04 | 1.22 | 2.31 |
| 18:00 | 207 | ატალანტა-სიენა | 1.80 | 3.00 | 4.70 | 1.12 | 1.30 | 1.83 |
| 18:00 | 208 | ემპოლი-კატანია | 1.95 | 2.90 | 4.10 | 1.16 | 1.32 | 1.69 |
| 18:00 | 209 | რომა-ფიორენტინა | 1.75 | 3.00 | 4.90 | 1.10 | 1.28 | 1.86 |
| 18:00 | 211 | უდინეზე-ჯენოა | 1.70 | 3.10 | 5.10 | 1.09 | 1.27 | 1.92 |
| | | ესპანეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 23 თებერვალი | | | | | | |
| 23:00 | 253 | ვალენსია-უელვა | 1.60 | 3.40 | 5.40 | 1.08 | 1.23 | 2.08 |
| | | 24 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 241 | სევილია-სარაგოსა | 1.65 | 3.40 | 4.80 | 1.11 | 1.22 | 1.99 |
| 22:00 | 242 | ბარსელონა-ლევანტე | 1.10 | 7.40 | 15.00 | 1.00 | 1.02 | 4.95 |
| 20:00 | 244 | ოსასუნა-ატლეტიკო | 2.80 | 3.10 | 2.35 | 1.47 | 1.27 | 1.33 |
| 20:00 | 246 | ბილბაო-ვილიარეალი | 2.45 | 3.10 | 2.70 | 1.36 | 1.28 | 1.44 |
| 20:00 | 248 | რასინგი-ალმერია | 1.95 | 3.20 | 3.60 | 1.21 | 1.26 | 1.69 |
| 20:00 | 249 | მურსია-ვალიადოლიდი | 2.30 | 3.10 | 2.90 | 1.32 | 1.28 | 1.49 |
| 20:00 | 250 | მალიორკა-ბეტისი | 1.90 | 3.20 | 3.70 | 1.19 | 1.25 | 1.71 |
| 23:45 | 251 | რეალი-ხეტაფე | 1.30 | 4.50 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.88 |
| 20:00 | 254 | დეპორტივო-ესპანიოლი | 2.45 | 3.10 | 2.70 | 1.36 | 1.28 | 1.44 |
| | | ჩემპიონთა ლიგა | | | | | | |
| | | 19 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 1 | შალკე-პორტუ | 2.15 | 3.10 | 3.40 | 1.26 | 1.31 | 1.62 |
| 23:45 | 2 | ლივერპული-ინტერი | 2.60 | 3.00 | 2.75 | 1.39 | 1.33 | 1.43 |
| 23:45 | 3 | რომა-რეალი | 2.55 | 3.10 | 2.75 | 1.39 | 1.32 | 1.45 |
| 23:45 | 4 | ოლიმპიაკოსი-ჩელსი | 3.70 | 3.20 | 2.05 | 1.71 | 1.31 | 1.24 |
| | | 20 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 5 | სელტიკი-ბარსელონა | 4.20 | 3.20 | 1.90 | 1.81 | 1.30 | 1.19 |
| 23:45 | 6 | ლიონი-მანჩესტერი | 3.00 | 3.20 | 2.30 | 1.54 | 1.30 | 1.33 |
| 23:45 | 7 | არსენალი-მილანი | 2.15 | 3.10 | 3.50 | 1.26 | 1.33 | 1.64 |
| 23:45 | 8 | ფენერბაჰჩე-სევილია | 2.60 | 3.10 | 2.75 | 1.41 | 1.33 | 1.45 |
| | | უეფას თასი | | | | | | |
| | | 21 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 9 | ვილიარეალი-ზენიტი | 1.45 | 3.80 | 7.00 | 1.04 | 1.20 | 2.46 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 11 | ლევერკუზენი-გალათასარაი | 1.75 | 3.30 | 4.50 | 1.14 | 1.25 | 1.90 |
| 23:45 | 12 | ბორდო-ანდერლეხტი | 1.55 | 3.50 | 6.00 | 1.07 | 1.23 | 2.21 |
| 23:45 | 13 | ევერტონი-ბრანი | 1.25 | 4.80 | 12.00 | 1.00 | 1.13 | 3.42 |
| 20:00 | 14 | ჰამბურგი-ციურიხი | 1.30 | 4.40 | 10.00 | 1.00 | 1.15 | 3.05 |
| 21:00 | 16 | პანათინაიკოსი-რეინჯერსი | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 23:45 | 17 | ტოტენჰემი-სლავია | 1.25 | 5.00 | 9.50 | 1.00 | 1.10 | 3.27 |
| 23:45 | 19 | ჰელსინგბორგი-პსვ | 3.30 | 3.20 | 2.05 | 1.62 | 1.26 | 1.24 |
| 21:45 | 20 | ბაიერნი-აბერდინი | 1.15 | 6.20 | 17.00 | 1.00 | 1.07 | 4.54 |
| 23:45 | 22 | ფიორენტინა-რუსენბორგი | 1.30 | 4.40 | 9.50 | 1.00 | 1.14 | 3.00 |
| 23:45 | 23 | ხეტაფე-აეკ | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| 23:45 | 25 | ბაზელი-სპორტინგი | 2.50 | 3.10 | 2.65 | 1.38 | 1.28 | 1.42 |
| 23:45 | 26 | ნიურნბერგი-ბენფიკა | 2.35 | 3.10 | 2.75 | 1.33 | 1.26 | 1.45 |
| 23:45 | 27 | ბრაგა-ვერდერი | 3.50 | 3.30 | 2.00 | 1.69 | 1.27 | 1.24 |
| 23:45 | 28 | ატლეტიკო-ბოლტონი | 1.50 | 3.50 | 6.50 | 1.04 | 1.21 | 2.27 |
| 20:30 | 29 | სპარტაკი-მარსელი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| | | ინგლისი. Carling Cup | | | | | | |
| | | 24 თებერვალი | | | | | | |
| 19:00 | 118 | ტოტენჰემი-ჩელსი | 3.40 | 3.20 | 2.00 | 1.64 | 1.25 | 1.23 |
| | | ფინეთი. თასი | | | | | | |
| | | 19 თებერვალი | | | | | | |
| 20:30 | 122 | იარო-ვპს | 2.10 | 3.25 | 2.90 | 1.27 | 1.21 | 1.53 |
| | | ლიბერტადორესის თასი | | | | | | |
| | | 19 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 726 | ბოლონესი-მონტევიდეო | 2.05 | 3.20 | 3.10 | 1.24 | 1.23 | 1.57 |
| 23:45 | 727 | ჩივასი-სან ხოსე | 1.10 | 6.90 | 15.00 | 1.00 | 1.02 | 4.72 |
| | | 20 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 728 | არსენალი-ლიბერტადი | 1.80 | 3.25 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.79 |
| 23:45 | 729 | მარაკაიბო-ბოკა ხუნიორსი | 4.20 | 3.30 | 1.75 | 1.84 | 1.23 | 1.14 |
| 23:45 | 730 | ქუიტო-ფლუმინენსე | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| 23:45 | 731 | ამერიკა-უნ. კატოლიკა | 1.65 | 3.40 | 4.70 | 1.11 | 1.22 | 1.97 |
| | | 21 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 732 | სან ლორენსო-კრუზეირო | 1.90 | 3.25 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.70 |
| 23:45 | 733 | დეპორტივო-დანუბიო | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 23:45 | 734 | ატლასი-კოლოკოლო | 1.85 | 3.25 | 3.75 | 1.17 | 1.23 | 1.74 |
| | | ჰოკეი. შვედეთი | | | | | | |
| | | 19 თებერვალი | | | | | | |
| 21:00 | 509 | იურგორდენი-სიოდერტელიე | 1.80 | 4.20 | 2.85 | 1.25 | 1.10 | 1.69 |
| 21:00 | 510 | ტიმრე-მოდო | 2.10 | 4.20 | 2.35 | 1.39 | 1.10 | 1.50 |
| 21:00 | 511 | ლულეო-ლინჩიოპინგი | 2.25 | 4.10 | 2.20 | 1.45 | 1.11 | 1.43 |
| | | ჰოკეი. ფინეთი | | | | | | |
| | | 19 თებერვალი | | | | | | |
| 20:30 | 525 | კალპა-ლუკო | 2.40 | 4.00 | 2.00 | 1.50 | 1.09 | 1.33 |
| 20:30 | 526 | კერპეტი-ილვესი | 1.45 | 4.10 | 4.30 | 1.07 | 1.08 | 2.09 |
| 20:30 | 527 | პელიკანსი-ტურკუ | 1.50 | 4.10 | 4.00 | 1.09 | 1.09 | 2.02 |
| 20:30 | 528 | სეიპა-ჰაამეენლინა | 1.75 | 4.10 | 2.80 | 1.22 | 1.07 | 1.66 |
| 20:30 | 529 | ტაპარა-იოკერიტი | 2.00 | 4.10 | 2.40 | 1.34 | 1.09 | 1.51 |
| 20:30 | 530 | ესეტი-ესპოო | 3.55 | 4.10 | 1.55 | 1.90 | 1.07 | 1.12 |
| 20:30 | 531 | ჰელსინკი-იუვესკიულე | 1.75 | 4.10 | 2.80 | 1.22 | 1.07 | 1.66 |
| | | ჰოკეი. სლოვაკეთი | | | | | | |
| | | 19 თებერვალი | | | | | | |
| 20:00 | 552 | კოშიცე-ტრენჩინი | 1.70 | 4.20 | 2.90 | 1.21 | 1.07 | 1.71 |
| 20:00 | 553 | მარტინი-ზვოლენი | 1.80 | 4.10 | 2.75 | 1.25 | 1.08 | 1.64 |
| 20:00 | 554 | სლოვანი-პოპრადი | 1.50 | 4.20 | 3.70 | 1.10 | 1.06 | 1.96 |
| 20:00 | 555 | მიკულაში-კექმაროკი | 2.40 | 3.50 | 2.10 | 1.42 | 1.12 | 1.31 |
| 20:00 | 556 | ჟილინა-ნიტრა | 1.30 | 4.60 | 5.10 | 1.01 | 1.03 | 2.41 |
| | | ჰოკეი. გერმანია | | | | | | |
| | | 19 თებერვალი | | | | | | |
| 22:30 | 567 | კიოლნი-ინგოლშტადი | 1.55 | 4.10 | 3.50 | 1.12 | 1.07 | 1.88 |
| 22:30 | 568 | ჰანოვერი-დუისბურგი | 1.20 | 5.00 | 7.40 | 1.00 | 1.03 | 2.98 |
| | | ჰოკეი. შვეიცარია | | | | | | |
| | | 19 თებერვალი | | | | | | |
| 22:30 | 583 | ლანგნაუ-დავოსი | 2.05 | 3.90 | 2.30 | 1.34 | 1.08 | 1.44 |
| 22:30 | 584 | ციურიხი-ფრიბურგი | 1.70 | 4.10 | 2.85 | 1.20 | 1.06 | 1.68 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | შალკე-პორტუ | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10002 | ლივერპული-ინტერი | 2.80 | 2.00 | 3.05 | 1.16 | 1.45 | 1.20 |
| 10003 | რომა-რეალი | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10004 | ოლიმპიაკოსი-ჩელსი | 4.10 | 2.00 | 2.30 | 1.34 | 1.47 | 1.06 |
| 10005 | სელტიკი-ბარსელონა | 5.10 | 2.10 | 2.05 | 1.48 | 1.46 | 1.03 |
| 10006 | ლიონი-მანჩესტერი | 3.30 | 2.00 | 2.65 | 1.24 | 1.46 | 1.13 |
| 10007 | არსენალი-მილანი | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10008 | ფენერბაჰჩე-სევილია | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10009 | ვილიარეალი-ზენიტი | 1.80 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.60 |
| 10011 | ლევერკუზენი-გალათასარაი | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |
| 10012 | ბორდო-ანდერლეხტი | 1.95 | 2.20 | 5.50 | 1.03 | 1.43 | 1.57 |
| 10013 | ევერტონი-ბრანი | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10014 | ჰამბურგი-ციურიხი | 1.60 | 2.30 | 7.50 | 1.00 | 1.31 | 1.76 |
| 10016 | პანათინაიკოსი-რეინჯერსი | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10017 | ტოტენჰემი-სლავია | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10019 | ჰელსინგბორგი-პსვ | 3.70 | 2.00 | 2.40 | 1.29 | 1.45 | 1.09 |
| 10020 | ბაიერნი-აბერდინი | 1.30 | 2.80 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.07 |
| 10022 | ფიორენტინა-რუსენბორგი | 1.60 | 2.30 | 7.50 | 1.00 | 1.31 | 1.76 |
| 10023 | ხეტაფე-აეკ | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10025 | ბაზელი-სპორტინგი | 3.00 | 2.00 | 3.00 | 1.20 | 1.50 | 1.20 |
| 10026 | ნიურნბერგი-ბენფიკა | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10027 | ბრაგა-ვერდერი | 3.90 | 2.00 | 2.25 | 1.32 | 1.42 | 1.05 |
| 10028 | ატლეტიკო-ბოლტონი | 1.90 | 2.10 | 5.80 | 1.00 | 1.43 | 1.54 |
| 10029 | სპარტაკი-მარსელი | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10044 | უენსდი-ქოვენთრი | 2.45 | 2.00 | 3.70 | 1.10 | 1.47 | 1.29 |
| 10116 | საუთჰემპტონი-პლიმუთი | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10117 | ვულვესჰემპტონი-სკანთორპი | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |

# I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | შალკე-პორტუ | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11002 | ლივერპული-ინტერი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11003 | რომა-რეალი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11004 | ოლიმპიაკოსი-ჩელსი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11005 | სელტიკი-ბარსელონა | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11006 | ლიონი-მანჩესტერი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11007 | არსენალი-მილანი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11008 | ფენერბაჰჩე-სევილია | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11009 | ვილიარეალი-ზენიტი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11011 | ლევერკუზენი-გალათასარაი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11012 | ბორდო-ანდერლეხტი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11013 | ევერტონი-ბრანი | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11014 | ჰამბურგი-ციურიხი | 1.65 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11016 | პანათინაიკოსი-რეინჯერსი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11017 | ტოტენჰემი-სლავია | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11019 | ჰელსინგბორგი-პსვ | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11020 | ბაიერნი-აბერდინი | 1.45 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11022 | ფიორენტინა-რუსენბორგი | 1.65 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11023 | ხეტაფე-აეკ | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11025 | ბაზელი-სპორტინგი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11026 | ნიურნბერგი-ბენფიკა | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11027 | ბრაგა-ვერდერი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11028 | ატლეტიკო-ბოლტონი | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11029 | სპარტაკი-მარსელი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11044 | უენსდი-ქოვენთრი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11116 | საუთჰემპტონი-პლიმუთი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11117 | ვულვესჰემპტონი-სკანთორპი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12001 | შალკე-პორტუ | 1.60 | 2.10 |
| 12002 | ლივერპული-ინტერი | 1.60 | 2.10 |
| 12003 | რომა-რეალი | 1.70 | 1.90 |
| 12004 | ოლიმპიაკოსი-ჩელსი | 1.60 | 2.00 |
| 12005 | სელტიკი-ბარსელონა | 1.70 | 1.90 |
| 12006 | ლიონი-მანჩესტერი | 1.60 | 2.00 |
| 12007 | არსენალი-მილანი | 1.60 | 2.00 |
| 12008 | ფენერბაჰჩე-სევილია | 1.80 | 1.80 |
| 12009 | ვილიარეალი-ზენიტი | 1.70 | 1.90 |
| 12011 | ლევერკუზენი-გალათასარაი | 1.80 | 1.70 |
| 12012 | ბორდო-ანდერლეხტი | 1.60 | 2.00 |
| 12013 | ევერტონი-ბრანი | 1.90 | 1.70 |
| 12014 | ჰამბურგი-ციურიხი | 1.90 | 1.70 |
| 12016 | პანათინაიკოსი-რეინჯერსი | 1.60 | 2.00 |
| 12017 | ტოტენჰემი-სლავია | 2.00 | 1.60 |
| 12019 | ჰელსინგბორგი-პსვ | 1.90 | 1.70 |
| 12020 | ბაიერნი-აბერდინი | 2.20 | 1.40 |
| 12022 | ფიორენტინა-რუსენბორგი | 1.70 | 1.90 |
| 12023 | ხეტაფე-აეკ | 1.60 | 2.00 |
| 12025 | ბაზელი-სპორტინგი | 1.70 | 1.90 |
| 12026 | ნიურნბერგი-ბენფიკა | 1.60 | 2.00 |
| 12044 | უენსდი-ქოვენთრი | 1.70 | 1.90 |
| 12116 | საუთჰემპტონი-პლიმუთი | 1.70 | 1.90 |
| 12117 | ვულვესჰემპტონი-სკანთორპი | 1.70 | 1.90 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | შალკე-პორტუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15002 | ლივერპული-ინტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15003 | რომა-რეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15004 | ოლიმპიაკოსი-ჩელსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15005 | სელტიკი-ბარსელონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15006 | ლიონი-მანჩესტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 | არსენალი-მილანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15008 | ფენერბაჰჩე-სევილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15009 | ვილიარეალი-ზენიტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15011 | ლევერკუზენი-გალათასარაი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15012 | ბორდო-ანდერლეხტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15013 | ევერტონი-ბრანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15014 | ჰამბურგი-ციურიხი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15016 | პანათინაიკოსი-რეინჯერსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15019 | ჰელსინგბორგი-პსვ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15023 | ხეტაფე-აეკ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15025 | ბაზელი-სპორტინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15026 | ნიურნბერგი-ბენფიკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15027 | ბრაგა-ვერდერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15028 | ატლეტიკო-ბოლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15029 | სპარტაკი-მარსელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15044 | უენსდი-ქოვენთრი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15116 | საუთჰემპტონი-პლიმუთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15117 | ვულვესჰემპტონი-სკანთორპი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13001 | შალკე-პორტუ | 1.70 | 1.90 |
| 13002 | ლივერპული-ინტერი | 1.70 | 1.90 |
| 13003 | რომა-რეალი | 1.70 | 1.90 |
| 13004 | ოლიმპიაკოსი-ჩელსი | 1.70 | 1.90 |
| 13005 | სელტიკი-ბარსელონა | 1.70 | 1.90 |
| 13006 | ლიონი-მანჩესტერი | 1.70 | 1.90 |
| 13007 | არსენალი-მილანი | 1.70 | 1.90 |
| 13008 | ფენერბაჰჩე-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 13044 | უენსდი-ქოვენთრი | 1.80 | 1.80 |
| 13116 | საუთჰემპტონი-პლიმუთი | 1.80 | 1.80 |
| 13117 | ვულვესჰემპტონი-სკანთორპი | 1.80 | 1.80 |

## გოლი:ლუწი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17001 | შალკე-პორტუ | 1.85 | 1.95 |
| 17002 | ლივერპული-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17003 | რომა-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 17004 | ოლიმპიაკოსი-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17005 | სელტიკი-ბარსელონა | 1.85 | 1.95 |
| 17006 | ლიონი-მანჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | არსენალი-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17008 | ფენერბაჰჩე-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17009 | ვილიარეალი-ზენიტი | 1.85 | 1.95 |
| 17011 | ლევერკუზენი-გალათასარაი | 1.85 | 1.95 |
| 17012 | ბორდო-ანდერლეხტი | 1.85 | 1.95 |
| 17013 | ევერტონი-ბრანი | 1.85 | 1.95 |
| 17014 | ჰამბურგი-ციურიხი | 1.85 | 1.95 |
| 17016 | პანათინაიკოსი-რეინჯერსი | 1.85 | 1.95 |
| 17017 | ტოტენჰემი-სლავია | 1.85 | 1.95 |
| 17019 | ჰელსინგბორგი-პსვ | 1.85 | 1.95 |
| 17020 | ბაიერნი-აბერდინი | 1.85 | 1.95 |
| 17022 | ფიორენტინა-რუსენბორგი | 1.85 | 1.95 |
| 17023 | ხეტაფე-აეკ | 1.85 | 1.95 |
| 17025 | ბაზელი-სპორტინგი | 1.85 | 1.95 |
| 17026 | ნიურნბერგი-ბენფიკა | 1.85 | 1.95 |
| 17027 | ბრაგა-ვერდერი | 1.85 | 1.95 |
| 17028 | ატლეტიკო-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17029 | სპარტაკი-მარსელი | 1.85 | 1.95 |
| 17044 | უენსდი-ქოვენთრი | 1.85 | 1.95 |
| 17116 | საუთჰემპტონი-პლიმუთი | 1.85 | 1.95 |
| 17117 | ვულვესჰემპტონი-სკანთორპი | 1.85 | 1.95 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | შალკე-პორტუ | 1.80 | 2.00 |
| 14002 | ლივერპული-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 14003 | რომა-რეალი | 1.90 | 1.90 |
| 14004 | ოლიმპიაკოსი-ჩელსი | 2.10 | 1.75 |
| 14005 | სელტიკი-ბარსელონა | 2.30 | 1.65 |
| 14006 | ლიონი-მანჩესტერი | 1.95 | 1.85 |
| 14007 | არსენალი-მილანი | 1.75 | 2.10 |
| 14008 | ფენერბაჰჩე-სევილია | 1.90 | 1.90 |
| 14009 | ვილიარეალი-ზენიტი | 1.20 | 2.60 |
| 14011 | ლევერკუზენი-გალათასარაი | 1.45 | 2.40 |
| 14012 | ბორდო-ანდერლეხტი | 1.30 | 2.50 |
| 14013 | ევერტონი-ბრანი | 1.08 | 2.90 |
| 14014 | ჰამბურგი-ციურიხი | 1.08 | 2.90 |
| 14016 | პანათინაიკოსი-რეინჯერსი | 1.70 | 2.20 |
| 14019 | ჰელსინგბორგი-პსვ | 2.10 | 1.75 |
| 14022 | ფიორენტინა-რუსენბორგი | 1.08 | 2.90 |
| 14023 | ხეტაფე-აეკ | 1.45 | 2.40 |
| 14025 | ბაზელი-სპორტინგი | 1.85 | 1.95 |
| 14026 | ნიურნბერგი-ბენფიკა | 1.80 | 2.00 |
| 14027 | ბრაგა-ვერდერი | 2.20 | 1.70 |
| 14028 | ატლეტიკო-ბოლტონი | 1.30 | 2.50 |
| 14029 | სპარტაკი-მარსელი | 1.80 | 2.00 |
| 14044 | უენსდი-ქოვენთრი | 1.75 | 2.10 |
| 14116 | საუთჰემპტონი-პლიმუთი | 1.80 | 2.00 |
| 14117 | ვულვესჰემპტონი-სკანთორპი | 1.45 | 2.40 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | შალკე-პორტუ | 1.55 | 2.20 |
| 16002 | ლივერპული-ინტერი | 1.70 | 1.95 |
| 16003 | რომა-რეალი | 1.80 | 1.85 |
| 16004 | ოლიმპიაკოსი-ჩელსი | 2.45 | 1.40 |
| 16005 | სელტიკი-ბარსელონა | 3.30 | 1.25 |
| 16006 | ლიონი-მანჩესტერი | 2.05 | 1.65 |
| 16007 | არსენალი-მილანი | 1.52 | 2.20 |
| 16008 | ფენერბაჰჩე-სევილია | 1.82 | 1.82 |
| 16009 | ვილიარეალი-ზენიტი | 1.12 | 4.60 |
| 16011 | ლევერკუზენი-გალათასარაი | 1.25 | 3.40 |
| 16012 | ბორდო-ანდერლეხტი | 1.17 | 4.10 |
| 16013 | ევერტონი-ბრანი | 1.05 | 5.70 |
| 16014 | ჰამბურგი-ციურიხი | 1.08 | 5.00 |
| 16016 | პანათინაიკოსი-რეინჯერსი | 1.34 | 2.80 |
| 16019 | ჰელსინგბორგი-პსვ | 2.30 | 1.48 |
| 16023 | ხეტაფე-აეკ | 1.23 | 3.60 |
| 16025 | ბაზელი-სპორტინგი | 1.80 | 1.85 |
| 16026 | ნიურნბერგი-ბენფიკა | 1.65 | 2.05 |
| 16027 | ბრაგა-ვერდერი | 2.40 | 1.45 |
| 16028 | ატლეტიკო-ბოლტონი | 1.14 | 4.70 |
| 16029 | სპარტაკი-მარსელი | 1.58 | 2.10 |
| 16044 | უენსდი-ქოვენთრი | 1.45 | 2.45 |
| 16116 | საუთჰემპტონი-პლიმუთი | 1.55 | 2.20 |
| 16117 | ვულვესჰემპტონი-სკანთორპი | 1.24 | 3.60 |

# ცინცაძე აგდებს, როკი აგებს



მანუჩარ მარკოიშვილმა (მარჯვნივ) სკამზე მოიწყინა

საიდანაც გინდა მიუდექი, ფაქტი ერთია: ლეგიონერთაგან ამ სეზონში ყველაზე წარმატებულად გიორგი ცინცაძე ირჯება. სხვა საკითხია, რომ ის ისეთ ძლიერ გუნდში არ თამაშობს, როგორშიც სხვები, მაგრამ ამას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ცინცაძე ესტონეთის ჩემპიონ „როკის" ლიდერია და ეს გუნდი იმ ლიგაში ამბობს თავის სათქმელს, სადაც ევროლიგის მონინავე „ლიეტუვოს რიტასი" და „ჟალგირისი" თამაშობენ. მართალია, „როკერებს" უკვე თითქმის გადაეწურათ ბალტიის ლიგის პლეი ოფში გასვლის შანსი, მაგრამ ჩვენთვის გასახარი ისაა, რომ ესტონურ გუნდში, ლამის ყოველ შეხვედრაში, საუკეთესო გიორგი ცინცაძეა

### ესტონეთი

გასულ კვირაში „როკმა" ბალტიის ლიგაში 2 მატჩი წააგო — რიგის ასკ-სთან შინ და თანამემამულე „კალევთან" ტალინში. ლატვიურ გუნდთან თამაშის ბედი ბოლო წამებზე გადაწყდა და „როკერების" უიღბლობით დასრულდა. ცინცაძის გუნდმა 68:70 წააგო.

გიორგიმ ამ შეხვედრაში 33 წუთი ითამაშა და 13 ქულა, 5 პასი, 4 ჩაჭრა და 2 მოხსნა მოიმკა. მან ამჯერადაც არაზუსტად შეასრულა შორი სროლები — 4 სამქულიანიდან ყველა ააცილა, თუმც საშუალო დისტანციიდან და საჯარიმოს ხაზიდან იჩუბინა და ანგარიშის კვალობაზე არცთუ ცოტა ქულა მოინაგრა.

მეორე მატჩი კი „როკერებმა" უიმედოდ წააგეს — 64:85. ქართველი გამთამაშებელი ამჯერად უფრო შედეგიანი იყო, 18 ქულას მოუყარა თავი, მაგრამ ეს გამარჯვებას არ ეყო.

### უკრაინა

მანუჩარ მარკოიშვილის უიღბლობა გრძელდება. „ბკ კიევი" კი იგებს, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, სხვა ტომის ხალხის დახმარებით. ქართველ ლეგიონერს ჩავარდნა აქვს და ძველებური ბარაქიანობით ველარ გამოირჩევა.

ორიოდ თვის წინ მარკოიშვილი ისე არ ტოვებდა მოედანს, 10, ხშირად 20 ქულა ან მეტი არ გაეკეთებინა, ახლა კი რა ხდება — ბოლო 3 თამაშში „მანუმ" 4 ქულა შეაკოწიწა და მოედანზეც ძველებურად ხანგრძლივად აღარ ტოვებენ.

გუშინწინ „ბკ კიევმა" უკრაინის ჩემპიონატში მიჯრით მე-18 მატჩი მოიგო — ამჯერად თანაქალაქელ „ბუდეველნიკთან". მარკოიშვილს მოედანზე 15 წუთით მოუწია ყოფნა. მან 2-2-ჯერ გაუსინჯა სამივე ღირებულების სროლას გემო, თუმც მხოლოდ საჯარიმოები ჩააგდო და საბოლოოდ 2 ქულას დასჯერდა. ამასთან 2 მოხსნა და 1 დაფარებაც მიითვალა, რაც მის საშუალო სტატისტიკას ნამდვილად არ შეეფერება.

### იტალია

წაგებების შემდეგ, როგორც იქნა, ნიკოლოზ ცქიტიშვილის გუნდმაც მოიგო. „ტერამომ" შინ სერია A-ს დებიუტანტ „რეიტის" მოახრევინა ქედი, ქართველმა ცენტრფორვარდმა კი 20 წუთში 8 ქულა, 6 მოხსნა და 2 პასი მიითვალა. ვეღარც ცქიტიშვილი თამაშობს ისეთი რიხით, როგორც სეზონის დასაწყისში, თუმც სტაბილურად არის ხოლმე მოედანზე და საქმეს არ აფუჭებს.

### საბერძნეთი

ვლადიმერ ბოისას „არისმა" გასულ კვირაში ორივე მატჩი წააგო — ჯერ ევროლიგაში „ფენერბაჰჩესთან", გუშინწინ კი საბერძნეთის ჩემპიონატში აეკ-თან.

ბოისამ თურქებთან 3 ქულა მიითვალა, ხოლო აეკ-თან მოედანი ბურთის ჩაუგდებლად დატოვა. 15 წუთში მან თავი 2 დაფარებით გამოიჩინა და პირად ანგარიშზე 2 მოხსნა და 1 ჩაჭრაც ჩაიწერა.

### ესპანეთი

ტაირონ ელისის 11 ქულა საკმარისი არ აღმოჩნდა საიმისოდ, რომ მის „კახასოლს" „გრან კანარია" დაეჯაბნა და გაქართველებული ამერიკელის გუნდი კვლავ პრიმერადივიზიონიდან გასავარდნთა ზონას დაუბრუნდა.

**ირაკლი პერტაია**

ყველა ვარსკვლავის მატჩი. ნიუ ორლეანი. 17 თებერვალი

## დასავლეთი 128:134 აღმოსავლეთი

**დასავლეთი** — მწვრთნელი: ბაირონ სკოტი (ნიუ ორლეანი)

| | წთ | 2ქ | 3ქ | საჯ | მოხ | პას | ჩაჭ | დაფ | ფოლ | დაკ | ქულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ალენ აივერსონი (დენვერი) | 21 | 3-7 | 0-0 | 1-2 | 2 | 6 | 4 | 1 | 0 | 6 | 7 |
| კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) | 3 | 0-0 | 0-0 | 0-0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| კარმელო ენტონი (დენვერი) | 22 | 8-17 | 0-0 | 2-3 | 7 | 1 | 0 | 0 | 0 | 2 | 18 |
| ტიმ დანკანი (სან ანტონიო) | 22 | 2-6 | 0-1 | 0-0 | 9 | 1 | 1 | 1 | 1 | 4 | 4 |
| იაო მინი (ჰიუსტონი) | 13 | 2-3 | 0-2 | 2-2 | 5 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 6 |
| ბრენდან როი (პორტლენდი) | 29 | 6-7 | 2-3 | 0-0 | 9 | 5 | 1 | 1 | 2 | 0 | 18 |
| ამარე სტუდემაიერი (ფინიქსი) | 23 | 7-9 | 1-2 | 1-3 | 5 | 0 | 1 | 1 | 2 | 1 | 18 |
| კრის პოლი (ნიუ ორლეანი | 27 | 5-8 | 2-6 | 0-0 | 3 | 14 | 4 | 0 | 5 | 2 | 16 |
| კარლოს ბუზერი (იუტა) | 18 | 7-15 | 0-0 | 0-2 | 10 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 14 |
| დირკ ნოვიცკი (დალასი) | 26 | 4-10 | 1-4 | 2-2 | 4 | 2 | 0 | 0 | 0 | 2 | 13 |
| სტივ ნეში (ფინიქსი) | 20 | 4-7 | 0-1 | 0-0 | 0 | 6 | 0 | 1 | 3 | 1 | 8 |
| დევიდ ვესტი (ნიუ ორლეანი) | 16 | 3-6 | 0-0 | 0-0 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 1 | 6 |
| სულ | 240 | 51-95 | 6-19 | 8-14 | 59 | 37 | 11 | 5 | 14 | 21 | 128 |

**აღმოსავლეთი** — მწვრთნელი: დოკ რივერსი (ბოსტონი)

| | წთ | 2ქ | 3ქ | საჯ | მოხ | პას | ჩაჭ | დაფ | ფოლ | დაკ | ქულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჯეისონ კიდი (ნიუ ჯერსი) | 25 | 1-1 | 0-1 | 0-0 | 4 | 10 | 4 | 0 | 0 | 1 | 2 |
| დუეინ ვეიდი (მაიამი) | 22 | 7-11 | 0-1 | 0-2 | 4 | 3 | 0 | 1 | 1 | 2 | 14 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი) | 30 | 10-15 | 2-7 | 1-1 | 8 | 9 | 2 | 2 | 3 | 4 | 27 |
| კრის ბოში (ტორონტო) | 21 | 7-15 | 0-0 | 0-2 | 7 | 1 | 0 | 0 | 1 | 1 | 14 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო) | 31 | 7-7 | 0-0 | 2-3 | 9 | 3 | 3 | 1 | 4 | 1 | 16 |
| რეი ალენი (ბოსტონი) | 19 | 5-6 | 5-9 | 3-5 | 2 | 1 | 2 | 0 | 0 | 0 | 28 |
| პოლ პირსი (ბოსტონი) | 13 | 5-6 | 0-3 | 0-0 | 4 | 2 | 0 | 0 | 0 | 2 | 10 |
| რიჩარდ ჰამილტონი (დეტროიტი) | 18 | 3-8 | 1-1 | 0-0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 9 |
| ჩონსი ბილაფსი (დეტროიტი) | 18 | 3-4 | 0-6 | 0-1 | 1 | 4 | 0 | 0 | 1 | 1 | 6 |
| რაშიდ ვოლესი (დეტროიტი) | 18 | 0-0 | 1-5 | 0-0 | 5 | 0 | 1 | 2 | 2 | 1 | 3 |
| ჯო ჯონსონი (ატლანტა) | 13 | 0-1 | 1-1 | 0-0 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 1 | 3 |
| ანთაუნ ჯემისონი (ვაშინგტონი) | 12 | 1-1 | 0-2 | 0-0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 2 | 2 |
| სულ | 240 | 49-74 | 10-36 | 6-14 | 45 | 37 | 13 | 7 | 13 | 16 | 134 |

# პრინცი მეფობის პირას ლებრონის მეორე მარგალიტი




**ბოლო** ხანს ყველა ვარსკვლავთა შოუ-მატჩებზე ასეთი ტენდენცია იკვეთება: დასავლეთში აღმოსავლელები იგებენ და პირიქით. შარშანწინ ნბა-ს უკაშკაშესნი ჰიუსტონში რომ შეიყარნენ, ხალხი ფიქრობდა, მასპინძელი დასავლეთი მოიგებს, ყველაზე მეტად კი თავად ჰიუსტონელები — ტრეისი მაკგრეიდი და იაო მინი გაიელვებენო. ბოდიში ხალხს! მაკგრეიდიმ 36 ქულით კი გაიბრწყინა, მაგრამ აღმოსავლეთმა მოიგო და უძვირფასესობა ლებრონ ჯეიმსს შეხვდა, ვისაც მაშინ დეტროიტულმა კვარტეტმა მოაგებინა ეს ჯილდო.

წლეულს ნიუ ორლეანშიც ლებრონი გახდა ოლ სტარის MVP, ოღონდ დეტროიტული კვარტეტი ამ ჯერზე ტრიოდ იქცა და თანაც ლებრონს სხვებმა უფრო შეაშველეს ხელი.

საზოგადოდ, ნიუ ორლეანს ამ შოუს მასპინძლობა ქარიშხალ კატრინას „დამსახურებით" ერგო. ორნახევარი წლის წინ ლამის მიწასთან გასწორებულ ქალაქს მთელი ამერიკა ეხმარება ფეხზე წამოსადგომად და კალათბურთელებმაც თავისი აგური დადეს მშენებლობაში. თამაშს უფრო ქველმოქმედების სახე უნდა მიეღო, მაგრამ მისისიპის აქეთ-იქითა რჩეულმა კალათბურთელებმა ისეთი ბურთაობა გააჩაღეს, შოუ კი არა, ნამდვილი ჰოლივუდური თრილერი გამოვიდა.

დასავლეთს უკვე მესამე წუთზე დააკლდა უპირველესი ვარსკვლავი კობი ბრაიანტი, ვინც შარშანდელი უძვირფასესი გახლდათ და, როგორც ყოველთვის, ახლაც დიდად სწყუროდა განავარდება, მაგრამ ვაგლახ, ტრავმამ არ გაუშვა. მაღლები — ტიმ დანკანი და იაო მინი მოიკოჭლებდნენ, ცნობილი მეოლსტარე ალენ აივერსონმა კი იმდენჯერ დაკარგა ბურთი, რომ...

მოკლედ, ჩამორჩა დასავლეთი თანდათან. მეოთხე მეოთხედმა რომ მოატანა, აღმოსავლელები 13 ქულით იგებდნენ, მაგრამ აქ კადრი შეიცვალა: დასავლელი სათადარიგოები მარცხს არ შეეგუვნენ, განსაკუთრებით ეს მთლად მასპინძელ კრის პოლზე ითქმის. თავის პირველ ოლ სტარს პოლი შინ მართავდა, ასე რომ, თავს ვალდებულებად დაუსახა დასავლეთის შველა. ბოლო მეოთხედში მან 7 პასი გაკვესა და ვარსკვლავებში მასავით პირველად გარეულ პორტლენდელ ბრენდან როის ამხანაგობით პასივი აქტივად აქცია.

დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე რომ 122:119-იც კი წასწია დასავლეთი, მაგრამ აქ აღმოსავლეთს მოულოდნელი მშველელი გამოუჩნდა. ბოსტონელი რეი ალენი ოლ სტარში ვაშინგტონელი კერონ ბატლერის დამტვრევის გამო მოხვდა და კინაღამ უძვირფასესიც არ გახდა?! სულ რაღაც 19 წუთში მან 28 ქულას მოუყარა თავი, თანაც ბოლო წუთებზე სამი სამქულიანი ჩააკოკლოზინა და ლებრონ ჯეიმსს მთავარ ხელისმომკიდედ ამოუდგა გვერდში.

მაგრამ საღამოს გმირი მაინც პრინცი ლებრონი იყო. ერთ მომენტში მან მართლაც და არანორმალური რამ გააკეთა — შორიდან გამოქანებული აფრინდა და სამ დასავლელს გადაატენა თავზე ბურთი. მერე კრის პოლი ამბობდა, მისთვის მხრებზე ორი კაცი რომ ჩამოგვეკიდა, მაინც ჩატენიდა იმ ბურთსო.

დასავლეთს მაინც გამოუჩნდა თამაშის გადარჩენის შანსი: რომ სამქულიანით 128:131 შეამცირა სხვაობა, მაგრამ დარჩენილ 8,7 წამში მანამდე სამიანების ჭურვმტყორცნმა ალენმა სამი საჯარიმო მოინამგალა და ასე მოაგებინა აღმოსავლეთს 57 თამაშში 35-ედ.

**ირაკლი ფირაშვილი**

ევროპის ერთა თასი

პორტუგალია – საქართველო

23 თებერვალი. ლისაბონი. 19 საათი

# დრო ვარჯიშია

**გუშინ** ნაშუადღევს საქართველოს ნაკრები ლისაბონში ჩაფრინდა, სადაც 23 თებერვალს მასპინძელ პორტუგალიას საერთათასო მატჩში დაუპირისპირდება.

გუშინ ვწერდით და ერთხელაც გავიმეოროთ, რომ ადრე გამოცხადებულ სამატჩო 22-კაცა შემადგენლობაში ჩვენების მწვრთნელმა ტიმ ლეინმა ერთი იძულებითი ცვლილება გააკეთა. ფრანგულმა „პომ“ სანაკრებოდ არ გაათავისუფლა მერაბ კვირიკაშვილი, მის მაგივრად კი ლეინმა თბილისის „ლელოს“ უნივერსალი უკანახაზელი ირაკლი ყიასაშვილი წაიყვანა, რომელსაც სანაკრებო დებიუტი, სწორედ პორტუგალიასთან, 2 თებერვალს თბილისში 31:3 მოგებულ მატჩში ჰქონდა.

„ცოტა ხანგრძლივი მგზავრობა კი გამოგვივიდა, მაგრამ ძალიანაც არ დავღლილვართ. აეროპორტში მასპინძლები დაგვხვდნენ, სასტუმრომდე მიგვაცილეს. ახლა ცოტას დავისვენებთ და საღამოს ჩვენი სავარჯიშო მოედნის სანახავად წავალთ. ჯერჯერობით ყველაფერი ნორმალურად არის, რამდენიმე საათში საფრანგეთიდან ჩამოვლენ ლეგიონერები. ხვალიდან გუნდი დღეში ორჯერ ივარჯიშებს, რომ მატჩამდე დარჩენილი დრო მაქსიმალურად გამოვიყენოთ“ — გვითხრა ჩვენი ნაკრების მენეჯერმა ვასილ აბაშიძემ გუშინ ლისაბონში რომ დავუკავშირდით.

**ბაჩო სვანიძე**

## საქართველო პორტუგალიასთან

***შეტევა:*** *გიდეონ შველიძე, დავით ქუბრიაშვილი, დავით დადუნაშვილი, ირაკლი ნატრიაშვილი, ანტონ ფეიქრიშვილი, ლევან დათუნაშვილი, გიორგი ნემსაძე, კახა უჩავა, სიმონ მაისურაძე, დიმიტრი ბასილაია, შალვა სუთიაშვილი, რატი ურუშაძე;*

***უკანა ხაზი:*** *ირაკლი აბუსერიძე, ბიძინა სამხარაძე, ლაშა მალაღურაძე, ირაკლი ყიასაშვილი, რევაზ გიგაური, ლექსო თოდუა, ირაკლი ჩხიკვაძე, ოთარ ბარკალაია, დავით კაჭარავა, გიორგი შკინინი.*



გაიდრი კოჭლაშვილის ფოტო

ზე-14 2008

## სამხრეთში ზერაგბი გახურდა

15-16 **თებერვალს** სამხრეთ ნახევარსფეროში ზე-14-ის გათამაშება დაიწყო. შეგახსენებთ, რომ ჩემპიონატში 5 ახალზელანდიური, 5 სამხრეთაფრიკული და 4 ავსტრალიური გრანდი მონაწილეობს.

პირველი ტურის მიმოხილვას შარშანდელი ჩემპიონის, სამხრეთაფრიკული „ბულზისა“ და ასევე სამხრეთაფრიკული „შტორმერზის“ ჯახით დავიწყებთ. „ბულზი“ მეტოქეს კეიპტაუნში ეწვია და დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა.

2007 წლის მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშემ ბრაიან ჰაბანამ თამაშის ერთადერთი ლელო გაიტანა და თან მხარიც დაიზიანა. ისე კი მასპინძლები 9:0 იგებდნენ, მაგრამ მერე „ბულზებმა“ 16 უპასუხო ქულა მოიპოვეს დიდი ომით და ოფლის ღვრით.

სამხრეთაფრიკული „შარქსი“ ავსტრალიურ „ფორსს“ დაუხვდა დურბანში და ძლივძლივობით დაამარცხა. ვარსკვლავებით გადაჭედილმა „შარქსმა“ საკმაოდ უხეიროდ ითამაშა და მეტწილად ფეხით ცდილობდა ფონს გასვლას, რის გამოც სანახაობრივმა მხარემ იზარალა. მატჩი ქულა-ქულაში მიდიოდა და საბოლოოდ შეხვედრის ბედი სამხრეთაფრიკელთა ინდივიდუალურმა ოსტატობამ გადაწყვიტა.

უხვტიტულა ახალზელანდიური „კრუზეიდერზისა“ და ავსტრალიური „ბრამბიზის“ ორთაბრძოლა პირველის უპირატესობით წარიმართა და „ჯვაროსანთა“ გამარჯვებით დამთავრდა. გუნდები წვიმიან ამინდში, გუბეებით მოფენილ სტადიონზე ეკვეთნენ ერთმანეთს. ამ კლუბთა დაპირისპირების ისტორია ზე-12-ის არსებობიდან იწყება და უპრინციპულეს ხასიათს ატარებს. „კრუზეიდერზიდან“ თავისი საქმე ხუთიანზე შეასრულეს დენ კარტერმა და რიჩი მაკქოუმ. კარტერმა ჯარიმებით დასეტყვა მოწინააღმდეგე, ხოლო შერკინებაში მოუდრეკლად იდგნენ ალი უილიამსი, ბრედ სორნი, გრეგ სომერვილი და ბენ ფრენკსი.

**ზურაბ მიგრიაული**

**I ტური**

**კრუზეიდერზი 34:3 ბრამბიზი**
**რედზი 22:16 ჰაილენდერზი**
**შარქსი 17:10 ფორსი**
**ბლუზი 32:14 ჩიფსი**
**ვარათაზი 20:3 ჰარიკანზი**
**შტორმერზი 9:16 ბულზი**
**ჩიტაზი 22:23 ლაიონზი**



# ნიშიკორობა დელრეი ბიჩში



კეი ნიშიკორი

**კაცები**
**მარსელი. საფრანგეთი. ჰარდი**
**საპრიზო 534 000 ევრო**

**ფინალი**

**ენდი მიურეი** (4, ესპანეთი) — მარიო ანჩიჩი (ხორვატია) 6:3 6:4

ენდი მიურეიმ მარსელის ტურნირის ფინალში მარიო ანჩიჩს საკმაოდ დაძაბულ ბრძოლაში მოუგო და პირველი მეჩოგნე შეიქნა, რომელმაც 2008 წელს უკვე ორი ტიტულის მოგება მოახერხა. ახალგაზრდა შოტლანდიელმა წლის დასაწყისში დოჰაშიც იხეირა.

მიურეი, რომელიც მარსელში პირველად თამაშობდა, მთელი კვირა დამაჯერებლად გამოიყურებოდა და თავი არც ფინალში შეურცხვენია. პირველ სეტში ენდიმ ბრეიკი მერვე გეიმში გააკეთა და 5:3 დაწინაურების შემდეგ ადვილად იხეირა. მეორე პარტიაში კი თავიდან ანჩიჩი უკეთესად თამაშობდა და 3:1 მიჰყავდა, მაგრამ შოტლანდიელმა მომდევნო 6 გეიმიდან 5 მოიგო და საქმეც მოათავა.

„მართლაც მაღალ დონეზე ვითამაშე. განსაკუთრებით კარგი მაინც გადამწყვეტ მომენტებში ვიყავი. თანაც მრავალფეროვანი ჩოგბურთი ვითამაშე, რითაც, დარწმუნებული ვარ, მაყურებელმაც ისიამოვნა“ — კმაყოფილი იყო ნამატჩევს მიურეი, რომელიც ამ გამარჯვების შემდეგ რეიტინგის ტოპათეულში დაბრუნდა.

მიურეისთვის ეს მეცხრე ფინალი და მეხუთე მოგებული ტიტული იყო.

**კაცები**
**დელრეი ბიჩი. აშშ. ჰარდი**
**საპრიზო 436 000 $**

**ფინალი**

**კეი ნიშიკორი** (იაპონია) — **ჯეიმს ბლეიკი** (1, აშშ) 3:6 6:1 6:4

კვირის მთავარ მოვლენად იაპონელი კეი ნიშიკორი იქცა, რომელმაც დელრეი ბიჩში გვარიანი სენსაცია შემოგვთავაზა და ფინალში ჯეიმს ბლეიკი გააკრა ბეჭებზე. ნიშიკორი ბოლო 16 წლის განმავლობში პირველი იაპონელია, რომელმაც ATP-ის რანგის ტიტულის მოგება შეძლო (ბოლო შუცო მაცუოკა იყო, რომელმაც 1992 წელს სეულში იმარჯვა).

ამავდროულად, 18 წლის, 1 თვისა და 19 დღის ნიშიკორი ATP-ის ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა გამარჯვებულია მას შემდეგ, რაც 1998 წლის 11 იანვარს ლეიტონ ჰიუიტმა 16 წლის, 10 თვისა და 18 დღის ასაკში ადელაიდაში იხეირა.

ფინალში ბლეიკმა ვერაფერი მოუხერხა კორტზე ვერცხლისწყალივით მოძრავ იაპონელს — აზიელი მეტოქის ყველაზე ძლიერ დარტყმებსაც კი ეწეოდა და პასუხობდა, რაც იანკისთვის სრული მოულოდნელობა გამოდგა.

„ფინალის წინა ღამეს ვეცადე წარმომედგინა, რომ გავიმარჯვე, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ამიტომაც პირველ სეტში მაგრად ვნერვიულობდი, თუმც მერე ნელ-ნელა დავწყნარდი, შიში დავძლიე და ათამაშება შევძელი, რის შემდეგაც ყველაფერი იოლად წავიდა. ეს უდავოდ ჩემი ცხოვრების საუკეთესო მომენტია“ — ხარობდა პრესკონფერენციაზე ნიშიკორი.

**კაცები**
**კოსტა დე საიუპე. ბრაზილია**
**თიხნარი. საპრიზო 485 000 $**

**ფინალი**

**ნიკოლას ალმაგრო** (2, ესპანეთი) — კარლოს მოია (ესპანეთი) 7:6 3:6 7:5

ესპანური დერბი მართლაც ეშხიანი და დაძაბული საცქერი გამოდგა. ახალგაზრდა ნიკოლას ალმაგრომ და ვეტერანმა კარლოს მოიამ ერთმანეთი არ დაინდეს და ორსაათნახევარი იომეს. მესამე სეტი სულაც გიჟური სცენარით წარიმართა — 4:4-ზე ალმაგრომ ბრეიკი გააკეთა და მატჩის მოგების შანსი მიეცა, მაგრამ მოიამ კიდევ ერთხელ გაიბრძოლა და ანგარიში გაათანაბრა. თუმც ახალგაზრდობამ მაინც თავისი გაიტანა და ალმაგრომ, რომელსაც მეტი ძალა შერჩენოდა, კიდევ ერთხელ გატეხა თანამემამულე, რითაც კარიერის მესამე ტიტული გაინაღდა. აქამდე ამ პირინეელს მხოლოდ სამშობლოში — 2006 და 2007-ში ვალენსიაში ემარჯვა.

„მართლაც განსაკუთრებული გამარჯვებაა. აქამდე ესპანეთის გარდა არსად მომეგო და აგერ ახლა ბრაზილიაში ვიხეირე“ — ლაკონიური იყო ალმაგრო.

**ქალები**
**ანტვერპენი. ბელგია. ჰარდი (დარბაზი). საპრიზო 600 000 $**

**ფინალი**

**ჟუსტინ ენინი** (1, ბელგია) — კარინ კნაპი (იტალია) 6:3 6:3

ჟუსტინ ენინმა თვითონაც გაიხარა და ანტვერპენელი გულშემატკივარიც მაგრად ასიამოვნა, როცა ფინალში კარინ კნაპს საათნახევარში გადაურბინა. მსოფლიოს პირველი ჩოგანი მთელი კვირა მძიმედ გამოიყურებოდა და აშკარად ეტყობოდა, რომ ფორმაში ვერ იყო — ფინალამდე არც ერთი სახელიანი მეტოქე არ ჰყავდა, მაგრამ ცვეტანა პირონკოვასთან და ტიმეა ბასინსკისთან მაგრად იწვალა და ორივესთან სეტი დათმო. თუმც ფინალში ჭინკა ბელგიელმა ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ მის ქომაგებს ნერვიულობის მიზეზი არ ჰქონოდათ და კნაპს ისე იოლად გაუმკლავდა, როგორც სჩვევია.

„დიდი მადლობა გულშემატკივრებს მხარდაჭერისთვის. საკუთარი ტრიბუნების წინ მოგება ყოველთვის სასიამოვნოა. ტურნირზე საუკეთესო მატჩი კი უდავოდ ფინალში ჩავატარე“ — მოკლედ მოჭრა ენინმა, რომელმაც მშობლიურ კორტზე მეორედ იმარჯვა. ჟუსტინმა აქ პირველად 1999-ში იხეირა — მაშინ ანტვერპენში ეს ტურნირი პირველად ტარდებოდა და 17 წლის ენინისთვისაც პირველ მოგებულ ტიტულად იქცა.

მთლიანად კი ბელგიელისთვის ეს 57-ე საკარიერო ფინალი იყო, რომელთაგანაც ჟუსტინმა 46-ში იმარჯვა. ყველა დროის ყველაზე მეტი ტიტულის მომგებ მეჩოგნეთა სიაში ენინი მე-11 ადგილზე იმყოფება, მოქმედ ჩოგბურთელთა შორის კი მხოლოდ 54 ტიტულის მომგებ ლინდსი დევენპორტს ჩამორჩება.

**ქალები**
**ვინა დელ მარი. ჩილე. თიხნარი**
**საპრიზო 200 000 $**

**ფინალი**

**ფლავია პენეტა** (1, იტალია) — კლარა ზაკოპალოვა (8, ჩეხეთი) 6:5 5:4 უარი



ენდი მიურეი

# სარეიტინგო ადი-ჩადი

**ორშაბათს** პროფესიონალ ჩოგბურთელთა ახალი რეიტინგები გამოქვეყნდა და კლასიფიკაციებში მოხსენიებული ქართველები (10 ქალი და 4 კაცი) დაახლოებით ისევ იქ არიან, სადაც ერთი კვირის წინ იყვნენ.

სეზონის ამ ეტაპზე ჩვენებურები არ აქტიურობენ, ფაქტობრივად, არ თამაშობენ, თანაც მათ ქულებიც არა აქვთ დასაცავი და აქედან გამომდინარე, გასაგებია, რომ სარეიტინგო ადი-ჩადი მათ, პრაქტიკულად, არ ეხება.

ერთადერთი, ოდესღაც WTA-ს კლასიფიკაციის მესამე ასეულში მყოფმა სოფო მელიქიშვილმა დაიხია მკვეთრად უკან — მორიგი 32 პოზიცია დაკარგა და 873-ე საფეხურზე დაქვეითდა. სხვები კი, რამდენიმე ადგილი წინ, რამდენიმე ადგილი უკან — სულ ეს არის.

**კაცები**

371 (-2) ლადო ჩიხლაძე -------- 87
1219 (0) ნოდარ ითონიშვილი --- 4
1494 (-3) გიორგი ხრიკაძე ------- 1
1494 (-3) გიორგი ჭანტურია ---- 1

**ქალები**

199 (-5) მაკა ჩახნაშვილი ----- 144
281 (+1) ანა ტატიშვილი ------- 88
409 (-1) სოფო შაფათავა ------ 46
508 (+2) თინა ყაველაშვილი ---- 31
591 (0) სალომე დევიძე -------- 22
605 (0) მანანა შაფაქიძე ------- 21
646 (-5) ოქსანა კალაშნიკოვა - 18
708 (-14) სოფო ქვაცაბაია ----- 15
808 (-4) ეკა გორგოძე ---------- 10
873 (-32) სოფო მელიქიშვილი -- 8

# ანას კოპა



**საქართველოს** საუკეთესო ჩოგბურთელ ქალ მაკა ჩახნაშვილს უიღბლო პერიოდი უდგას. წინა კვირაში მაკა პარიზში იყო და კვალიფიკაციიდან ცდილობდა, WTA-ს ეგიდით მიმდინარე 600-ათასიანი შეჯიბრის ძირითად ბადეში მოხვედრას. არ გამოუვიდა — კვალიფიკაციის მეორე წრეს ვერ გაცდა.

პარიზიდან მაკამ არაბეთში, კერძოდ კი ყატარულ დოჰაში გადაინაცვლა, სადაც 2,5 მილიონი დოლარი საპრიზო ფონდის მქონე სუპერტურნირი ტარდება. ბობოლა შეჯიბრის ძირითად ბადეში მოხვედრას ჩვენებური, ბუნებრივია, აქაც კვალიფიკაციიდან ცდილობდა, მაგრამ პირველივე წრეში 6:2 3:6 4:6 დამარცხდა კლასიფიკაციაში 152-ე ადგილზე მყოფ ხორვატ ნიკა ოზეგოვიჩთან.

ქართველ ჩოგბურთელ ქალთა მეორე ნომერი ანა ტატიშვილი, ჩახნაშვილის დარად, ამ კვირაში WTA-ტურის ეგიდით მიმდინარე ტურნირზე გამოჩნდა. კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტას თიხნარზე 185-ათასიანი „კოპა კოლსანიტასი" ტარდება და ანამ საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ წრეში 6:1 6:0 გაანადგურა ბერძენი ანა გერასიმუ.

ტატიშვილის მეორე მეტოქე კლასიფიკაციაში 158-ე ადგილზე მყოფი ესპანელი მარია მარტინეს სანჩესი იყო, რომელმაც პირველ წრეში, ზუსტად იგივე ანგარიშით, 6:1 6:0 გადაუარა იტალიელ ჯულია გაბას.

ამ კვირის ტურნირების განაცხადში კიდევ ერთი ქართველია — 17 წლის და ურეიტინგო მაგდა ოქრუაშვილი პორტუგალიური პორტიმაოს ჰარდზე ITF-ის ეგიდით მიმდინარე 10-ათასიანი შეჯიბრის საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებს და პირველ წრეში, მასავით 17 წლისა და ურეიტინგო ფრანგს, ლეტიცია პრატს შეხვდება.

## კაცები

| განთესვის რეიტინგი | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 6630 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 5980 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 5165 |
| 4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 2725 |
| 5. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 2715 |
| 6. ენდი როდიკი (აშშ) | 2120 |
| 7. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 1885 |
| 8. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 1845 |
| 9. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 1710 |
| 10. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 1710 |
| 11. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 1700 |
| 12. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 1685 |
| 13. კარლოს მოია (ესპანეთი) | 1585 |
| 14. ხუან მონაკო (არგენტინა) | 1520 |
| 15. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 1515 |
| 16. პოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი) | 1495 |
| 17. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 1490 |
| 18. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი) | 1489 |
| 19. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 1460 |
| 20. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 1455 |

| საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 203 |
| 2. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი) | 155 |
| 3. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 114 |
| 4. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 95 |
| 5. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 91 |
| 6. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 90 |
| 7. ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) | 77 |
| 8-9. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 74 |
| 8-9. იარკო ნიემინენი (ფინეთი) | 74 |
| 10. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 58 |
| 11. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 57 |
| 12. პოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი) | 56 |
| 13-14. ხუან მონაკო (არგენტინა) | 54 |
| 13-14. დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) | 54 |
| 15. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 52 |
| 16. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 50 |
| 17. მარინ ჩილიჩი (ხორვატია) | 48 |
| 18. მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) | 47 |
| 19. სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) | 45 |
| 20. კარლოს მოია (ესპანეთი) | 43 |

## ქალები

| განთესვის რეიტინგი | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 6830 |
| 2. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 3760 |
| 3. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 3758 |
| 4. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 3695 |
| 5. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 3061 |
| 6. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 2835 |
| 7. ვინუს უილიამსი (აშშ) | 2720 |
| 8. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 2687 |
| 9. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 2198 |
| 10. სერენა უილიამსი (აშშ) | 2022 |
| 11. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1915 |
| 12. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1766 |
| 13. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 1693 |
| 14. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1632 |
| 15. დინარა საფინა (რუსეთი) | 1602 |
| 16. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1569 |
| 17. შაჰარ პირი (ისრაელი) | 1480 |
| 18. აგნეს სჟავაი (უნგრეთი) | 1478 |
| 19. სიბილ ბამერი (ავსტრია) | 1286 |
| 20. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) | 1257 |

| საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 1000 |
| 2. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 825 |
| 3. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 800 |
| 4. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 625 |
| 5. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 520 |
| 6. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 367 |
| 7. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) | 366 |
| 8. ნა ლი (ჩინეთი) | 355 |
| 9. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 300 |
| 10. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 280 |
| 11. ფლავია პენეტა (იტალია) | 270 |
| 12. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 266 |
| 13-14. ვინუს უილიამსი (აშშ) | 250 |
| 13-14. სერენა უილიამსი (აშშ) | 250 |
| 15. ტიმეა ბასინსკი (შვეიცარია) | 249 |
| 16. კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) | 225 |
| 17. კარინ კნაპი (იტალია) | 203 |
| 18. ვირჟინი რაზანო (საფრანგეთი) | 196 |
| 19-21. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 195 |
| 19-21. სოფია არვიდსონი (შვედეთი) | 195 |
| 19-21. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 195 |



# რევაზ ჭანტურიამ ევროთასი გაიხანგრძლივა

**რევაზ ჭანტურიას** მაკედონიურმა „მეტალურგმა" ევროპის ფედერაციის თასის გათამაშებაში საპასუხო შეხვედრა ესპანეთში იქაურ „გრანოლერსთან" ჩაატარა, 25:27 წააგო და დამარცხების მიუხედავად, მეოთხედფინალში გავიდა. მაკედონიურ გუნდს შინ 29:26 ჰქონდა მოგებული და ამის წყალობით გაძვრა მომდევნო ეტაპზე. არადა, ესპანელებს ერთი ბურთი კიდევ რომ გაეტანათ, ორი მატჩის ჯამში ისინი იმარჯვებდნენ, რადგან გასვლით შეხვედრაში მეტი ბურთი ექნებოდათ გატანილი. ჩვენებურმა თუ პირველ დაპირისპირებაში 4 გოლი გაიტანა, ამჯერად 3-ჯერ დაარტყა ზუსტად, რაც ასეთ უკომპრომისო თამაშში ცუდი შედეგი არ გახლავთ. „მეტალურგის" მომდევნო მეტოქე უახლოეს დღეებში გაირკვევა.

**ლევსო მაისურაძე**



# ჩემპიონი სტუდენტები

**16 თებერვალს** გუდაურმა სტუდენტებს შორის სამთო-სათხილამურო ტურნირს უმასპინძლა. ზამთრის კურორტზე 60-მდე სტუდენტმა მოიყარა თავი და ჩემპიონ-პრიზიორები გამოავლინა. გოგონებში საუკეთესო მანანა წერეთელი გახდა (სტუ), ვერცხლის მედალი ანა გუჯაბიძემ დაისაკუთრა (თსუ), ბრინჯაო კი ეკა კოსირატიმ (ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტი).

ბიჭებში ყველას გიორგი თედიაშვილმა (სტუ) აჯობა. ნოდარ ჩხეიძე მეორე იყო (სტუ), ვეფხია ოგბაიძე კი მესამე (ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტი). პრიზიორებს მედლებთან ერთად ფასიანი საჩუქრები გადაეცათ. პირველადგილოსნები მესამე თაობის ტელეფონით, მეორე და მესამე პოზიციაზე გასულები კი MP3 ფლეერებითა და სათხილამურო სათვალეებით დასაჩუქრდნენ.

**ლევსო მაისურაძე**



# როხლინის კარგი ტოკიო




**გრძელ** დისტანციაზე სირბილზე გადარეულმა იაპონელებმა მორიგი მარათონი ჩაირბინეს, ამ ჯერზე დედაქალაქ ტოკიოში, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულად ითვლება. 2:07.23 შედეგით იმარჯვა შვეიცარიელმა ვიქტორ როხლინმა, ვინც შვეიცარიის რეკორდი ხომ დაამყარა და ზედაც ორ წუთზე მეტი მოაკლო კენიელი დანიენ ნჯენგას მიერ შარშან დამყარებულ ტოკიოს მარათონის რეკორდს.

დაუჯერებელიაო, ამბობდა როხლინი მას შემდეგ, რაც ფინიშზე ცოტა სული მოითქვა — „იაპონიაში გამარჯვება რაღაც სასწაულია, სიტყვები არ მყოფნის გრძნობათა გადმოსაცემად" — მერე კი ცოტა რომ დამშვიდდა, ესეც თქვა, პეკინისკენ სწორ გზას ვადგავარო. როხლინის აქამდელ მიღწევათა შორის გამოსარჩევია 2007 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, ოსაკაში მესამე ადგილი, ახლა კი ის იაპონიაში გამარჯვებით დაბრუნდა.

საერთოდაც, ეს გარბენი საკმაოდ სწრაფი გამოდგა. მეორე ადგილზე გასულმა იაპონელმა არატა ფუჯივარამ 2:08.40 შედეგის ჩვენებით პირადი რეკორდი არც მეტი, არც ნაკლები, 30 (!) წუთით გააუმჯობესა, მესამეზე გასულმა კენიელმა ჯულიუს ჯიტაჰიმ (2:08.57) კი პირად რეკორდს რვა-ნახევარი წუთი ჩამოაჭრა.

საინტერესოც იყო ეს გარბენი: პირველი 5 კილომეტრის პელოტონად გარბენის შემდეგ ბრბოს 30 კაცი გაექცა და ლიდერთა ჯგუფიც ასე შეიქმნა, რომელიც თანდათან იკლებდა რაოდენობაში. ნამდვილი შეტევა და შეჯიბრი 25 კილომეტრის მერე დაიწყო, როდესაც კენიელმა დევიდ კემბოიმ დანარჩენებს ზურგი მიუშვირა და წინ უსწრაფესად გაქუსლა. შემორჩენილი 17 კაციდან მას მხოლოდ 10 მიჰყვა, დანარჩენები კი შეეგუვნენ იმ აზრს, რომ პირველი ადგილებისთვის ველარ იბრძოლებდნენ და მარათონის გასრულებაზეღა ექნებოდათ პრეტენზია.

აჩქარებულ კემბოის კი ძალა მხოლოდ 5 კილომეტრი ეყო და 30-ე კილომეტრზე ისიც ჩამორჩა. აი, სწორედ აქ გამოჩნდა ავანსცენა — მანამდე სხვათა ზურგის და წელის მაცქერალი როხლინი გაიჭრა და ხუთი კაცი გაიყოლა. 33-ე კილომეტრზე დაიქანცა ყოფილი ჩემპიონი ნჯენგა, შვეიცარიელი კი წინ და წინ მიქროდა და 40 კილომეტრის შემდეგ 44 წამს უგებდა ფუჯივარა-ჯიტაჰის დუეტს. ფინიშიც ისე გადაკვეთა, ესენი არც ჩანდნენ ჰორიზონტზე.

**კოტე ყორშია**

# ტანიამ სამწლიანი გაიტანა




**სამი** წელია, ფინელ ტანია პოუტიაინენს მსოფლიოს თასის ეტაპი არ მოეგო და აი, მან ამ უიღბლო პერიოდს ხორვატულ ზაგრებში დაუსვა წერტილი.

წლეულს „თეთრი ცირკის" სლალომის განყოფილება ავსტრიელი მარლიზ შილდის საუფლო იყო და ის ზაგრებშიც წინ იყო პირველი დაშვების შემდეგ და მესამე ადგილზე მყოფ პოუტიაინენს 0,3 წამს უგებდა. ამათ შორის მსოფლიოს თასის შარშანდელი გამარჯვებული და წლეულსაც პირველობაზე დაგეშილი ნიკოლ ჰოსპი იყო, ოღონდაც ამ ავსტრიელს მეორე დაშვებისას არ გაუმართლა, საერთოდ უქულოდ დარჩა და შედეგად, ქალთა გენერალური კლასიფიკაციის სათავეში კვლავ ორხელისუფლებიანობაა — ჰოსპი პირველობას ამერიკელ ლინდსი კილდოუსთან ერთად იყოფს.

მთლად თანამემამულესავით არა, მაგრამ მეორე ცდა შილდმაც ჩააგდო და პოუტიაინენსაც გაეხსნა გზა ნანატრი პირველობისკენ — ტანიამ მეორე დაშვებისას საუკეთესო დრო აჩვენა და ჯამში შილდი ნახევარ წამზე მეტით ჩამოიტოვა.

თუ ქალებში ვერა, კაცებში მაინც ავსტრიელმა იმარჯვა. სლალომში მსოფლიოს ჩემპიონმა მარიო მატმა მასპინძლების ჯილას, ივიცა კოსტელიჩს, ორივე ცდაზე მცირედით აჯობა და ხორვატებს ბარაქიანად გახარების საშუალება არ მისცა.

## მსოფლიოს თასი. ზაგრები. ხორვატია. 15-17 თებერვალი

### კაცები

#### სლალომი

| | |
|---|---|
| 1. მარიო მატი (ავსტრია) | 1 წთ 51,36 წმ (55,28+56,08) |
| 2. ივიცა კოსტელიჩი (ხორვატია) | 1.51,69 (55,31+56,38) |
| 3. რაინფრედ ჰერბსტი (ავსტრია) | 1.51,76 (55,67+56,09) |
| 4. ჯორჯო როკა (იტალია) | 1.52,08 (55,45+56,63) |
| 5. მიტია დრაგსიჩი (სლოვენია) | 1.52,21 (56,07+56,14) |

#### საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. ბოდე მილერი (აშშ) | 1067 ქულა |
| 2. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 974 |
| 3. დიდიე კუშე (შვეიცარია) | 882 |
| 4. ჟან-ბატისტ გრანჟე (საფრანგეთი) | 682 |
| 5. დანიელ ალბრეხტი (შვეიცარია) | 641 |

### ქალები

#### სლალომი

| | |
|---|---|
| 1. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) | 1 წთ 52,83 წმ (55,12+57,71) |
| 2. მარლიზ შილდი (ავსტრია) | 1.53,35 (54,74+58,61) |
| 3. ვერონიკა ზუზულოვა (სლოვაკეთი) | 1.53,51 (55,56+57,95) |
| 4. კატრინ ცეტელი (ავსტრია) | 1.53,72 (55,51+58,21) |
| 5. მინა ლოზეტი (ნორვეგია) | 1.54,17 (55,80+58,37) |

#### საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1-2. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) | 983 ქულა |
| 1-2. ლინდსი კილდოუ (აშშ) | 983 |
| 3. მარლიზ რიოში (გერმანია) | 881 |
| 4. მარლიზ შილდი (ავსტრია) | 847 |
| 5. ელიზაბეტ გიორგლი (ავსტრია) | 841 |



# თავი ქუდში

## მორგენშტერნმა გლობუსი გაინაღდა

**თხილამურებით** ტრამპლინიდან მხტომელთა მსოფლიოს თასის დასრულებამდე ჯერ ექვსი ეტაპია დარჩენილი, მაგრამ 2007-08 წლების სეზონის ტრიუმფატორის ვინაობა უკვე ცნობილია — ტურინის ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონმა, ავსტრიელმა ტომას მორგენშტერნმა თავიდანვე ისე დაიწყო, ეჭვი არავის შეპარვია, რომ გამარჯვებულის სარგო დიდ ბროლის გლობუსს არავის დაუთმობდა. ასეც მოხდა — გერმანული ვილინგენის დიდ ტრამპლინზე გამართული ეტაპის შემდეგ მორგენშტერნი გენერალურ კლასიფიკაციაში 601 ქულას უგებს მეორე ადგილზე მყოფ თავის 17 წლის თანამემამულე გრეგორ შლირენცაუერს და დარჩენილ ექვს ტრამპლინზე, მაქსიმუმი რაც შეიძლება მოხდეს, შლირენცაუერმა ჩამორჩენა ერთ ქულამდე შეამციროს.




წლევანდელი სეზონისგან მორგენშტერნს ხინჯად ალბათ ის თუ დარჩება, რომ ლეგენდარულ „ოთხი მთის ტურნეზე" ვერ ივარგა და პირველობა ფინელ იანე აჰონენს დაუთმო, თორემ თასის ეტაპებზე მოპოვებული ათი გამარჯვებით ბადალი არ ჰყოლია.

ვილინგენში მორგენშტერნი მხოლოდ მეხუთე იყო, თუმც პირველობის გასანაღდებლად ესეც ეყო, რადგანაც საერთო ჩათვლაში მეორე და მესამე ადგილებზე მყოფნი, შლირენცაუერი და აჰონენი, შესაბამისად, მერვე და მეცხრე ადგილებზე გავიდნენ.

უშუალოდ ვილინგენურ ეტაპს რაც შეეხება, გასულმა უქმეებმა ნორვეგიული ნიშნით ჩაიარა. მფრინავმა ვიკინგებმა შაბათს მძაფრ ბრძოლაში აჯობეს ფინელებს და გუნდური შეჯიბრი მოიგეს, ხოლო კვირას, პირად პირველობაში, საუკეთესო ბიორნ ეინარ რომორენი იყო, მისმა თანამემამულე ანდერს ბარდალმა კი მესამე ადგილი დაიკავა.

### მსოფლიოს თასის მფლობელები 1980 წლიდან

| | |
|---|---|
| 1980 | ჰუბერტ ნოირერი (ავსტრია) |
| 1981 | არმინ კოგლერი (ავსტრია) |
| 1982 | არმინ კოგლერი (ავსტრია) |
| 1983 | მატი ნიუკიანენი (ფინეთი) |
| 1984 | იენს ვაისფლოგი (გერმანია) |
| 1985 | მატი ნიუკიანენი (ფინეთი) |
| 1986 | მატი ნიუკიანენი (ფინეთი) |
| 1987 | ვეგარდ ოპასი (ნორვეგია) |
| 1988 | მატი ნიუკიანენი (ფინეთი) |
| 1989 | იან ბოკლოვი (შვედეთი) |
| 1990 | არი-პეკა ნიკოლა (ფინეთი) |
| 1991 | ანდრეას ფელდერი (ავსტრია) |
| 1992 | ტონი ნიემინენი (ფინეთი) |
| 1993 | ანდრეას გოლდბერგერი (ავსტრია) |
| 1994 | იესპენ ბრედესენი (ნორვეგია) |
| 1995 | ანდრეას გოლდბერგერი (ავსტრია) |
| 1996 | ანდრეას გოლდბერგერი (ავსტრია) |
| 1997 | პრიმოჟ პეტერკა (სლოვენია) |
| 1998 | პრიმოჟ პეტერკა (სლოვენია) |
| 1999 | მარტინ შმიტი (გერმანია) |
| 2000 | მარტინ შმიტი (გერმანია) |
| 2001 | ადამ მალიში (პოლონეთი) |
| 2002 | ადამ მალიში (პოლონეთი) |
| 2003 | ადამ მალიში (პოლონეთი) |
| 2004 | იანე აჰონენი (ფინეთი) |
| 2005 | იანე აჰონენი (ფინეთი) |
| 2006 | იაკუბ იანდა (ჩეხეთი) |
| 2007 | ანდერს იაკობსენი (ნორვეგია) |
| 2008 | ტომას მორგენშტერნი (ავსტრია) |

## მსოფლიოს თასი. ვილინგენი. გერმანია. 16-17 თებერვალი

### გუნდური. HS 145

| | |
|---|---|
| 1. ნორვეგია (პიორნ ეინარ რომორენი, ანდერს ბარდალი, ტომ ჰილდე, ანდერს იაკობსენი) | 1052,4 ქულა |
| 2. ფინეთი (იანე ჰაპონენი, ჰარი ოლი, მატი ჰაუტამაეკი, იანე აჰონენი) | 1035,4 |
| 3. ავსტრია (ანდრეას კოფლერი, მარტინ კოხი, გრეგორ შლირენცაუერი, ტომას მორგენშტერნი) | 999,4 |
| 4. რუსეთი (პაველ კარელინი, ილია როსლიაკოვი, დენის კორნილოვი, დმიტრი ვასილიევი) | 947,3 |
| 5. გერმანია (მიხაელ ნოიმაიერი, გეორგ შპეტჰი, მიხაელ ურმანი, მარტინ შმიტი) | 893,2 |

### პირადი. HS 145

| | |
|---|---|
| 1. ბიორნ ეინარ რომორენი (ნორვეგია) | 286,6 ქულა (142,0 მ და 147,5 მ) |
| 2. ჯერნეი დამიანი (სლოვენია) | 282,2 (143,0 და 143,5) |
| 3. ანდერს ბარდალი (ნორვეგია) | 279,9 (142,0 და 143,5) |
| 4. ჰარი ოლი (ფინეთი) | 276,2 (140,5 და 143,5) |
| 5. ტომას მორგენშტერნი (ავსტრია) | 273,5 (141,0 და 141,5) |

### საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. ტომას მორგენშტერნი (ავსტრია) | 1632 ქულა |
| 2. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია) | 1031 |
| 3. იანე აჰონენი (ფინეთი) | 969 |
| 4. ტომ ჰილდე (ნორვეგია) | 917 |
| 5. ანდერს ბარდალი (ნორვეგია) | 668 |



## მსოფლიოს თასი. ლიბერეცი. ჩეხეთი. 16-17 თებერვალი

### კაცები

#### 15 კმ. ინდივიდუალური. თავისუფალი

| | |
|---|---|
| 1. ჟან-მარკ გაილარი (საფრანგეთი) | 28 წთ 01,3 წმ |
| 2. ლუკაშ ბაუერი (ჩეხეთი) | 28.13,4 |
| 3. კრისტიან ჰოფმანი (ავსტრია) | 28.23,1 |
| 4. პიეტრო პილერ კოტრერი (იტალია) | 28.27,9 |
| 5. ანდერს სოდერგრენი (შვედეთი) | 28.29,6 |

#### გუნდური სპრინტი (6X1,6 კმ). კლასიკური

| | |
|---|---|
| 1. ნორვეგია I (იონსრუდ სუნდბი, ოსტენსენი) | 21 წთ 50,4 წმ |
| 2. ფინეთი I (იაჰოიარვი, ნოუსიაინენი) | 21.50,8 |
| 3. ნორვეგია I (დალი, რონინგი) | 21.55,9 |
| 4. რუსეთი I (პარფიონოვი, როჩევი) | 22.05,0 |
| 5. შვედეთი I (რიკარდსონი, იონსონი) | 22.11,7 |

#### საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. ლუკაშ ბაუერი (ჩეხეთი) | 996 ქულა |
| 2. რენე ზომერფელდი (გერმანია) | 643 |
| 3. ტორ არნე ჰეტლანდი (ნორვეგია) | 576 |
| 4. აქსელ ტაიხმანი (გერმანია) | 538 |
| 5. პიეტრო პილერ კოტრერი (იტალია) | 487 |

### ქალები

#### 10 კმ. ინდივიდუალური. თავისუფალი

| | |
|---|---|
| 1. ასტრიდ იაკობსენი (ნორვეგია) | 20 წთ 54,6 წმ |
| 2. ჟუსტინა კოვალჩუკი (პოლონეთი) | 20.55,0 |
| 3. შარლოტა კალა (შვედეთი) | 21.01,6 |
| 4. ევი ზახენბახერი (გერმანია) | 21.02,0 |
| 5. ვალენტინა შევჩენკო (უკრაინა) | 21.03,2 |

#### გუნდური სპრინტი (4X1,4 კმ). კლასიკური

| | |
|---|---|
| 1. ნორვეგია I (ბიორგენი, იაკობსენი) | 16 წთ 13,6 წმ |
| 2. ფინეთი I (საარინენი, მურონენი) | 16.24,9 |
| 3. რუსეთი I (შაპოვალოვა, მატვეევა) | 16.37,1 |
| 4. შვედეთი I (კალა, ინგემერსდოტერი) | 16.49,6 |
| 5. რუსეთი I (კოროსტელევა, როჩევა) | 16.58,0 |

#### საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. ვირპი კუიტუნენი (ფინეთი) | 979 ქულა |
| 2. შარლოტა კალა (შვედეთი) | 890 |
| 3. ასტრიდ იაკობსენი (ნორვეგია) | 870 |
| 4. ჟუსტინა კოვალჩუკი (პოლონეთი) | 809 |
| 5. არიანა ფოლისი (იტალია) | 763 |



## მსოფლიოს თასი. ლიბერეცი. ჩეხეთი. 16-17 თებერვალი

### პირადი. 10 კმ მასსტარტი + 2 ნახტომი HS 134 ტრამპლინიდან

| | |
|---|---|
| 1. პეტერ ტანდე (ნორვეგია) | მე-4 ადგილი თხილამურებით, მე-5 — ტრამპლინზე |
| 2. ანსი კოივურანტა (ფინეთი) | 7 და 3 |
| 3. რონი აკერმანი (გერმანია) | 5 და 9 |
| 4. ერიკ ფრენცელი (გერმანია) | 18 და 6 |
| 5. ბერნარდ გრუბერი (ავსტრია) | 26 და 3 |

### საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. რონი აკერმანი (გერმანია) | 956 ქულა |
| 2. ბილ დემონგი (აშშ) | 741 |
| 3. ჟესონ ლამი შაპუი (საფრანგეთი) | 713 |
| 4. ბიორნ კირხაიზენი (გერმანია) | 617 |
| 5. პეტერ ტანდე (ნორვეგია) | 588 |

# სვენდსენის მილიმეტრები და წამის მეათედები რუსებს შაშხანა გაეჭედათ



ემილ ჰეგლე სვენდსენი

**კვირას** შვედურ ოსტერსუნდში მსროლელ მოთხილამურეთა საიბილეო, 50-ე მსოფლიოს ჩემპიონატი დასრულდა. უქმეებზე მედლების ბოლო ოთხი კომპლექტი განაწილდა — კაცებმაც და ქალებმაც ესტაფეტებსა და მასობრივი სტარტით რბოლებში გამოავლინეს გამარჯვებულთა ვინაობა.

დავიწყოთ იმით, რომ დიადმა ნორვეგიელმა ოლე ეინარ ბიორნდალენმა ეგრეც ვერ მოახერხა მსოფლიოს ჩემპიონატების მე-11 ოქროს მოპოვება და ამ მაჩვენებლით ის ჯერაც ჩამორჩება თერთმეტგზის ჩემპიონებს, ძველ საბჭოელ ალექსანდრ ტიხონოვსა და გერმანელ ფრანკ ლუკს.

შაბათსაც და კვირასაც, ოლე ოდენ ვერცხლით დაკმაყოფილდა და ახლა მის უმდიდრეს და არნახულ კოლექციაში, მსოფლიოს ჩემპიონატების 10 ოქროს, 10 ვერცხლისა და 9 ბრინჯაოს მედალია. ...საც სათქმელია, რომ ბიორნდა... ოსტერსუნდში მხოლოდ შე...სტაფეტაში არ გამოსულა ...არჩენ ხუთ სახეობაში კი ხუთი მედალი ირგუნა — ერთი ოქროს (გამოდევნება), სამი ვერცხლის (ინდივიდუალური, ესტაფეტა, მასსტარტი) და ერთი ბრინჯაოსი (სპრინტი).

შაბათის კაცთა ესტაფეტაში ნორვეგიელებმა უსიტყვოდ წააგეს რუსებთან, თუმცა მეორე დღეს 15 კილომეტრიან მასსტარტში სრული რევანში აიღეს. ახალი ვიკინგი, ემილ ჰეგლე სვენდსენი ძაან ბიჭი ჩანს და ორიოდ წელიწადში, როდესაც ბიორნდალენი და სუპერვეტერანი ჰალვარდ ჰანევოლდი შაშხანას კედელზე ჩამოკიდებენ, თხილამურებს კი სადმე კუთხეში მიაყუდებენ, შეეძლებათ მშვიდად დაიძინონ — სვენდსენი ნორვეგიელებს არავის დააჩაგვრინებს.

თანამემამულესთან ინდივიდუალურ რბოლაში წაგების შემდეგ ოლემ თქვა, კი ბატონო, მუდმივად მეორე ვიქნები, თუ პირველზე ნორვეგიელი გავაო. მაშინ ოქროს მედლის ბედი რამდენიმე მილიმეტრმა გადაწყვიტა — ბიორნდალენმა სვენდსენზე ერთით მეტი ააცილა.

კვირას კი საქმე, უკვე წამის მეათედებზე მიდგა — ოლემ და ემილმა თითქმის ნახევარი გზა ერთად გალიეს, ბოლო სასროლეთზე ყველა კონკურენტი უკან მოიტოვეს და უკანასკნელ მეტრებზე კი, უკვე ფინიშის სწორზე, ახალგაზრდულმა ჯანმა აჯობა ვეტერანის გამოცდილებას.

ვახსენოთ რუსი მაქსიმ ჩუდოვიც, რომელმაც ოსტერსუნდიდან ორი ოქროს და თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი წაიღო. კვირას ჩუდოვმა ბოლო მონაკვეთზე ერთბაშად ოცი წამი მოუგო უშეცდომოდ მსროლელ თანამემამულესა და სეხნიას, მაქსიმ მაქსიმოვს და მესამე უწია ფინიშს.

ნორვეგიელები, რუსები და გერმანელები — თითქმის მთელი ოსტერსუნდული საგანძური ამ სამი ქვეყნის ბიატლონისტებმა დაინაწილეს. ნორვეგიელები უფრო კაცებში ვარგოდნენ, გერმანელები — ქალებში და რუსებმა კი ორივე სქესში იხეირეს, თერთმეტიდან ათ სახეობაში პოდიუმზე შედგეს ფეხი, თუმცა ბოლოსკენ სიმწარესაც გაუსინჯეს გემო.

ქალთა და მთლიანად მთელი ჩემპიონატის პროგრამა 4X6 კილომეტრზე ესტაფეტით დაიხურა. მანამდე, შაბათს, 12,5 კილომეტრზე მასსტარტი იყო და გერმანელმა პრიმამ, მაგდალენა ნოინერმა ბოლო მეტრებზელა აჯობა ნორვეგიელ ტორა ბერგერს, ბრინჯაო კი რუსთა ლიდერ ეკატერინა იურევას ერგო. კვირას, ესტაფეტის მეორე ეტაპზე კი რუსებს არნახული იაღლიში მოუვიდათ — ალბინა ახატოვას პირველივე სასროლეთზე შაშხანამ უმტყუნა, სასწრაფოდ შესაცვლელი გაუხდა და ამის გამო თითქმის ორწუთნახევარი დაკარგა. რუსებმა მაინც ბოლომდე იბრძოლეს, თითქოს მესამე ადგილზეც ავიდნენ, მაგრამ ბოლოს იურევას ფრანგმა სადრინ ბაიიმ აჯობა და ბრინჯაოც ფრანგებს დარჩათ.

აქვე გეტყვით, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შედეგები მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლაში შედის და შედეგად, გენერალურ კლასიფიკაციებში გერმანელი ანდრეა ჰენკელისა და ბიორნდალენის პოზიციები, კიდევ უფრო მყარი გახდა.

**ქვეყნები და მედლები**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გერმანია | 5 | 1 | 2 | 8 |
| ნორვეგია | 3 | 5 | 1 | 9 |
| რუსეთი | 3 | 3 | 5 | 11 |
| უკრაინა | 0 | 1 | 2 | 3 |
| ბელარუსი | 0 | 1 | 0 | 1 |
| საფრანგეთი | 0 | 1 | 1 | 1 |

**მსოფლიოს ჩემპიონატი. ოსტერსუნდი. შვედეთი. 9-17 თებერვალი**

**ქალები**

**12,5 კმ. მასსტარტი 4 სასროლეთით**

| | |
|---|---|
| 1. მაგდალენა ნოინერი (გერმანია) | 39 წთ 36,53 წმ (4 აცდენა) |
| 2. ტორა ბერგერი (ნორვეგია) | +3,0 წმ (1) |
| 3. ეკატერინა იურევა (რუსეთი) | +29,5 (2) |
| 4. ვიტა სემერენკო (უკრაინა) | +33,6 (1) |
| 5. ჰელენა იუნსონი (შვედეთი) | +51,0 (2) |

***მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლა***

| | |
|---|---|
| 1. ანდრეა ჰენკელი (გერმანია) | 576 ქულა |
| 2. სადრინ ბაიი (საფრანგეთი) | 542 |
| 3. მარტინა გლაგოვი (გერმანია) | 532 |
| 4. კატი ვილჰელმი (გერმანია) | 531 |
| 5. მაგდალენა ნოინერი (გერმანია) | 524 |

**ესტაფეტა. 4X6 კმ (4X2 სასროლეთი)**

| | |
|---|---|
| 1. გერმანია (მარტინა გლაგოვი, ანდრეა ჰენკენი, მაგდალენა ნოინერი, კატი ვილჰელმი) | 1 სთ 10 წთ 12,6 წმ (1 საჯარიმო წრე და 9 დამატებითი ვაზნა) |
| 2. უკრაინა (ოქსანა იაკოვლევა, ვიტა სემერენკო, ვალენტინა სემერენკო, ოქსანა ხვოსტენკო) | +30,9 წმ (0 და 3) |
| 3. საფრანგეთი (დელფინ პერეტო, მარი-ლაურა ბრუნე, სილვი ბეკარი, სადრინ ბაიი) | +1.35,7 (2 და 13) |
| 4. რუსეთი (სვეტლანა სლეპცოვა, ალბინა ახატოვა, ტატიანა მოისეევა, ეკატერინა იურევა) | +1.39,4 (0 და 8) |
| 5. ბელარუსი (ლუდმილა კალინიკი, დარია დომრაჩევა, ოლგა ნაზაროვა, ოლგა კუდრიაშოვა) | +1.58,7 (0 და 6) |

**კაცები**

**ესტაფეტა. 4X7,5 კმ (4X2 სასროლეთით)**

| | |
|---|---|
| 1. რუსეთი (ივან ჩერეზოვი, ნიკოლაი კრუგლოვი, დმიტრი იაროშენკო, მაქსიმ ჩუდოვი) | 1 სთ 21 წთ 00,7 წმ (0 საჯარიმო წრე და 5 დამატებითი ვაზნა) |
| 2. ნორვეგია (ემილ ჰეგლე სვენდსენი, რუნე ბრატსვენი, ჰალვარდ ჰანევოლდი, ოლე ეინარ ბიორნდალენი) | +49,2 წმ (0 და 7) |
| 3. გერმანია (მიხაელ რიოში, ალექსანდრ ვოლფი, ანდრეას ბირნბახერი, მიხაელ გრაისი) | +1.42,5 (2 და 14) |
| 4. ავსტრია (სიმონ ედერი, ფრიდრიხ პინტერი, დანიელ მეზოტიჩი, კრისტოფ ზუმანი) | +1.42,9 (0 და 10) |
| 5. საფრანგეთი (ჟულიენ რობერი, ვენსან დეფრანი, ფერეოლ კანარი, სიმონ ფურკადი) | +2.41,3 (0 და 8) |

**მასსტარტი. 15 კმ ოთხი სასროლეთით**

| | |
|---|---|
| 1. ემილ ჰეგლე სვენდსენი (ნორვეგია) | 36 წთ 12,64 წმ (1 აცდენა) |
| 2. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) | +0,4 წმ (1) |
| 3. მაქსიმ ჩუდოვი (რუსეთი) | +24,9 (3) |
| 4. მაქსიმ მაქსიმოვი (რუსეთი) | +40,5 (0) |
| 5. ჰალვარდ ჰანევოლდი (ნორვეგია) | +1.04,2 (1) |

***მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლა***

| | |
|---|---|
| 1. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) | 735 ქულა |
| 2. დმიტრი იაროშენკო (რუსეთი) | 563 |
| 3. მაქსიმ ჩუდოვი (რუსეთი) | 541 |
| 4. ემილ ჰეგლე სვენდსენი (ნორვეგია) | 415 |
| 5. ბიორნ ფერი (შვედეთი) | 412 |





# ნატალის გამაოგნებელი გულაღმა

**მისურის** შტატში, მომცრო ქალაქ კოლუმბიაში მიმდინარე რიგით ტურნირზე პირდაპირ რეკორდების წვიმა მოდის და ეს არცაა გასაკვირი, ისეთ ვარსკვლავურ შემადგენლობას მოუყრია იქ თავი.

ორ დღეში მეორე მსოფლიო რეკორდი გამოცხვა: 200 მეტრზე გულაღმა მოცურავე ზიმბაბველ კირსტი ქოვენთრის მხარი აუბა 100 მეტრზე ასევე გულაღმა მოცურავე ამერიკელმა ნატალი კულინმა და თავისივე მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა.

კულინი 25 წლის გახლავთ, ანუ უკვე იმ ასაკშია, როცა ცურვაში ვეტერანები ხდებიან და მას ყველაფრის მოგება მოუსწრია — არის მსოფლიოს და ოლიმპიური ჩემპიონი და ფლობდა გულაღმა 100 მეტრის რეკორდს, რომელიც ახლა უკვე მესამედ გააუმჯობესა. კოლუმბიაში მან არცთუ სასწაულებრივად დაიწყო ცურვა, 50 მეტრი, ანუ დისტანციის ნახევარი რომ გაიდგაფუნა, რეკორდს 0,4 წამით ჩამორჩებოდა, ამიტომ გაოცებისგან პირი დაალო, როცა მეორე ნახევრის გალევის შემდეგ ფინიშზე მისულს იქ ახალი რეკორდი დახვდა. „სახეზე არ შემომხედეთ? პირდაპირ შოკში ჩავვარდი — იხსენებდა მოგვიანებით მოცურავე — მეორე 50 მეტრი არანორმალურად ვიცურავე, მაგრამ რეკორდზე არც კი ვფიქრობდი. არა, ძალიან უცნაური გაცურვა იყო...“

მისი ძველი რეკორდი იყო 59,44 წამი, ახალი კი 59,21 წამი გახლავთ. სათქმელია, რომ ნატალი კულინმა პირველმა შეძლო გულაღმა 100 მეტრის წუთზე ნაკლებში გაცურვა — 2002 წელს მან 59,58 წამის ჩვენებით პირველი რეკორდი ჩაიწერა, მერე კი 2007-ში და აგერ, ახლა მეორე და მესამე მიაყოლა.

გუშინწინდელი, 200 მეტრის რეკორდსმენ კირსტი ქოვენთრისაც არა უშავდა, მან 100 მეტრიც რიგიანად გაცურა და 59,61 წამით მეორე ადგილი დაიჭირა.

კულინზე იმის თქმაც შეიძლება, რომ სარეკორდო გაცურვამდე თავისუფალი 200 მეტრის ფინალშიც მიიღო მონაწილეობა და 1.57,47 შედეგით მხოლოდ კეტი ჰოფს ჩამორჩა, ვინც 1.56,08 დროში იმარჯვა და მსოფლიოს თუ ვერა, ამერიკის რეკორდს კი შესწვდა.

კოლუმბიაში გახლავთ აუზთა ამერიკელი მეუფე მაიკლ ფელპსიც, რომლისთვისაც, როგორც ჩანს, ეს ტურნირი პეკინის ოლიმპიადისთვის სამზადისის ერთი ეტაპთაგანია. მან უკვე ორი დისციპლინის მოგება მოასწრო — 1.45,71 შედეგით იპირველა 200 თავისუფალ მეტრზე და 4.14,08 დროში იმარჯვა 400 მეტრ კომპლექსურში. ტურნირზე გამოდის კიდევ ერთი მსოფლიოს და ოლიმპიური ჩემპიონი რაიან ლოჩტე, თუმცა მისი მონაგარი ვერ ყვირის — მხოლოდ ერთი ბრინჯაო 400 მეტრ კომპლექსურში.

**ქეთი ყორშია**

 უელსის ღია პირველობა. ნიუპორტი. 11-17 თებერვალი

# ახალი კაცი ახალ პორტში

## სელბიმ ოსალივანის ბრწყინვალება დაჩრდილა



**მარკ სელბი** პატარა ბიჭი აღარ არის, 19 ივნისს 25 წლის გახდება და მიუხედავად იმისა, რომ კარგა ხანია, რაც ელიტარულ სნუკერისტთა შორისაა და ერთ-ერთ უძლიერეს მოთამაშედ ითვლება, წლევანდლამდე უტიტულოდ იყო.

შარშან სელბი, სულაც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გავიდა, მაგრამ იქ ჯონ ჰიგინსთან ვერაფერს გახდა. მოჯადოებული წრე კი 2008 წლის დადგომასთან ერთად გაირღვა — იანვარში სელბიმ არასარეიტინგო, მაგრამ უაღრესად პრესტიჟული „მასტერსი" მოიგო და აი, ახლა კი უელსის ღია პირველობის მოგებით, სარეიტინგო ტიტულსაც გაუსინჯა გემო.

არადა, ფინალურ მატჩში სელბი 5:8-ს აგებდა რონი ოსალივანთან და ნამდვილად ვერავინ წარმოიდგენდა, თუ სნუკერის ჯადოქარი ამხელა უპირატესობას ვერ გამოიყენებდა.

თუმც, სანამ ფინალზე ვიტყოდეთ, ორიოდ სიტყვით მეოთხედფინალებისა და ნახევარფინალების შესახებ მოგახსენებთ. მეოთხედფინალში სელბიმ სრული რევანში აიღო შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის გამო და 5:2 სძლია ჰიგინსს, ნახევარფინალში კი 6:4 დაჯაბნა კიდევ ერთი შოტლანდიელი, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი სტივ ჰენდრი. არადა, ჰენდრიმ ორი ასქულიანი (124 და 130) ბრეიკი გააკეთა, სელბი კი თითქოს არ ბრწყინავდა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში სახელოვან მეტოქეზე ზუსტი იყო.

თუ ვინმე ბრწყინავდა, ეს ოსალივანი იყო. რონის მეოთხედფინალში ალისტერ კარტერთან ცოტა კი გაუჭირდა და მხოლოდ 5:4 იმარჯვა, მაგრამ ნახევარფინალში, მანამდე მთელი ორი კვირის მანძილზე ფანტასტიკურად მოთამაშე შონ მერფისთან ისეთი დონის სნუკერი აჩვენა, რომლის ფონზე მერფი, საერთოდ გახუნდა. ოსალივანმა, ფაქტობრივად, იდეალურად ითამაშა, სამი ასქულიანი ბრეიკი გააკეთა და მეცხრე ფრეიმში წერტილი თითქმის მაქსიმალური, 143-ქულიანი სერიით დასვა.

როგორც ხშირად მომხდარა, რონიმ ფინალი ცოტა მძიმე დაიწყო. მარკი ჯერ 2:1-ს იგებდა, შემდეგ — 3:2-ს, 4:3-ს და ოსალივანი მერვე ფრეიმიდან ისე ათამაშდა, როგორც მერფისთან ნახევარფინალურ მატჩში. 108, 93, 135 — ასეთი სერიები გამოაცხო. რონიმ ანგარიში ჯერ 6:4 გახდა მის სასარგებლოდ, შემდეგ კი სულაც 8:5 და აქ, უკვე მართლაც ვერავინ წარმოიდგენდა, სელბი ზედიზედ ოთხ ფრეიმს თუ მოიგებდა.

მოიგო. ოსალივანის თამაში რაღაც აირია. რონიმ თითქოს მკვლელის ინსტინქტი დაკარგა, მის შეტევებს სიმწვავე მოაკლდა და შეცდომები კი გახშირდა. ოსალივანმა მატჩის სათავისოდ დასრულების რამდენიმე შანსი გაანიავა და სელბი კი, პირიქით, გარეგნული ბრწყინვალების გარეშე, მაგრამ უშეცდომოდ და რაც მთავარია, ტაქტიკურად უაღრესად გამართულად ათამაშდა. მარკმა რამდენჯერმე სნუკერი დასვა და რონის იძულებითი სვლების გაკეთება მოუწია... 8:6, 8:7, 8:8 და გადამწყვეტ, მე-17 ფრეიმში რონის ისევ ჰქონდა შანსი. მან შეტევა წამოიწყო, მაგრამ მორიგი შეცდომის გამო ლოგიკურ დასასრულამდე ვერ მიიყვანა. ოსალივანის სერია 53-ზე შეწყდა და სელბიმ თავისი შანსი ხელიდან აღარ გაუშვა.

პროვინციული უელსური ქალაქი ნიუპორტი მარკ სელბისთვის ამიერიდან მშობლიურივით იქნება, რადგანაც სწორედ იქ, ამ ძველ „ახალ პორტში" მოიპოვა მან თავისი პირველი სარეიტინგო გამარჯვება. სელბის თამაშიდან გამომდინარე, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ პირველი და არა უკანასკნელი — ამ პორტიდან სელბის ხომალდი სხვა დიდი პორტებისკენაც გაცურავს.

2007-08 წლების სეზონის ბოლომდე კი ორი შეჯიბრილა დარჩა — მარტში გასამართი ჩინეთის ღია პირველობა და სეზონის გვირგვინი, მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელიც აპრილ-მაისის გასაყარზე ჩატარდება.

## წინასწარი რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. რონი ოსალივანი (ინგლისი) | 40450 |
| 2. შონ მერფი (ინგლისი) | 37250 |
| 3. სტივ მაგუაერი (შოტლანდია) | 35525 |
| 4. მარკ სელბი (ინგლისი) | 33725 |
| 5. ჯონ ჰიგინსი (შოტლანდია) | 31625 |
| 6. ნილ რობერტსონი (ავსტრალია) | 28450 |
| 7. სტივ ჰენდრი (შოტლანდია) | 27175 |
| 8. დინ ჯუნხუ (ჩინეთი) | 26494 |
| 9. პიტერ ებდონი (ინგლისი) | 26075 |
| 10. რაიან დეი (უელსი) | 25675 |
| 11. გრემ დოტი (შოტლანდია) | 25004 |
| 12. ალისტერ კარტერი (ინგლისი) | 24275 |
| 13. ჯო პერი (ინგლისი) | 22625 |
| 14. მარკო ფუ (ჰონკონგი) | 22300 |
| 15. კენ დოჰერტი (ირლანდია) | 21819 |
| 16. მეტიუ სტივენსი (უელსი) | 21213 |
| 17. აიან მაკალოხი (ინგლისი) | 20707 |
| 18. ჯეიმი კოუპი (ინგლისი) | 20544 |
| 19. მარკ ალენი (ჩრ. ირლანდია) | 20425 |
| 20. მარკ კინგი (ინგლისი) | 20300 |

## ოფიციალური რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. ჯონ ჰიგინსი (შოტლანდია) | 42250 |
| 2. გრემ დოტი (შოტლანდია) | 37775 |
| 3. შონ მერფი (ინგლისი) | 37700 |
| 4. კენ დოჰერტი (ირლანდია) | 35800 |
| 5. რონი ოსალივანი (ინგლისი) | 34500 |
| 6. პიტერ ებდონი (ინგლისი) | 33550 |
| 7. ნილ რობერტსონი (ავსტრალია) | 33125 |
| 8. სტივ ჰენდრი (შოტლანდია) | 32475 |
| 9. დინ ჯუნხუ (ჩინეთი) | 30800 |
| 10. სტივ მაგუაერი (შოტლანდია) | 30550 |
| 11. მარკ სელბი (ინგლისი) | 27400 |
| 12. მარკ უილიამსი (უელსი) | 27125 |
| 13. სტივ ლი (ინგლისი) | 26150 |
| 14. ალისტერ კარტერი (ინგლისი) | 25300 |
| 15. სტივ დევისი (ინგლისი) | 24950 |
| 16. რაიან დეი (უელსი) | 24500 |
| 17. ჯო სვეილი (ჩრ. ირლანდია) | 24350 |
| 18. ჯო პერი (ინგლისი) | 23925 |
| 19. ბარი ჰოუკინსი (ინგლისი) | 23750 |
| 20. მეტიუ სტივენსი (უელსი) | 23550 |



## მორელია-ლინარესის სუპერტურნირი

მორელია-ლინარესი. მექსიკა-ესპანეთი. 15 თებერვალი — 7 მარტი

III ტური

| | | |
|---|---|---|
| ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 1:0 | ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) |
| ლევონ არონიანი (სომხეთი) | 0,5:0,5 | თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) |
| მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) | 0:1 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) |
| პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 0,5:0,5 | ალექსეი შიროვი (ესპანეთი) |

# სომხურ-აზერბაიჯანული მშვიდობა




**ვეიკ** ან ზეეს მოგების შემდეგ სპეციალისტებმა 17 წლის მაგნუს კარლსენის მისამართით ქება-დიდება არ დაიშურეს და ვუნდერკინდი მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ ვიშვანათან ანანდის შემცვლელად დაასახელეს. პატარა ბიჭს ანანდამდე ჯერ ბევრი რომ უკლია, ეს მორელიაშიც გამოჩნდა. შავი ფიგურებით მოთამაშე ინდუსმა ნორვეგიელს შანსი არ დაუტოვა და 59-ე სვლაზე დაამარცხა.

ვიკინგმა ლაზიერის გამბიტით დაიწყო პარტია და მსუბუქი ფიგურების განვითარებას შეუდგა. ანანდმა ორი მხრიდან შეუტია მეტოქეს, უკეთესი პოზიცია მოიპოვა და ხარისხითაც დაწინაურდა. ინდოელმა გაცვლებს მიმართა, ამასთან ხელმწიფის ფლანგიდანაც დაარტყა და მეორე ქულა აიღო.

ვესელინ ტოპალოვმა ვასილ ივანჩუკს სძლია და ერთპიროვნული ლიდერობა მოიპოვა. ისინი ამ სუპერტურნირზე პირველად 2006 წელს დაეჯახნენ ერთმანეთს. მაშინ ბულგარელმა შავი ფიგურებით იმარჯვა, თუმც მომდევნო წელს ასევე შავებით დამარცხდა. ამ გამოთვლებით წლეულს ვესელინის ჯერი იყო და ასეც მოხდა.

დიდოსტატებმა სიცილიური დაცვა გაითამაშეს. ტოპალოვი დებიუტშივე გააქტიურდა და მარცხენა ფლანგიდან ლაზიერით შეუტია. როგორც ჩანს, ივანჩუკი ასეთ თავდასხმას არ მოელოდა, მეტოქეს ვერ გაუმკლავდა და 46-ე სვლაზე ხელები მაღლა ასწია.

მშვიდობით დასრულდა ლევონ არონიანისა და თეიმურ რაჯაბოვის სომხურ-აზერბაიჯანული დაპირისპირება. მეტოქეებმა 24 სვლა იბრძოლეს და საბოლოოდ ყაიმზე შეთანხმდნენ.

**ლაშა გეგეჭკორი**

*1. ვესელინ ტოპალოვი 2,5*
*2. ვიშვანათან ანანდი 2*
*3. ლევონ არონიანი 1,5*
*4. ვასილ ივანჩუკი 1,5*
*5. პეტერ ლეკო 1,5*
*6. თეიმურ რაჯაბოვი 1*
*7. მაგნუს კარლსენი 1*
*8. ალექსეი შიროვი 1*



## რეგულარული ჩემპიონატი

17 თებერვალი

**ჩიკაგო 2:1 კოლორადო**
*1:0 1:0 0:1*
1:0 ბაიფუტენი (5), 2:0 ჰავლატი (23), 2:1 ჰლინკა (58)

**რეინჯერსი 3:1 სან ხოსე**
*1:1 1:0 1:0*
0:1 ჩიჩუ (4), 1:1 კალაჰენი (12), 2:1 დრური (26), 3:1 კალაჰენი (60)

**ბუფალო 1:4 პიტსბურგი**
*0:0 1:2 0:2*
0:1 რუუტუ (28), 0:2 სიკორა (30), 1:2 ვანეკი (35), 1:3 მალკინი (49), 1:4 არმსტრონგი (59)

**სენტ ლუისი 5:1 კოლუმბუსი**
*1:1 3:0 1:0*
1:0 უოქერი (8), 1:1 ნეში (16), 2:1 პერონი (23), 3:1 ბოისი (26), 4:1 მაკდონალდი (37), 5:1 ტკაჩუკი (53)

**ფილადელფია 3:5 მონრეალი**
*1:2 1:2 1:1*
0:1 კოვალიოვი (7), 1:1 რიჩარდსი (10), 1:2 ბულიონი (20), 2:2 კობერნი (21), 2:3 რაიდერი (23), 2:4 კოივუ (31), 2:5 ლაპიერი (59), 3:5 კოუტი (60)

**ანაჰაიმი 4:2 კალგარი**
*0:1 4:0 0:1*
0:1 ლენგკოუ (16), 1:1 გეცლაფი (21), 2:1 კარტერი (25), 3:1 ს. ნიდერმაიერი (27), 4:1 პრონგერი (35), 4:2 პრიმო (42)

**მინესოტა 5:4 ნეშვილი**
*2:1 1:0 1:3 1:0 (ოვერტაიმში)*
0:1 სმიტსონი (4), 1:1 ნუმელინი (11), 2:1 პერიში (20), 3:1 ბუშარი (35), 3:2 ერატი (45), 4:2 გაბორიკი (46), 4:3 სუტერი (49), 4:4 ვებერი (55), 5:4 გაბორიკი (65)

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა შალამბერიძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლაანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge